პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) ადმინის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

სამშაბათი, 18 ივნისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 137 (2483)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— საფრანგეთის კომპარტია მოითხოვს მაროკოს ევაკუაციას.
— ბრძოლა ხელფასის გადიდებისათვის საფრანგეთში.
— პოლონეთის გლეხთა პარტია „ვიზვოლენიე" ოპოზიციაში გადადის.
— მაქს ჰელცის მოთხოვნა უარყოფილ იქნა.
— ბაჩე საკაო ცდილობს ნადირ ხანის მოსყიდვას.
— ფინეთის პრეზიდენტმა დაამტკიცა ფინეთ-საბჭოთა საბაჟო შეთანხმება.
— ამხ. სირცოვი შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

25 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (ყორესის ქუჩა)

მოწვეულია

თბილისის მე-X პარტიული კონფერენცია

დღის წესრიგი:

1) სოფლის მეურნეობის განვითარების გზები და სოფლად მუშაობა (ამხ. ლ. ლოლობერიძის მოხსენება)
2) კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა (ამხ. კანდელაკის მოხსენება)
3) დელეგატების არჩევა პარტიის მე-6 სრულიად საქართველოს ყრილობისთვის.

კონფერენციის დელეგატები ბილეთებს მიიღებენ რაიკომებში 22 ივნისიდან.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომ. პრეზიდიუმი.

დღეს, ივნისის 18-ს, მთავრობის სახლში შესდგება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებული სხდომა

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

ახალი კადრები აპარატისათვის

საბჭოთა აპარატის წმენდასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ახალი კადრებით მისი შევსების ამოცანა: მავნე და გამოუსადეგარი ელემენტები, რომელნიც გაძევებული იქნებიან, უნდა შესცვალონ პოლიტიკური და საქმიანი თვალსაზრისით სავსებით მისაღებმა პირებმა. სად უნდა გამოვძებნოთ ასეთი ხალხი? ამაზე გარკვეულ პასუხს გვაძლევს მე-16-ე პარტკონფერენცია; თავის რეზოლუციაში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შედეგებისა და უახლოესი ამოცანების შესახებ ის, სხვათა შორის, ამბობს: „კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო აპარატიდან დათხოვნილთა შეცვლა ახალი კადრებით, რომელნიც აღიზარდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში და ქვედა საფეხურის საბჭოთა მუშაობაში".

ამნაირად, საქმე უმთავრესად ეხება მუშების მოწინავე აქტივისტ მუშების წამოყენებას და დაწინაურებას დაწესებულებებში სამუშაოდ. მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა, უკანასკნელ წლებში, მუშების დაწინაურება არც რაოდენობრივი და არც ხარისხობრივი მხრივ ჯერ კიდევ ოდნავადაც არ დგას სათანადო დონეზე; დაწინაურებულთა რაოდენობა მცირეა, მათი მომზადება, შერჩევა და გამოყენება არსებით გაუმჯობესებას მოითხოვს.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ბოლო დრომდე პარტიული, პროფესიული და საბჭოთა ორგანოები ამ საკითხს არ აქცევდნენ განსაკუთრებულ და სისტემატიურ ყურადღებას. ნაკლები იყო ამ დარგში მტკიცე გეგმიანობა და დაწინაურება არა იშვიათად შემთხვევით ხასიათს ატარებდა.

დაწინაურების საქმის წარმატებას მრავალ შემთხვევაში აფერხებდა საბჭოთა აპარატის წინააღმდეგობა. დაწესებულებათა მუშაკები და პასუხისმგებელი ხელმძღვანელებიც კი დაწინაურებულთ ალმაცერად და მტრულადაც კი უყურებდნენ, არ ქმნიდნენ მათ გარშემო ამხანაგურ თანამშრომლობის ატმოსფერას, არ ეხმარებოდნენ მუშაობაში. იყო ფაქტები, როცა დაწინაურებულთ აყენებდნენ ისეთ თანამდებობაზე და სამუშაოზე, რომელიც მატერიალური და საზოგადოებრივი თვალსაზრისით მათთვის უფრო დაქვეითებას ნიშნავდა, ვიდრე დაწინაურებას. ყოველივე ეს აიხსნებოდა ერთი მხრით იმით, რომ აპარატი გაურბოდა კონტროლს „გარედან" და მუშათა წრიდან მოსულ მუშაკის სახით, მეორე მხრით ძველი უვარგისი თანამშრომლების შიშით, რომ ისინი ბოლოს და ბოლოს გაძევებულნი იქნებოდნენ.

ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ დასაწინაურებელთა შერჩევა სათანადოდ არ ხდებოდა. არ ქონდა ადგილი მათ საფუძვლიან შესწავლას და შემოწმებას, თუ რამდენად შეეფერებოდნენ ისინი იმ სამუშაოს, რომლის ჩაბარება მათთვის განზრახული იყო. ამავე დროს თითქმის არაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ დასაწინაურებელნი წინასწარ ასე თუ ისე შეემზადებინათ მომავალი ამოცანების შესასრულებლად. ეს იყო დაწინაურების საქმის სუსტი წარმატების ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი. ამის წყალობით იყო შემთხვევები, როცა ცალკე დაწინაურებულნი შეუფერებელ სამუშაოებზე იგზავნებოდნენ, რაც სახელს უტეხდა თვით დაწინაურების იდეას და ერთგვარ მასალას აძლევდა იმ ელემენტებს, რომელნიც მუშათა დაწინაურებას ვერ ურიგდებიან და მის უსარგებლობას „ამტკიცებენ".

ხაზგასასმელია ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც: მუშათა ორგანიზაციები აწინაურებდნენ ამა თუ იმ ამხანაგს, მაგრამ შემდეგ კი მას მეტ წილად უყურადღებოდ სტოვებდნენ, საჭირო ხელმძღვანელობას ვერ უწევდნენ, მასთან ცოცხალი კავშირი არ ჰქონდათ გაბმული. მეორე მხრივ თვით დაწინაურებულნი ხშირად წყდებოდნენ მათ წამომყენებელ მასებს, მათ წინაშე ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ, ექცეოდნენ აპარატის მახინჯ მხარეების გავლენაში და თვითონვე ადგებოდნენ ბიუროკრატების გზას.

ბოლოს, სისტემატიურად არ წარმოებდა დაწინაურებულთა კრებების გამართვა, რომ მათ შეძლებოდათ ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, ჯეროვნად არ ხდებოდა ამ გამოცდილების, დაწინაურებულთა მუშაობის შემოწმება და განზოგადოება.

ყველა ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად უკანასკნელ ხანებში ბევრი რამაა გაკეთებული და დაწინაურების საქმე საკმაოდ გაუმჯობესებული, მაგრამ მდგომარეობა ამ მხრივ, ცხადია, მაინც ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. და ახლა, როცა ჩვენ ენერგიულად ვემზადებით აპარატის წმენდისათვის, ახალი კადრების საკითხს უნდა მიექცეს გაცილებით მეტი ყურადღება, ვიდრე აქამდე ჰქონდა ადგილი. წმენდასთან დაკავშირებით ის უნდა გახდეს პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთ პირველხარისხოვან საგნად. დასაწინაურებელთა შერჩევა და მომზადება, მათი წამოყენება შესაფერ სამუშაოებზე, დასაწინაურებელთა მომზადებას, უნარისა და მიდრეკილებასთან შეფარდებით, აპარატის წინააღმდეგობის გადაჭრით აღკვეთა, დაწინაურებულთათვის მუშაობის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათი ცოცხლად დაკავშირება მუშათა მასებთან,—აი საითკენ უნდა იქნეს ჩვენი საქმიანობა მიმართული. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაწინაურების საკითხის წარმატებით გადაჭრა აპარატის სოციალურ შემადგენლობის გაჯანსაღების, მუშაობის გაუმჯობესების და ბიუროკრატიზმის ნაშთების მოსპობის საუკეთესო საშუალებაა.

გამოვიყენოთ წმენდის გამოცდილება

ჩვენ მხოლოდ ეხლა ვიწყებთ მასიურ შემოწმებას, რომელიც მოითხოვს ხელმძღვანელი კადრების—კომიტეტების წევრთა, საკონტროლო კომისიების და შემმოწმებელ კომისიების წევრთა წინასწარ აშკარა შემოწმებას. ეს მუშაობა ზოგიერთ ადგილას, განსაკუთრებით დიდ ცენტრებში შესრულებულაა და გვაქვს შესაძლებლობა შეუდგეთ ცალკე უჯრედთა შემოწმებას.

ეს პირველი ნაბიჯები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ პირველი დასკვნები და გამოვასწოროთ შეცდომები.

ყველა ამხანაგი, რომელიც ატარებს ხელმძღვანელი შემადგენლობის წმენდას, აღნიშნავს ამ პირველი ნაბიჯების უდიდეს აღმზრდელობითი მნიშვნელობას. მუშათა აუდიტორია, სადაც არის ახალგაზრდობა, რომელსაც უშუალო მონაწილეობა არ მიუღია სამოქალაქო ომში და რევოლუციონურ მოძრაობაში, აგრეთვე გლეხობა, რომელიც ამას წინად შევიდა მუშათა რიგებში, თვალსაჩინოდ ხედავს კომუნისტური პარტიის საუკეთესო წარმომადგენლებს. ეს უკანასკნელნი, რომლებმაც თავის ზურგზე გადაიტანეს სოციალიზმისათვის რევოლუციონური ბრძოლის წლები და ათეული წლები, ამ აუდიტორიას უამბობენ რევოლუციონურ ბრძოლის შესახებ და იხსენებენ გმირული თავდადების მომენტებს. ეს ამაღლებს პარტიის ავტორიტეტს, რომელმაც მუშათა კლასთან ერთად გაიარა ბრძოლის გზა მუშათა მოძრაობის დასაწყისიდან დღევანდელ დღემდე. აუდიტორია დიდის ყურადღებით ისმენს ნაამბობს, ფხიზლად ადევნებს თვალს ოდნავ გადახრას ამ გზიდან და სურს გამოარკვიოს: რატომ დარჩა ესა თუ ის ამხანაგი კოლჩაკის ფრონტის იქით, რატომ მერყეობდა ოპოზიციის შემოტევის დროს, დასძლია თუ არა მან საკუთარი მერყეობანი. ამ პროცესში გამართლდება პარტიის გზა, რომლის თანახმად შემოწმების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ამა თუ ამ ამხანაგის არა პირადი ინტიმური ცხოვრების წვრილმან ფაქტებს, არამედ მის კლასობრივ და პოლიტიკურ როლს, მის მონაწილეობას რევოლუციონურ მოძრაობაში და მუშათა კლასის ბრძოლაში სოციალიზმის მშენებლობისათვის, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მუშებს არ აინტერესებთ პარტიულის პირადი ცხოვრება და ყოფაცხოვრება. პარტიის მიერ ჩატარებული მუშაობა წმენდის ამოცანების ახსნა-განმარტებისათვის შეითვისეს ფართო მასებმა.

სამწუხაროდ, ეს ამოცანები სავსებით ვერ შეითვისეს ხელმძღვანელი შემადგენლობის შემოწმების ყველა მონაწილეებმა, მიუხედავად ცენტრ. საკონტრ. კომისიის დაწვრილებითი ინსტრუქციებისა. ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა პარტიული კომიტეტის და შემმოწმებელი კომისიის წევრ მუშებს უდგებიან არა სწორად, როცა შემოწმება ზოგჯერ იღებს გამოცდის, ზოგჯერ წვრილმან ხასიათს; შემმოწმებელი ეკითხება: არსებობს თუ არა საბჭოთა კავშირში დიფერენციალური რენტა. სხვა ადგილას ეკითხებიან: რომელ წელში იქნა მიღებული კონსტიტუცია და სხ. ან კითხვები მიმართულია იმისაკენ, რომ გამორკვეულ იქნას, რატომ შეირთო ცოლად პარტიის წევრმა უპარტიო და არა კომუნისტი ქალი და სხ. ეს აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ შემმოწმებელი კომისიების მუშაობას, რომლებიც ამოწმებენ ხელმძღვანელ შემადგენლობას, ამჟამად შეჰყურებენ ათასობით მუშები, რომლებმაც უნდა შეამოწმონ მთელი პარტია. ისინი სწავლობენ პირველი შემოწმების მუშაობაზე. შეცდომები ამ ეტაპზე საშიში ნიმუშად შეიძლება გადაიქცეს შემდგომი საფეხურებისათვის, როცა შემოწმებულ იქნება პარტიის წევრთა მასა. სწორედ ამიტომ პარტიას აქვს უფლება მოითხოვოს, რომ შემმოწმებელი კომისიების მუშაობის ამ მეტად მნიშვნელოვან ნაწილში ადგილი არ ექნეს აჩქარებას და რომ ამხანაგებს ახსოვდეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ შეცდომებს მთელი შემდგომი მუშაობისათვის.

შემოწმებისათვის მომზადების მხრივ ძალიან დიდი მუშაობა ჩატარდა. მაგალითად, ლენინგრადში ჩატარდა 5.000-მდე კრება, რომლებზედაც განხილულ იქნა წმენდის ამოცანები. ბევრმა დიდმა კოლექტივმა გამოუშვა სპეციალური გაზეთები და ფურცლები, მაგრამ ასეთი მუშაობა ყველგან არ ყოფილა, ბევრ უჯრედს არ აქვს მიცემული საკმაო ინსტრუქციები. ეს, სხვათა შორის, აშკარავებს ზოგიერთი პარტიული კომიტეტის არასწორ დამოკიდებულებას წმენდისადმი, რომლებიც ფიქრობენ, რომ შემოწმება მხოლოდ საკონტროლო კომისიების საქმეა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ასეთი შეხედულება მხოლოდ შეასუსტებს მუშაობას და გააუარესებს მის ხარისხს.

უპარტიო მუშათა მასა ყველგან ერთნაირად აქტიურ მონაწილეობას არ იღებს წმენდაში. ამ მხრივ თავს იჩენს წინანდელი მუშაობის შედეგები. იქ სადაც შინაპარტიული და საპროფკავშირო დემოკრატია გაშლილი იყო, მუშები გაბედულად და თამამად ამოწმებენ პარტიულებს. ისინი მხურვალე მონაწილეობას იღებენ შემოწმებაში და ზოგჯერ რამდენიმე საათს ანდომებენ ერთი ამხანაგის შემოწმებას. ზოგჯერ სწორედ უპარტიო მუშები უფრო აშკარავებენ შეცდომებს და დეფექტებს, ვიდრე პარტიულები. მაგრამ უპარტიო მასა ჯერ კიდევ ყველგან არ არის ჩაბმული ამ შემოწმებაში, ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ არის კრიტიკის შიში. პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ასეთ ორგანიზაციებს და უნდა შეისწავლოს ასეთი პასიობის მიზეზები.

პარტიულების კრიტიკამ ღია კრებაზე გამოიწვია ის, რომ არის შემთხვევები, როცა პარტიიდან გამორიცხულ იქნენ ხელმძღვანელი შემადგენლობას პარტიულები. მართალია, ასეთი პარტიულების რიცხვი ცოტაა, მაგრამ ღონისძიებანი, მიღებული მათ მიმართ,—თვით პარტიიდან გამორიცხვამდე, არწმუნებს მასებს, რომ პარტია ასამართლებს თავის წევრებს „მიუხედავად პიროვნებათა", რომ მას არ ეშინია კრიტიკის და აკმაყოფილებს მასების სურვილს—გაიწმინდოს პარტია ყველა არაკომუნისტური ელემენტებისაგან.

ასეთია შემოწმების პირველი შედეგი: მთელი პარტიის და მისი ხელმძღვანელი შემადგენლობის ავტორიტეტის აწევა, მასებთან კავშირის განმტკიცება. მასების წინაშე იშლება პარტიის მთელი ბრძოლა, ამ ბრძოლის სიძნელენი და პარტიულების დამსახურება. მასა ეჩვევა პარტიას მოეპყრას ისე, როგორც თავის პარტიას, რომლის გაუმჯობესება მას შეუძლია.

და ეს მასა აუმჯობესებს პარტიას იმით, რომ უცხადებს მას ნდობას, იმით, რომ მის რიგებში გზავნის ახალ პროლეტარულ რაზმებს. პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ საკმაოდ არ გაუთვალისწინებიათ საქმის ეს მხარე. მათ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშაობის ამ ნაწილს შემოწმების დროს.

შემოწმება ტარდება პარტიის რიგების გადასინჯვისა და განმტკიცებისათვის. შემოწმების პირველმა ნაბიჯებმა სავსებით დაადასტურა, რომ სწორია პარტიის გადაწყვეტილება. შემოწმებამ უკვე მოგვცა განსაზღვრული შედეგი და თავისი სიტყვა სთქვა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ხელმძღვანელ შემადგენლობაზე.

ეხლა იწყება მასიური შემოწმება. გაითვალისწინეთ პირველი ნაბიჯების გამოცდილება, რათა მასიური შემოწმების დროს განმეორებულ არ იქნას აღნიშნული დეფექტები.

„პრავდა", 16 ივნისი.

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

კამათი პარტიის პოლიტიკის შესახებ პროფესიონალურ მოძრაობაში

კაპიტალისტურ ქვეყნების მომავალი დიპლომატიური კონფერენცია

კონფერენცია განიხილავს „საერთაშორისო ომის შედეგების ლიკვიდაციის" საკითხებს

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

ამხ. ტელმანის საბოლოო სიტყვა

ბერლინი, 16 ივნისი. პარასკევს გერმანიის კომპარტიის ყრილობამ მოისმინა ტელმანის საბოლოო სიტყვა.

„იმისათვის, რომ პარტიამ შესძლოს თავისი ამოცანების შესრულება, მას უნდა ჰქონდეს არალეგალური ორგანიზაცია",— განაცხადა ტელმანმა. — შემარიგებელი მაიერი ამტკიცებს, რომ 1929 წლის პირველი მაისის მასიური მოძრაობა არ ყოფილა 1926 წლის 12 მაისის მოძრაობაზე უფრო ძლიერი. ეს არის ფაქტების გადამახინჯება, რომელიც სახელს უტეხავს პარტიას მუშათა საზოგადოებრიობის წინაშე".

ასევე შემცდარად მიაჩნია ტელმანს შემარიგებლების დამოკიდებულება ეკონომიური ბრძოლის საკითხებთან, აგრეთვე საქარხნო კომიტეტების არჩევის საკითხთან: ისინი ყოველთვის გადაჭარბებით აფასებენ მოწინააღმდეგის ძალებს და საკმაოდ ვერ აფასებენ პროლეტარიატის და გერმანიის კომპარტიის ძალებს.

„შემარიგებლები, — განაცხადა ტელმანმა, — წარმოადგენენ ოპორტუნისტულ, ნახევრად მენშევიკურ მოძრაობას და გერმანიის კომპარტიას არ შეუძლია შეურიგდეს მათ ორპირულ პოლიტიკას და ცრუ ბრალდებებს, რომლებითაც სავსეა მათი დოკუმენტები. შემარიგებლებმა უნდა მიიღონ გარკვეული გადაწყვეტილება. თუ ეს გადაწყვეტილება სასარგებლო იქნება არა ჩვენთვის, არამედ ჩვენი კლასობრივი მტრებისთვის, პარტია გააძევებს თავის რიგებიდან ამ უჯარო გენერლებს".

ამხ. მერკერის მოხსენება

ტელმანის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მოისმინა მერკერის მოხსენება პროფმოძრაობის, სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ ეკონომიურ ბრძოლაში. მერკერმა აღნიშნა, რომ ამჟამად აღარ არსებობს განსხვავება გირშდუნკერის (ლიბერალურ - დემოკრატიულ), „ქრისტიანულ", და რეფორმისტული პროფკავშირების პოლიტიკის შორის. წინად კომუნისტური პარტია პროფკავშირებში აკრიტიკებდა რეფორმისტულ ხელმძღვანელობას და ცდილობდა რევოლუციონური გავლენის გაფართოებას პროფორგანიზაციებში. ამჟამად კი პარტიის ამოცანას შეადგენს დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა და ეკონომიური ბრძოლის გაშლა.

შემდეგ მერკერი შეეხო ლიკვიდატორების და შემარიგებლების პოლიტიკას და აღნიშნა, რომ მათი ტაქტიკა პროფკავშირებში საბოლოოდ დამარცხდა. წინააღმდეგ შემარიგებლების შეხედულებისა, პარტია ფიქრობს, რომ ორგანიზაციულად შეუკავშირებელი მუშები არა ნაკლები ყურადღების ღირსნი არიან. გაყვლეფილი, ორგანიზაციულად შეუკავშირებელი მუშათა ფენები, რომელნიც მცირე ხელფასს ღებულობენ პარტიასთან უფრო ახლო დგანან, ვიდრე ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშათა არისტოკრატია.

მემარჯვენენი და შემარიგებელნი, როგორც მერკერმა აღნიშნა, პარტიას ბრალს სდებენ იმაში, რომ ის თავისი ახალი ტაქტიკით პროფკავშირებში იწვევს რეფორმისტების მიერ მემარცხენე, მოღვაწეების და მემარცხენე ორგანიზაციების გამორიცხვას პროფკავშირებიდან, აგრეთვე „კომუნისტების იზოლიაციას ორგანიზაციულად შეკავშირებულ მასებისაგან"! ამიტომ ისინი წინადადებას გვაძლევენ, — „ვიმუშაოთ მხოლოდ რეაქციონურ პროფკავშირთა წესდების ფარგლებში. მაგრამ ყოვლად დაუშვებელია კაპიტულიაცია სოციალ - იმპერიალისტური ბიუროკრატიის წინაშე; პირიქით, მემარცხენე რევოლუციონური ფრთა უნდა გადავიდეს გენერალურ შეტევაზე პროფკავშირებიდან გამორიცხვის პოლიტიკის წინააღმდეგ. გამორიცხული ორგანიზაციები უნდა შეეცადონ მრეწველობის სათანადო დარგების მუშათა მნიშვნელოვანი უმრავლესობის გადაყვანას თავიანთ მხარეზე.

თავისი აზრის დასამტკიცებლად მერკერი დაეყრდნო სტალინის სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე 1928 წლის დეკემბერში. მაშინ, სტალინმა აღნიშნა, რომ სავსებით შესაძლოა ისეთი სიტუაცია როცა საჭირო გახდება მუშათა კლასის პარალელური ორგანიზაციების შექმნა. ასეთი სიტუაცია უკვე არის ამერიკაში და შეიძლება გერმანიაშიც ამ მიმართულებით განვითარდნენ მოვლენები.

კამათი ამხ. მერკერის მოხსენების გამო

ამხ. მერკერის მოხსენების გამო გამართული კამათის დროს დელეგატები აღნიშნავდნენ პარტიის ახალი ტაქტიკის წარმატებას პროფკავშირებში და ზოგიერთ დეფექტს, რომელსაც ადგილი აქვს ამ ტაქტიკის განხორციელების დროს. დელეგატები აღნიშნავდნენ აგრეთვე ბრანდლერის მომხრეთა ლიკვიდატორულ მუშაობას და შემარიგებლების ანტი - ბოლშევიკურ მოქმედებას პროფკავშირების საკითხში, ეკონომიურ ბრძოლაში და საქარხნო კომიტეტების არჩევნებში.

ამხ. მერკერის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში მერკერი დაწვრილებით შეჩერდა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რევოლუციონურ რწმუნებულთა ინსტიტუტს როგორც ორგანიზაციულად შეკავშირებულ, ისე ორგანიზაციულად შეუკავშირებელ მუშათა მასების დაპყრობისათვის. მან აღნიშნა, რომ პარტიას არ შეუძლია რაიმე ილიუზიების შექმნა რეფორმისტული პროფბიუროკრატიის შესახებ, მაშინ, როცა შემარიგებლები ჰქმნიან ასეთ ილიუზიებს. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესიის შემდეგ

ახალი დიპლომატიური კონფერენცია

მადრიდი, 16 ივნისი. შტრეზემანსა, ბრიანსა და ინგლისის მადრიდელ ელჩ გრახამს შორის წარმოებული მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა მოწვეულ იქნას ივლისსა და აგვისტოში დიპლომატიური კონფერენცია „მსოფლიო ომის ლიკვიდაციის" საკითხების განსახილველად. კონფერენციაზე უნდა გაირჩეს იუნგის გეგმასთან და რეინის ოლქის ევაკუაციასთან დაკავშირებული საკითხები. მიღებული დადგენილების ჩამოყალიბება მოხდება შემდგომი მოლაპარაკების დროს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ იტალია და ბელგია.

ფრანგულ წრეებში მოსალოდნელად მიაჩნიათ ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობის შესუსტება, მაგრამ ჯერ-ჯერობით აშკარა კმაყოფილება ემჩნევათ იმის გამო, რომ მაკდონალდის მთავრობამ ფაქტიურად თავი შეიკავა მადრიდის მოლაპარაკებაში მონაწილეობისაგან და ისეთი არაფერი ჩაიდინა, რასაც ეხლავე შეეძლო ფრანგული პოზიციის დაბრკოლება.

ფრანგები არ მალავენ აგრეთვე თავიანთ კმაყოფილებას იმ ტაქტიკის გამო, რომელიც დაიჭირა გერმანიამ ეროვნულ უმცირესობათა საკითხში. შტრეზემანის დათმობის წყალობით ეს საკითხი დიდი ხნით მოიხსნა ერთა ლიგის დღის წესრიგიდან.

პოლონურ წრეებს აშფოთებთ ფრანგების მეგობრული კილო გერმანელებისადმი. ეს წრეები ყველაზე მეტად არიან უკმაყოფილონი მადრიდის სესიის შედეგებით, ამასთან ძალიან აფიქრებთ ხელისუფლების გამოცვლა ინგლისში და ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლების პერსპექტივა. (ადს).

ჰერბერტ სმიტი უარყოფს

ლონდონი, 16 ივნისი. ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის თავმჯდომარემ ჰერბერტ სმიტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ მემაღაროეთა ფედერაციას განზრახული აქვს მოახდინოს ზეგავლენა მუშათა მთავრობაზე კონსერვატიული მთავრობის მიერ შემოღებულ 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებისა და 7 საათის სამუშაო დღის აღდგენის მიზნით.

„ჩვენ არ ვაპირებთ,—განაცხადა სმიტმა,— რაიმე დრამატიული ნაბიჯის გადადგმას. ამჟამად ხელისუფლების სათავეში სდგას ისეთი მთავრობა, რომელსაც საკუთარი დაბრკოლებები აქვს. მთავრობამ თანდათანობით უნდა იმოქმედოს. მე იმედი მაქვს, რომ მემაღაროეები სათანადო ყურადღებით მოეპყრობიან მუშათა პარტიის მთავრობას, მაგრამ ადრე თუ გვიან ჩვენ დავუბრუნდებით 1926 წლამდე არსებულ მდგომარეობას".

ფედერაციის მდივანი კუკი ადასტურებს პრესის ცნობებს, რომ ფედერაციის აღმასკომმა დაადგინა—სთხოვოს მთავრობას მოიწვიოს თათბირი ქვანახშირის მრეწველობის საკითხების განსახილველად (ადს).

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

პრაღა, 16 ივნისი. ჩეხო-სლოვაკია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატამ (პრაღაში), რომელმაც ამას წინად მიიღო რეზოლუცია საბჭოთა კავშირთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საჭიროების შესახებ, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც, ოფიციალური სტატისტიკური ცნობების თანახმად, აღნიშნავს, რომ ჩეხო-სლოვაკიის ექსპორტი საბჭოთა კავშირში თავისი რაოდენობით უდრის ჩეხო-სლოვაკიის ექსპორტს საფრანგეთში.

„ამიტომ, — ნათქვამია პალატის განცხადებაში, — ის, ვინც უარჰყოფს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის მნიშვნელობას, ემყარება არა ეკონომიურ ინტერესებს, არამედ პოლიტიკურ მოსაზრებებს; ჩვენი ქვეყნის ინტერესები კი მოითხოვენ, რომ ამ შემთხვევაში ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ და მხოლოდ სამეურნეო თვალსაზრისით". (ადს).

ფინეთ - საბჭოთა კავშირის შეთანხმების რატიფიკაცია

ჰელსინგფორსი, 16 ივნისი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაამტკიცა ფინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება საბაჟოების ზედამხედველობის შესახებ ფინეთის სრუტეში და ის ოქმი, რომელიც ხელშეკრულებას აქვს დართული. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მოსკოვში ამა წლის აპრილს. (ადს).

„ტიანძინ ტაკუნ-ბაო" მოითხოვს ნორმალურ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან

პეკინი, 16 ივნისი. მემარჯვენე გომინდანის გავლენიანი გაზეთი „ტიანძინ ტაკუნ-ბაო" ეხება ხარბინის საკონსულოზე თავდასხმის შედეგებს და აღნიშნავს, რომ ჩხრეკა უშედეგოდ დამთავრდა და საკონსულოში ვერაფერი ვერ იპოვესო. გაზეთს საჭიროდ მიაჩნია ნორმალური ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან (ადს).

ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის საფრანგეთში

ბერლინი, 16 ივნისი. პარიზში გაიმართა ყველა კატეგორიის სახელმწიფო მოსამსახურეთა, აგრეთვე რკინისგზელთა ორი მრავალრიცხოვანი მიტინგი. შეკრებილნი მოითხოვდნენ ხელფასის მინიმუმად 10.800 ფრანკის დაწესებას, პროფკავშირის წევრობის უფლებას და გაფიცვის დროს დათხოვნილთა სამსახურში დაბრუნებას.

მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლებიც მოითხოვენ მთლიანი ფრონტის განმტკიცებას სახელმწიფოს, როგორც დამქირავებლის, წინააღმდეგ, აგრეთვე კერძო რკინის გზათა კომპანიების წინააღმდეგ.

„ვიზვოლენიე" ოპოზიციაში გადადის

ვარშავა, 16 ივნისი. პოლონეთის გლეხურ პარტიის—„ვიზვოლენიე"-ს ყრილობაზე ვარშავაში ზოგიერთმა დელეგატმა თავის სიტყვაში სასტიკად გაილაშქრა პილსუდსკის ეხლანდელი პოლიტიკის წინააღმდეგ, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მიღებულ რეზოლუციაში. მიღებულ იქნა განსაკუთრებული რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია პილსუდსკის წერილების დაუშვებელი კილო სეიმის მიმართ.

გაზეთები ეხებიან ყრილობის დადგენილებებს და იმ დასკვნამდე მიდიან, რომ „ვიზვოლენიე" მთავრობის მიმართ ოპოზიციის გზას დაადგება (ადს).

მაქს ჰელცის მოთხოვნა უარყოფილ იქნა

ბერლინი, 16 ივნისი. უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ უარჰყო მაქს ჰელცის მოთხოვნა მისი საქმის ხელახალი გარჩევის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი ამას მხარს უჭერდა; უარს იმით ასაბუთებენ, რომ მაქს ჰელცს თავის დროზე სასჯელი მიესაჯა, რამდენიმე დანაშაულის ჩადენისათვის, რომელთა შორის მემამულე მასის მოკვლა არ იყო ყველაზე უფრო მძიმე, მაქს ჰელცი კი საქმის გადასინჯვას მოითხოვს იმ საბუთით, რომ ეს მკვლელობა მას არ ჩაუდენია.

ბაჩე-საკაო ცდილობს ნადირ ხანის მოსყიდვას

თერმეზი, 16 ივნისი. აქ მიღებული ცნობების თანახმად, გარდეზში (ხოსტი) დამთავრდა ნადირ ხანის მიერ მოწვეული ჯირგა (ტომთა თათბირი), რომელსაც დაესწრო ბაჩე საკაოს დელეგაცია. დელეგაციამ მოითხოვა ნადირ ხანისაგან — ხელი აიღოს ბაჩე - საკაოს წინააღმდეგ ბრძოლაზე. მან ხაბიბულას სახელით შესთავაზა ნადირ ხანს პრემიერ მინისტრის თანამდებობა და ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, ხოლო თუ იგი არ ისურვებს ქაბულში დარჩენას, დაენიშნება წლიური პენსია, რომელსაც გადაუგზავნიან საზღვარგარეთ.

ნადირ - ხანმა გადაჭრით უარჰყო დელეგაციის წინადადება და მოითხოვა ხაბიბულას გადადგომა და სრულიად ავღანისტანის ჯირგის მოწვევა ემირის ასარჩევად.

ჯირგამ მხარი დაუჭირა ნადირ - ხანს და დაადგინა — არ სცნოს ხაბიბულა და გაილაშქროს ქაბულზე.

ფიქრობენ, რომ ხაბიბულას მთავრობა თვალსაჩინო ძალებს გამოიყვანს ნადირ-ხანის წინააღმდეგ. (ადს).

დახმარება ამერიკელ ფერმერებს

ნიუ-იორკი, 16 ივნისი. სენატმა მიიღო კანონპროექტი ფერმერებისათვის დახმარების გაწევის შესახებ. კანონიდან გამორიცხულ იქნა ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა სუბსიდიებს მარცვლეულის ექსპორტისათვის. კანონპროექტის თანახმად, მოსავლის ზედმეტი ნაწილის გაყიდვის გასაადვილებლად უნდა დაარსდეს ფონდი. ფონდში იქნება 500 მილ. დოლარი. სენატმა წინად ორჯერ მიიღო ის მუხლი, რომელიც ეხება სუბსიდიებს ექსპორტისათვის. ჰუვერი ამ მუხლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბოლოს, ისიც დასთანხმდა. წარმომადგენელთა პალატამ კანონპროექტი უფრო ადრე მიიღო. აგრარიები იმუქრებიან, რომ სუბსიდიების საკითხს დაუკავშირებენ საბაჟო ტარიფების გადათვალიერების საკითხს, რომელიც ამჟამად განხილვის სტადიაშია. (ადს).

ბინის დამქირავებელთა საპროტესტო მიტინგი

პარიზი, 16 ივნისი. ბინის დამქირავებელთა ფედერაციამ, რომელიც შრომის უნიტარულ კონფედერაციასთან არის დაკავშირებული, მოაწყო საპროტესტო მიტინგი ახალი საბინაო კანონის წინააღმდეგ. ამ კანონით გათვალისწინებულია არსებული ქირის თანდათანი გადიდება ოთხნახევარჯერ. მიტინგს დაესწრო 10.000 მუშაზე მეტი პარიზის ცენტრალური და განაპირა რაიონებიდან. ილაპარაკეს კომდეპუტატებმა კაშენმა და კლამამიუსმა, შრომის უნიტარული კონფედერაციის მდივანმა რეინიმ და ხელოსნების წარმომადგენელმა ფაკურიმ; ორატორების აზრით, ბინის ქირის ყოველი გადიდების დროს მუშებმა უნდა მოითხოვონ ხელფასის მომატება. კრებამ დიდის მღელვარებით ჩაიარა. ხალხი დაიშალა „ინტერნაციონალის" სიმღერით და ძახილით: „გაუმარჯოს საბჭოებს"-ო. (ადს).

69 კაცის პროცესი

ვარშავა, 16 ივნისი. გროდნოში დაიწყო 69 კაცის გასამართლება. მათ ჰბრალდებათ დასავლეთ ბელორუსიის კომპარტიის წევრობა. პროცესი გაგრძელდება 10 დღეს. ბრალდებულებს იცავს 15 ადგილობრივი და ვარშაველი ვექილი.

17 ივნისს ლვოვში დაიწყება იმ ჯგუფის გასამართლება, რომელსაც დასავლეთ უკრაინის კომპარტიის წევრობას აბრალებენ. ამავე დროს გაირჩევა საქმე მეორე ჯგუფისა, რომელსაც აბრალებენ უკრაინის სამხედრო ორგანიზაციის წევრობას და აქტიურ გამოსვლებს შარშანდელი ანტი - უკრაინული რბევის დროს. (ადს).

აჯანყება მაროკოში

საფრანგეთის კომპარტია მოითხოვს მაროკოს ევაკუაციას

პარიზი, 16 ივნისი. კომუნისტმა დეპუტატმა კაშენმა თემთა პალატაში შეიტანა შეკითხვა სამხრეთ მაროკოში მომხდარი უკანასკნელი შეტაკებების შესახებ. შეკითხვის სისწრაფის დასაბუთების დროს კაშენმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ჯარის ბრძოლა აიტი აკუბის რაიონში წარმოადგენს ტაფილალეტის რაიონში მცხოვრებ ტომთა დაპყრობის დასაწყისს, რაც აუარებელ მსხვერპლსა და ხარჯს გამოიწვევს. (ადს).

საბჭ. კავშირის ვაჭრობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან

მოსკოვი, 17 ივნისი. 15 ივნისს აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის მახლობელი აღმოსავლეთის სექციამ მოისმინა მოხსენება საბჭოთა კავშირის ვაჭრობის შესახებ აღმოსავლეთის ქვეყნებთან 1928 - 29 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში. წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საქონლის ბრუნვა სპარსეთთან, თურქეთთან, ეგვიპტესთან, არაბეთთან, ავღანისტანთან, ჩინეთთან, მონღოლეთთან, ტანტუვასთან და იაპონიასთან უდრიდა 171.470.000 მანეთს, აქედან ჩვენს ექსპორტზე მოდის 82.906.000 მანეთი, ხოლო იმპორტზე — 88.564.000 მანეთი. საქონლის ბრუნვა აღმოსავლეთის ქვეყნებთან 1927 — 28 წლის პირველ ნახევარში შეადგენდა 173.880.000 მანეთს. ვაჭრობის ცოტაოდენი შემცირება წარსულ წლებთან შედარებით (2 მილიონი მანეთით) უმთავრესად, გამოიწვია ვაჭრობის შემცირებამ ცენტრალურ ჩინეთთან.

ჩინეთთან ვაჭრობა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, წარსულ წელთან შედარებით, 9 მილიონი მანეთით შემცირდა. მთელმა ბრუნვამ სპარსეთთან წლის პირველ ნახევარში 73.865.000 მანეთს მიაღწია, წარსული წლის პირველი ნახევრის — 71.805.000 მანეთისა და მთელი 1926 —27 წლის 78.000.000 მანეთის ნაცვლად.

აღმოსავლეთის ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირში იმპორტის ზრდა უმთავრესად მოხდა ნედლეულის ხარჯზე. რაც შეეხება საბჭოთა ექსპორტს აღმოსავლეთის ქვეყნებში, წელს საგრძნობლად გაიზარდა ქსოვილების, ლითონის ნაწარმოების, ლითონის და სამშენებლო მასალის ექსპორტი. (ადს).

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს სესია

მოსკოვი, 17 ივნისი. გაიხსნა კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს სესია. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კამინსკიმ გააკეთა მოხსენება კოლმეურნეობათა მოძრაობის მორიგ ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა კოლმეურნეობათა მოძრაობის საგრძნობი ზრდა უკანასკნელი წლის განმავლობაში. არასრული ცნობებით, კოლმეურნეობათა რიცხვმა საბჭოთა კავშირში 50 ათასს გადააჭარბა. ნათესის სივრცემ 4 მილიონ ჰექტარს მიაღწია. (წარსულ წელს 1.900 ათასი ჰექტარი იყო). ღარიბ-საშუალო მასების ძლიერმა ლტოლვამ გამოიწვია ცალკე რაიონების მთლიანი კოლექტივიზაცია. მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მისცეს 680.000 ტონა პური ანუ გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 97 პროცენტი.

უკანასკნელი ცნობები

შრომის საერთაშორისო კონფერენციაზე

ბერლინი, 17 ივნისი. შრომის საერთაშორისო კონფერენციაზე ტომას მოხსენების გარშემო გამართული კამათის დროს ინგლისის დელეგატმა ვატსონმა განაცხადა, რომ ინგლისის მრეწველები ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაეთანხმებიან იმ განცხადებას, რომელიც კონფერენციაზე ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა ვოლფმა გააკეთა. ამ უკანასკნელმა განაცხადა, მაკდონალდის მთავრობა ზომებს მიიღებს, რომ რაც შეიძლება ჩქარა დამტკიცდეს ვაშინგტონის შეთანხმება 8 საათის სამუშაო დღის შესახებო. ვატსონმა წინადადება შეიტანა, რომ მომავალმა საერთაშორისო კონფერენციამ გადაათვალიეროს ვაშინგტონის შეთანხმება. ადს).

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის წინააღმდეგ

პეკინი, 17 ივნისი. პეკინის გაზეთი „იში-ბაო" აფრთხილებს სათანადო ორგანოებს, რომ ჩინეთმა ურთიერთობა არ შესწყვიტოს საბჭოთა კავშირთან, რადგან „არ უნდა დავივიწყოთ, რომ საერთო საზღვარი უდიდეს მანძილზე ჩინეთისა და რუსეთის ინტერესების გადახლართულია". (ადს).

ჩუან ძინ-ბუის გადადგომა

ხარბინი, 16 ივნისი. ოფიციოზი „გუნ ბაო" იუწყება: მუკდენში თათბირზე საბჭოთა კავშირის საკონსულოს გაჩხრეკის შესახებ ხარბინში. ქალაქში ხმაა გავრცელებული ჩუან ძინ-ბუის გადადგომის შესახებ, რასაც უკავშირებენ საბჭოთა საკონსულოს ჩხრეკის მარცხით დამთავრებას. (ადს)

სხვა ქალაქებს ჰბაძავენ

ვარშავა, 17 ივნისი. გაზეთი „მომენტი" იუწყება პოლონეთის სხვა ქალაქების მსგავსად კრაკოვში შეიქმნა ხულიგნების ჯგუფები, რომლებიც ქუჩებში ებრაელებს სცემენ. ადს).

საზღვარგარეთელი პოლონელების ყრილობა

ვარშავა, 17 ივნისი. საზღვარგარეთელი პოლონელების ყრილობა ვარშავაში 14 ივლისიდან 18 ივლისამდე გასტანს. ყრილობის დამთავრების შემდეგ დელეგატები გაემგზავრებიან გამოფენაზე პოზნანში და კრაკოვში. ყრილობის მუშაობის მფარველობას გაუწევენ პრეზიდენტი მოსციცკი და პილსუდსკი. ყრილობის ორგანიზატორების ანგარიშით პოლონელთა რიცხვი საზღვარგარეთ 7 მილიონს უდრის. ყრილობის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობების დაგზავნასთან ერთად, გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებულმა სააგენტომ „პრეს"-მა გაზეთებს მიაწოდა ცნობა ამ სათაურით: „კომუნისტებს განზრახვა აქვთ თავს დაესხან ყრილობას". ეს ცნობა შეიცავს შიშს 14 კაცის დელეგაციის წინაშე, რომელიც დომბალის მეთაურობით ყრილობაზე აპირებს მოსვლას. (ადს)

პრუსიისა და ვატიკანის შეთანხმება

ბერლინი, 17 ივნისი. ხელი მოაწერეს შეთანხმებას პრუსიასა და ვატიკანს შორის.

სოლოვსკის სასჯელი შეუმცირეს

პარიზი, 16 ივნისი. როგორც ჰავასი იუწყება, ყალბი ანტი-საბჭოთა დოკუმენტების დამამზადებელს სოლოვსკის, რომელსაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ აფერისტობისათვის 8 თვის პატიმრობა მიუსაჯა, სააპელაციო სასამართლომ სასჯელი შეუმცირა და მიუსაჯა მხოლოდ 200 ფრანკი პირობითი ჯარიმა. განაჩენს ასაბუთებენ იმით, რომ სოლოვსკის მოქმედება არის არა აფერისტობა, არამედ მოტყუების უბრალო ცდა საქონლის გაყიდვის დროს. (ადს)

სამხედრო მოქმედება აჯანყებულთა წინააღმდეგ

პარიზი, 16 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „აიტი აკუბისა და ელ ბორჯის რაიონში სიწყნარეა. მზვერავმა ჰაერპლანებმა შენიშნეს თავმოყრილი აჯანყებულნი და ყუმბარები დაუშინეს". (ადს)

მდ. კოდორის ადიდება

სოხუმი, 17 ივნისი. უკანასკნელი ძლიერი წვიმების გამო მდ. კოდორის დონემ საგრძნობლად აიწია. წყალმა დაფარა კოდორის ხე-ტყის ქარხნის (რომელიც ეხლა შენდება) ტერიტორიის ნაწილი. კოდორის ზემო ნაწილში ჩაშვებული ორასი მორი წყალმა ზღვაში გაიტაცა. მდ. კოდორის დონე კლებულობს. (ადს)

საკავშირო კომპარტიის ცეკა

პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში

მოსკოვი, 17 ივნისი. გამოქვეყნდა საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილება პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანების გადაჭრა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში მოითხოვს მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის შემდგომ განმტკიცებას სოფლად და პროლეტარული ქალაქისა და სოფლის კავშირის გაძლიერებას. ამასთან დაკავშირებით, მუშათა კლასის ორგანიზაციების წინაშე სდგება ახალი ამოცანები სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განვითარების, მოსავლიანობის გადიდების, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ორგანიზაციების განმტკიცების და საშუალო გლეხობის კულაკის წინააღმდეგ დარაზმვის საქმეში.

შემდეგ ცეკა მიუთითებს, რომ პროფკავშირები სოფლად ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანებს; პროფორგანიზაციებმა ჯერ - ჯერობით ვერ გამოიყენეს ყველა შესაძლებლობა პროლეტარული გავლენის გასაძლიერებლად სოფლად; პროფორგანოები სათანადოდ ვერ ამზადებენ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ მუშებს სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის აქტიური გამტარებლებისა და ორგანიზატორების როლისთვის, საკმაო პროლეტარულ გავლენას ვერ ახდენენ საბჭოთა ორგანოებისა და კოოპერაციის მუშაობაზე სოფლად, სუსტად მუშაობენ სოფლიდან ჩამოსული მუშების აღზრდის და მათი პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში. არადამაკმაყოფილებლად სრულდება პარტყრილობების დირექტივები პროფკავშირების მუშაობის გაძლიერების შესახებ სოფლად.

ცეკა, აღნიშნავს, რა ყველა ამ დეფექტს, მოითხოვს გადამჭრელ გარდატეხას პროფკავშირების მუშაობაში სოფლად.

პროფკავშირების ერთ - ერთ ძირითად ამოცანად ცეკას მიაჩნია სოფელთან დაკავშირებულ მუშათა კადრების კლასობრივად აღზრდა, რათა ამ კადრების საშუალებით შესაძლებელი გახდეს პროლეტარული გავლენის გავრცელება მუშების საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ინიციატორთა აღზრდას სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ მუშებისაგან. პროფორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა სეზონის მუშებს შორის სასეზონო მუშაობის დროს და დაბრუნების შემდეგაც. სოფლის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშონ პროფკავშირებმა, რომელნიც აერთიანებენ ინტელიგენტური შრომის მუშაკებს სოფლად — განათლების მუშაკებს, საბჭოთა მოსამსახურეებს და მედსანშრომის მუშაკებს. საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ და პროფკავშირების ც. კ.-ებმა უნდა მიიღონ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მისცემენ სოფლის ინტელიგენციას შეასრულოს მთელი რიგი ამოცანები — ლიტერატურის მომარაგება, კონსულტაციის მოწყობა და თათბირების ჩატარება. საშეფო ორგანიზაციებმა და პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში მუშაობა განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს, ამიტომ პროფმოძრაობამ გაძლიერებული დახმარება უნდა გაუწიოს სახსრებით და მუშაკებით ამ რესპუბლიკების და ოლქების პროფორგანიზაციებს. იმისთვის, რომ პროფკავშირებმა სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშაობას სოფლად, ცეკას საჭიროდ მიაჩნია სოფლად მუშაობის მუდმივი განყოფილების მოწყობა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოსთან. (ადს),

მოხსენება ამხ. სტალინს

მოსკოვი, 16 ივნისი. ამხ. სტალინის სახელზე მიღებულ იქნა შემდეგი დეპეშა:

„თქვენი სახელობის ლითონის ქარხნის მუშებმა ბელორეცკში გამართეს საზეიმო კრება ურალის უძლიერესი ღუმელის პირველი ამუშავების გამო. გაცნობებთ: რამდენიმე სანიმუშო დნობა კარგი აღმოჩნდა. ღუმელი დამაკმაყოფილებლად მუშაობს. მისი ნაყოფიერება დღე-ღამეში 120 ტონს უდრის. დამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე 5.100 კილოვატიანი ახალი ტურბოგენერატორი. ამ დღეებში ავამოქმედებთ ელექტრონით მომუშავე ღუმელს. სოციალისტური შეჯიბრება ცოცხლად მიმდინარეობს. გაცდენის შემთხვევები შემცირდა. პროდუქცია ხარისხობრივად და რიცხვობრივად იზრდება. თვითღირებულების შემცირებას სავსებით ჩავატარებთ, ვიძლევით საქმისა და პარტიისადმი ერთგულების პირობას. ვუძღვნით მუშურ სალამს სოციალისტური მშენებლობის შტაბს —პარტიის ცეკას.

ბელორეცკის ქარხნის სოციალისტური შეჯიბრების შტაბი". (ადს).

საბჭოთა აპარატის წმენდისა და შემოწმების ინსტრუქციის დამატება

მოსკოვი, 17 ივნისი. იმ ინსტრუქციის დასამატებლად, რომელიც შეეხება საბჭოთა აპარატის წმენდას და შემოწმებას, საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი განმარტავს, რომ საერთოდ არ უნდა მოხდეს პედაგოგიური შრომის მუშაკთა (ყველა ტიპის სასწავლებლების მასწავლებლები, საბავშვო სახლებისა და საბავშვო ბაღების აღმზრდელნი) მასიური წმენდა. თუ გამწმენდ კომისიაში შემოვა დასაბუთებული განცხადებები იმის შესახებ, რომ ამ კატეგორიის რომელიმე ცალკე პირს თავისი მუშაობით ზიანი მოაქვს მუშათა კლასის ინტერესებისათვის, კომისიამ ასეთი განცხადებები აუცილებლად უნდა განიხილოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენლის თანადასწრებით (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„ხაზეინების" რჩევა „მუშათა" მთავრობას

„პრავდა"-ს ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება: მუშათა პარტიის ორატორები ცდილობენ მუშების მთელი ყურადღება მიაპყრონ მაკდონალდისა და დაუესის მოლაპარაკებას, რომელიც ახლო მომავალში იწარმოებს.

საკითხი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ მიფუჩეჩებულია. კონსერვატიული პრესა არწმუნებს მაკდონალდს, რომ უმჯობესია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენა გადაიდოს ინგლის-ამერიკის შეთანხმების მიღწევამდე. ჰენდერსონის ორაზროვანი განცხადებებიც ამავე შინაარსის იყვნენ.

გუშინ ლოიდ ჯორჯი მოითხოვდა, რომ დაუყოვნებლივ განახლებულ იქნას ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ლიბერალებს კიდევ მრავალჯერ ექნებათ შესაძლებლობა გამოვიდნენ იმ მოთხოვნილებათა დამცველის როლში, რომლებიც მასებში განსაკუთრებული პოპულიარობით სარგებლობს.

ფორდთან დადებულ ხელშეკრულების გარშემო

ამ დღეებში დაბრუნდა ნიჟნი-ნოვგოროდიდან საბჭოთა კავშირის სახ. მ. უ. საბჭოს განსაკუთრებული კომისიის თავმჯდომარე ამხ. ტოლოკონცევი, რომელმაც განაცხადა, რომ დროებითი შემკრები სახელოსნო უკვე 1930 წლის 1 ივნისისათვის გამოუშვებს 6000 ცალს „ფორდის ტიპის" ავტოს.

პირველი და უკანასკნელი წერილი მოღალატე მამას

ბუხარის ყოფ. ემირის ვაჟმა შახმურადმა ღია წერილით მიმართა თავის მამას, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინად გამოაქვეყნა შავრაზმულ-ბანდიტური მოწოდება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამავე დროს ჩვენს ტერიტორიას გარმის ახლოს თავს დაესხნენ ბასმაჩების ბანდები. ემირის ვაჟი შახმურადი სხვა ბანაკს ეკუთვნის, იგი ამჟამად სწავლობს მოსკოვში, მუშფაკში.

„გწერ ჩემს სიცოცხლეში პირველ და უკანასკნელ წერილს — უთვლის შახმურადი მამას, მე არ მინდოდა წერილის გამოგზავნა, მაგრამ უკანასკნელ დღეებში მომხდარი ამბები მაიძულებენ გადავდგა ეს ნაბიჯი". შემდეგ შახმურადი იგონებს მამის ფეოდალურ ბატონობას, როდესაც მთელი რეგისტანი მორწყული იყო ღარიბ დეჰკანების სისხლით, „იმ ადამიანების სისხლით, რომლებმაც გაბედეს ხმის ამოღება შენი მკაცრი დესპოტიის წინააღმდეგ, რომელიც შენ გაძარცვე შენი ბატონობის დროს".

შემდეგ შახმურადი სწერს, თუ როგორ მოკვდა ემირის ბუხარა და მის ნაცვლად მოვიდა ხალხის ხელისუფლება, როგორ შეიქმნა უზბეკისტანის სოც. საბჭოთა რესპუბლიკა. „ბუხარა გადაიქცა ახალ ქვეყნად, იქ ადგილი აღარ აქვს ძალადობას, ჩაგვრას. აი, უკვე 6 წელია მე მოსკოვში ვსწავლობ, ამ ხნის განმავლობაში სავსებით შენ შემძულდი, მე ვსთვლი, რომ მამა თითქოს სრულიად არა მყოლია.

შენ, როგორც ხვრელიდან განდევნილი კურდღელი, ცდილობ თავს დაესხა საბჭოთა ტაჯიკისტანს, რათა შემდეგ იმპერიალიზმის გასისხლიანებული ხელით და ბაჩე საკაოს მოღალატე მთავრობის დახმარებითა და მფარველობით გადახვიდე ბუხარაში, დაამხო იქ საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ ეს არ მოხდება! საბჭოთა ტაჯიკისტანს ზურგს უმაგრებს ძლიერი საბჭოთა კავშირი, რომელსაც თავის მხრივ მხარს უჭერს დასავლეთის მუშათა კლასი და მთელი კოლონიალური აღმოსავლეთი".

პროფკავშირების მონაწილეობა საბჭოთა აპარატის წმენდაში

საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მიმართვა

მოსკოვი, 17 ივნისი. გამოქვეყნდა საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს მიმართვა მუშებისა, მოსამსახურეებისა და პროფკავშირებისადმი. მიმართვა ეხება პროფკავშირების მონაწილეობას საბჭოთა აპარატის წმენდაში.

„აპარატის შემოწმებისა და წმენდის მიზანია,—ნათქვამია მიმართვაში,—უფრო შრომის უნარიანი გახადოს დაწესებულებები მათი პირადი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების გზით.

მასების თვითკრიტიკის ფართოდ და გაბედულად გაშლის გზით კავშირებმა ხელი უნდა შეუწყონ მუშებსა და მოსამსახურეებს—გამოაშკარაონ წმენდის დროს ბიუროკრატიული დამახინჯება, კლასობრივი ხაზის გამრუდება, ბოროტმოქმედება და სხვ. დეფექტები, როგორც ცალკე პირების, ისე სახელმწიფო აპარატის მუშაობაში. ამავე დროს კავშირებმა უნდა გამოარკვიონ, თუ როგორ აფასებენ მასები დაწესებულების აპარატის მუშაობას. საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო პროფესიონალური კავშირების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ მათ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მუშათა და გლეხთა ინსპექციას საბჭოთა აპარატის შემოწმებისა და წმენდის საქმეში. განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობა აქვს კავშირების მიერ პროლეტარების ახალი კადრების (ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან) დაწინაურებას საბჭოთა აპარატიდან წმენდის წესით დათხოვნილ მოსამსახურეების ადგილებზე. პროლეტარულ სახელმწიფოს პირობებში პროფკავშირები წარმოადგენენ იმ მთავარ წყაროს, რომელიც აპარატს აწვდის ახალ კადრებს და რომელმაც სავსებით უნდა დააკმაყოფილოს პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების მოთხოვნილება. პროფკავშირები წარმოადგენენ კომუნიზმის სკოლას და ეს როლი მათ უნდა შეასრულონ მრავალი ათასი მუშის მომზადებით და დაწინაურებებით საბჭოთა აპარატში. ამიტომ კავშირების მთავარი საქმე აპარატის შემოწმებისა და წმენდის ჩატარებაში უნდა შეადგენდეს ახალი კადრების დაწინაურება საბჭოთა სამუშაოზე“.

„საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო,—ნათქვამია დასასრულ მიმართვაში,—დარწმუნებულია, რომ მუშათა ფართო მასების ინიციატივა და თვითმოქმედება უზრუნველყოფენ მუშათა კლასის წინაშე დასმული ამოცანის სისწორით შესრულებას. ეს ამოცანაა—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის განხორციელება, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და წარმატებით წინსვლა სოციალიზმისაკენ“ (ადს).

უღმერთოთა ყრილობა

მოსკოვი, 17 ივნისი. უღმერთოთა ყრილობაზე ამხ. პუტინცევმა გააკეთა მოხსენება სექტანტური მოძრაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პრესაში მოყვანილი ცნობები სექტანტების რაოდენობის შესახებ საგრძნობლად გადაჭარბებულია. ბაპტისტების რიცხვი საბჭოთა კავშირში 350—400 ათასს უდრის, ამდენივეა ევანგელისტი. სექტანტებს შორის ბევრია კულაკი. ხელმძღვანელად უმთავრესად კულაკები, ვაჭრები და ნეპმანები არიან.

მოხსენება ეროვნებათა შორის ანტირელიგიური მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. დიმანშტეინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ამჟამად არსებობს უღმერთოთა 27 რესპუბლიკანური და საოლქო ორგანიზაცია. მორიგ ამოცანას შეადგენს ანტირელიგიური მუშაობის გაშლა ეროვნულ სოფელში. ჟურნალების ტირაჟი ეროვნულ ენებზე უდრის 500-დან 3.500-მდე ეკზემპლიარს. ამხ. დიმანშტეინმა დასახა უღმერთოთა ამოცანები მუსლიმანობის, ბუდიზმის, ლამაიზმის, ებრაული, კათოლიკური და ლუთერანული რელიგიის წინააღმდეგ საბრძოლველად და აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ძნელია ბრძოლა აღმოსავლეთში.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ჩვენ ჯეროვანად ვერ ვაფასებთ კათოლიკური სამღვდელოების როლს, თუმცა საბჭოთა კავშირში 1 მილიონი კათოლიკეა, კათოლიკების კსენძებს, ბურიატ-მონგოლების დანებს და ებრაელთა რაბინებს მჭიდრო კავშირი აქვთ საზღვარგარეთის რელიგიურ ორგანიზაციებთან. კერძოდ, კსენძები ხშირად არიან ხოლმე თეთრი პოლონეთის აგენტები. ანტირელიგიური ბრძოლა უნდა დაუკავშიროთ ანტისემიტიზმთან ბრძოლას.

მოსკოვი, 17 ივნისი. დაიხურა უღმერთოთა მეორე სრ. საკავშირო ყრილობა. უღმერთოთა კავშირს დაერქვა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“. კავშირში მიიღებიან მშრომელები 14 წლის ჰასაკიდან, ახალგაზრდა უღმერთოთა ჯგუფებში რვა წლის ჰასაკიდან. კავშირის დევიზია — „ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, ბრძოლა სოციალიზმისათვის“. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრ. საბჭოში არჩეულ იქნა 95 წევრი და 32 კანდიდატი, მათ შორის ამხ. იაროსლავსკი, მაქსიმ გორკი, კრუპსკაია, ლუნაჩარსკი, სარაბიანოვი, პროფესორი ზავადოვსკი, სეპი, ვილიამსი და სხვ. ამხ. იაროსლავსკის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობა დაიხურა „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

მოსკოვი, 17 ივნისი. მებრძოლი უღმერთოების კავშირის ცენტრალური საბჭოს პირველ პლენუმზე თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. იაროსლავსკი, მოადგილეებად — ამხ. ხტუკოვი და ლუკაჩერსკი, პასუხისმგებელ მდივნად — ამხ. ოლეშჩუკი.

ავტო-ქარხნის მშენებლობისათვის

მოსკოვი, 17 ივნისი. მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს საგანგებო კომისია, რომელმაც იმოგზაურა ნიჟნი-ნოვგოროდში იმ მიზნით, რომ საბოლოოდ აერჩია ადგილი წლიურად 100.000 მანქანის გამომშვები ავტო-ქარხნისათვის. ქარხნის ასაგებ ადგილად საბოლოოდ არჩეულ იქნა მდ. ოკას მარჯვენა ნაპირი, — ნიჟნი-ნოვგოროდიდან 9 კილომეტრის მანძილზე.

განზრახულია ფორდის ნაწილებიდან ავტომობილების აკრება დროებით მოეწყოს „გუდოკ ოქტიაბრია“-ს ქარხანაში.

მანქანების აკრების საქმის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გამოსარკვევად, გადაწყვეტილია ავტომშენის ერთ-ერთი ინჟენერი სასწრაფოდ გაიგზავნოს ფორდის ამკრებ ქარხანაში. (ადს).

ამხ. მიხა ცხაკაია ახალქალაქში

ახალქალაქი, 17 ივნისი. ახალქალქში მაზრის გასაცნობად ჩამოვიდნენ ამ.-კავკასიის ცაკის და საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია და საქართველოს ცაკის მდივანი ამხ. თოდრია. სტუმრების შესახვედრად გზატკეცილზე გამოვიდნენ მთელი პროფკავშირთა მასა, გლეხები მახლობელი სოფლებიდან, ხელოსნები და კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციები. 1 საათზე სტუმრები მოვიდნენ. აქვე ამხ. ცხაკაიამ მოკლე სიტყვით მიმართა ხალხს და გადასცა მთავრობის სალამი ახალქალაქის მაზრის მშრომელთ. 2 საათზე გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო დიდძალი გლეხობა და ქალაქის მშრომელი მოსახლეობა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ცხაკაიამ და თოდრიამ. მათ აღნიშნეს, რომ ახალქალაქის მშრომელმა გლეხობამ, რომელმაც პოლიტიკური გამოცდა ჩააბარა საბჭოთა უკანასკნელი არჩევნების დროს, მთავრობასთან ხელიხელ ჩაკიდებულმა უნდა იმუშაოს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის. მთელი ქალაქი მორთულია პლაკატებით და მისალმებებით, რომლებიც მიძღვნილია რევოლიუციის ვეტერანისადმი.

საღამოთი ქალაქის თეატრის შენობაში გაიმართა პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციების საერთო-საქალაქო კრება პროფკავშირების წევრთა თანადასწრებით. კრებაზე ამხ. მიხა ცხაკაიამ გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც გმობს პოლონეთის ხელისუფლების მოქმედებას და მოითხოვს მთავრობისაგან პოლონეთის წარმომადგენელთა გაძევებას საქართველოს ფარგლებიდან. (ადს)

მტკვარისა და არაქსის ადიდება

ბაქო, 17 ივნისი. მტკვრისა და არაქსის ახალი ადიდების გამო, მოსალოდნელია წყლის გადმოვარდნა ნაპირებიდან. მტკვარი ელვასთან სწრაფად დიდდება. დღე-ღამის განმავლობაში წყალმა აიწია 38 სანტიმეტრით. არაქსმა ჯულფასთან აიწია 6 სანტიმეტრით.

მდინარის ადიდება ხელს უშლის მიუსრალის გარღვეული ნაპირის გამაგრებას. (ადს).

ფაშისტური პოლონეთის წინააღმდეგ

აღშფოთების ტალღა მთელს საქართველოში

საქ. სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობის პროტესტი

მოვითხოვთ პოლონეთის წარმომადგენლობის გაძევებას

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში, პოლონეთში მომხდარ ანტისაბჭოთა გამოსვლების გამო, ნათქვამია:

„მეცხრე წელიწადია, რაც საქართველოს მშრომელმა ხალხმა თავი გაინთავისუფლა მენშევიკების და წვრილი ბურჟუაზიის ბატონობისაგან და მტკიცედ შეუდგა სოციალისტურ მშენებლობას. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მშრომელი ხალხი გაძლიერდა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. საბჭოთა კავშირის მიღწევები სოციალისტურ მშენებლობის საქმეში მოსვენებას არ აძლევს ფაშისტურ ბურჟუაზიას და მათ ლაქია მენშევიკებს, რომლებიც ამ მშენებლობის შესაფერხებლად მიმართავენ სხვადასხვა ჭორების გავრცელებას და აგრესიულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საქართველოს სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობა აღშფოთებას გამოსთქვამს პოლონეთის ფაშისტური მთავრობის და მისი ლაქია-მენშევიკების უკანასკნელ ანტისაბჭოთა გამოსვლის გამო. ყრილობა აცხადებს ყველას გასაგონად, რომ ჩვენი კლასიური მტრების ყოველ ასეთ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობა უპასუხებს კომუნისტური პარტიის გარშემო უფრო მჭიდროდ შეკავშირებით და სოციალისტური მშენებლობის გაძლიერებით. ყრილობა მოითხოვს მთავრობისაგან დაუყოვნებლივ განდევნილი იქნეს საბჭოთა საქართველოს ფარგლებიდან ფაშისტურ პოლონეთის წარმომადგენლობა“.

იარაღით ხელში დავიცავთ დიდი რევოლიუციის მონაპოვართ.

ჭიათურა, 17 ივნისი. ჭიათურის რაიონის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კრება უღრმეს გულისწყრომას გამოსთქვამს პოლონეთის ფაშისტურ მთავრობის მიმართ ქართულ ემიგრანტ მენშევიკებისადმი მფარველობის გამო. კრება მოითხოვს რა პოლონეთის საკონსულოს გაძევებას ჩვენი ქვეყნიდან, სიტყვას იძლევა იარაღით ხელში დაიცვას დიდი რევოლიუციის მონაპოვარი.

სალი კლდესავით აღვიმართებით პროლეტარულ სახელმწიფოს დასაცავად

ჭიათურა, 17 ივნისი. პროფინტერნის სახელობის მაღაროს მუშების კრება, რომელსაც 700 კაცამდე დაესწრო, პროტესტს უცხადებს პოლონეთის პანების მთავრობას ავანტიურისტულ მოქმედების გამო. კრება მოითხოვს რა შლიახტის წარმომადგენლობის გაძევებას საბჭოთა კავშირიდან, ფიცსა სდებს მთავრობის პირველ გამოძახილისთანავე სალი კლდესავით აღიმართოს პროლეტარულ სახელმწიფოს დასაცავად.

არავითარი დათმობა ავაზაკურ მთავრობას

ჭიათურა, 17 ივნისი. ფ. მახარაძის სახელობის მაღაროების მუშათა კრება, რომელსაც დაესწრო 2.000 მომუშავე, აღშფოთებას გამოსთქვამს პოლონეთის უკანასკნელი თავხედური მოქმედების გამო. მემაღაროელთა კრებას დაუშვებლად მიაჩნია რა დაუძინებელი მტერის წარმომადგენლის ყოფნა ჩვენს ტერიტორიაზე, მოითხოვს არავითარ დათმობას არ ექნეს ადგილი ავაზაკურ მთავრობის მიმართ.

წყევლა-კრულვით იხსენიებენ მენშევიკების ბატონობას საქართველოში.

ჭიათურა, 17 ივნისი. ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის მაღაროს მუშების კრება, რომელსაც დაესწრო 1.200 კაცი, წყევლა-კრულვით იხსენიებს მენშევიკების ბატონობას საქართველოში. კრება მოითხოვს, რა პოლონეთის საკონსულოს განდევნას, სიტყვას იძლევა გაათკეცონ მუშაობა საბჭოთა კავშირის თავდაცვის გასაძლიერებლად.

სოციალისტური აღმშენებლობის გაძლიერება—აი ჩვენი პასუხი.

ჭიათურა, 17 ივნისი. ამხ. სტალინის სახელ. მაღაროების და ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა მიტინგს საჭიროდ მიაჩნია დაუზოგველი ბრძოლა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მოისურვებს ოქტომბრის რევოლიუციის ოდნავ შებღალვას. მიტინგი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობისა და თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებით უპასუხებს პოლონეთის მთავრობის უკანასკნელ თავხედურ მოქმედებას.

პოლონეთის შლიახტის ბნელი ზრახვები ვერ შეარყევენ საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ძმურ კავშირს.

ლანჩხუთი, 17 ივნისი. ლანჩხუთის მასიური საპროტესტო მიტინგი ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს პოლონეთის მთავრობისა და საქართველოდან გადახვეწილ მენშევიკთა უტიფარი საქციელის გამო. ქართველი მშრომელები, რომლებიც ჩაბმული არიან სოციალისტურ აღმშენებლობაში, არავის მისცემენ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლებას. მიტინგი მოითხოვს რა პოლონეთის საკონსულოს გაძევებას, აღნიშნავს რომ პოლონელ შლიახტის ბნელი ძალები ვერ შეარყევენ საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ძმურ კავშირს.

სოხუმის მუშა-მოსამსახურეები პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგ.

სოხუმი, 17 ივნისი. ხეზე მომუშავეების საერთო კრება სასტიკად გმობს ქართველ კონტრრევოლიუციონერთა და პოლონეთის მთავრობის მოქმედებას და მოითხოვს პოლონეთის საკონსულოს განდევნას საბჭოთა კავშირიდან.

სოხუმი, 17 ივნისი. აფხაზეთის განათლების მუშაკთა კონფერენცია პოლონეთის პროვოკაციული მოქმედების გამო აღთქმას იძლევა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველგვარ ბოროტ ზრახვებს მიმართულს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სოხუმი, 17 ივნისი. საბჭოთა, სავაჭრო და მედმუშაკთა გაერთიანებული კრება კატეგორიულ პროტესტს უცხადებს პოლონეთის მთავრობას პროვოკაციულ ნაბიჯის გამო და მოითხოვს მისი წარმომადგენლის გაძევებას პროლეტარულ სახელმწიფოდან.

სოხუმი, 17 ივნისი. ხელოვნების მუშაკთა კრება აღნიშნავს, რომ სასტიკად შეებრძოლება ყველა იმათ, ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს მშრომელთა ნაყოფიერ საქმიანობას კულტურულ რევოლიუციის ფრონტზე.

ფოთის საბჭოს პლენუმისა და უცხოელ მეზღვაურთა პროტესტი.

ფოთი, 17 ივნისი. ფოთის საბჭოს გაფართოებული პლენუმი სხვადასხვა ორგანიზაციების აქტივთან და უცხოელ მეზღვაურებთან ერთად მოაგონებს პოლონეთის ყაჩაღურ მთავრობას, რომ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლოა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსვლა მსოფლიო მუშათა კლასის რისხვას გამოიწვევს პოლკოვნიკების მთავრობის წინააღმდეგ. შორს შოვინისტური მთავრობის წარმომადგენლები საბჭოთა საქართველოდან.

ფოთის მასწავლებელთა ხმა.

ფოთი, 17 ივნისი. ფოთის მასწავლებელთა გაერთიანებული კრება აღნიშნავს, რა პოლონეთის ანტისაბჭოთა პოლიტიკას, რომელიც საფრთხეს უქადის სოციალისტურ მშვიდობიან აღმშენებლობის საქმეს, მოითხოვს პოლონეთის წარმომადგენლობის გაძევებას საბჭოთა კავშირიდან.

საპროტესტო მიტინგი ხონში

ხონი, 17 ივნისი. იმის გამო, რომ პოლონეთის მთავრობამ უარი განაცხადა დაეკმაყოფილებინა საბჭოთა მთავრობის მოთხოვნა და მიეღო პროტესტი, აბრეშუმის საქსოვი ქარხნის 500 მუშის თაოსნობით და მოთხოვნით ხელახლა გაიმართა საპროტესტო მიტინგი. სალაპარაკოთ გამოსული მუშები, მათ შორის ისინიც, რომლებიც წინად მენშევიკურ პარტიაში მუშაობდნენ, სასტიკ პროტესტს აცხადებდნენ პოლონეთის უმსგავსო საქციელის წინააღმდეგ. ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„დაე იცოდნენ პოლონელმა პანებმა და სხვა კლასობრივმა მტრებმა, რომ ჩვენ არავის მივსცემთ ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევის ნებას. ჩვენ, ისევე, როგორც ყველა მშრომელი, ყოველ წუთს მზადა ვართ საკუთარი მკერდით დავიცვათ ოქტომბრის მონაპოვარი. მტრების საპასუხოდ ჩვენ, კომპარტიის ხელმძღვანელობით უფრო მეტად შევამჭიდროებთ საკუთარ რიგებს სოციალისტური მშენებლობის განსავითარებლად და თავდაცვის გასაძლიერებლად“.

მიტინგი მოითხოვს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღოს გადამჭრელი ზომები პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლების წინააღმდეგ. კერძოდ, მიტინგი მოითხოვს პოლონეთის კონსულის გაძევებას თბილისიდან. (ადს).

მოთმინების ფიალა აივსო

ხონი, 17 ივნისი. ხონის რაიონის შუდღევე თემში ჩატარებულ მიტინგები, რომელსაც მუშა-მოსამსახურეები, ინტელიგენცია, გლეხები და ქალებიც ესწრებოდნენ, მოითხოვდნენ რა პოლონეთის საკონსულოს დაუყოვნებლივ გაძევებას, აღნიშნავდნენ, რომ მოთმინების ფიალა ავსებულია, საჭიროა ბოროტი ზრახვები ძირშივე აღიკვეთოს.

მასწავლებლობა მზად არის საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად

სამტრედია, 17 ივნისი. სამტრედიის რაიონის მასწავლებელთა კონფერენცია იგონებს რა საქართველოში მენშევიკური მთავრობის ბატონობას, მაშინდელ გაჭირვებას და ერთა შორის ხოცვა-ჟლეტას, სიტყვას იძლევა პირველ დაძახებისთანავე იარაღით ხელში დაიცვას საბჭოთა ხელისუფლება.

ოქტომბრის დროშას ვერავინ შეაბღალავს

ხობი, 17 ივნისი. შავი ზღვის რკინის გზის და ხობის მუშა-მოსამსახურეების და მშრომელ გლეხობის გაერთიანებული კრება სასტიკად გმობს პოლონეთის მთავრობის მხრივ საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის ცდას. კრება მოითხოვს პოლონეთის საკონსულოს გაძევებას პროლეტარულ სახელმწიფოდან და პატიოსან სიტყვას იძლევა, არ მისცეს ნება, რომ ვინმემ ოდნავ შებღალოს ოქტომბრის წითელი რევოლიუციონური დროშა.

აზერბეიჯანისა და სომხეთის მწერლები საქართველოში

მწერალთა დელეგაციები კახეთში

კვირას, 16 ივნისს, დილით, სომხეთ-აზერბეიჯანის მწერალთა დელეგაციები ქართველ მწერლებთან ერთად ავტომანქანებით გაემგზავრნენ კახეთში, მწერლებს თან გაჰყვნენ აგრეთვე საქ. კ. პ. თბ. კომიტეტის აგიტ-პროპ. განყ. გამგე ამხ. **ბედია** და საქ. პროფსაბჭოს კულტ. განყოფ. გამგე ამხ. **მიქაძე**.

გზა და გზა მათ დაათვალიერეს კახეთის მდიდარი ბუნება და შეჩერდნენ წინანდალის საბჭოთა მეურნეობაში.

აქ მათ დახვდათ ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ამხ. **შ. ელიავა**, საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. **ს. ჯუღელი**, კახეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **დ. აფციაური** და წინანდალის საბჭოთა მეურნეობის გამგე.

მწერლებმა შემოიარეს წინანდალის ბოტანიკური ბაღი. მებაღე სპეციალისტებმა მწერლებს გააცნო ბოტანიკურ ბაღის ფლორა და მისი გაშენების ისტორია.

შემდეგ მწერლებმა დაათვალიერეს ზვრები, ღვინის სარდაფი, ღვინის გადასამუშავებელი განყოფილება და ღვინის კოლექციები. მწერლებს საჭირო ახსნა-განმარტებებს აძლევდა ტეხნიკი-სპეციალისტი.

წინანდალის საბჭოთა მეურნეობამ და საერთოდ ალაზნის ველმა მწერლებზე განუსაზღვრელი შთაბეჭდილება დასტოვა.

ნაშუადღევს მწერლების პატივსაცემათ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მოაწყო ბანკეტი, რომელზედაც წარმოითქვა მრავალი სიტყვა ამიერ-კავკასიის ერთა კულტურული დაახლოვების საჭიროებისა და საბჭოთა მწერლების ამოცანების შესახებ.

ბანკეტზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **შ. ელიავამ**.

საღამოს სტუმრების სანახავად ბოტანიკურ ბაღში შეიკრიბა ადგილობრივი გლეხობა.

მწერლებმა ცალკე ჯგუფათ და აგრეთვე გლეხობასთან ერთად გადაიღეს ფოტოგრაფიული სურათი.

საღამოს 8 საათზე მწერლები გამოემგზავრნენ წინანდალიდან.

თელავში გამოვლისას მათ შეეგებნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებმაც მწერლები ტაშისცემით გამოაცილეს.

ა.-კ. მწერალთა საქმიანი თათბირი

გუშინ, ნაშუადღევს ორ საათზე, ხელოვნების სასახლეში განათლების სახალხო კომისარის ამხ. **დ. კანდელაკის** თავმჯდომარეობით გაიმართა აზერბეიჯან-სომხეთის მწერალთა დელეგაციების და ქართველ მწერალთა პირველი საქმიანი თათბირი, რომელსაც მოკლე სიტყვა წარუმძღვარა ამხ. კანდელაკმა.

— თანახმად ამიერ-კავკასიის მწერლების მიერ მიღებული დეკლარაციისა,—განაცხადა ამხ. კანდელაკმა,—უნდა მოეწყოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა მწერლების და ხელოვნების მუშაკთა კულტურული კავშირი.

სომხეთისა და აზერბეიჯანის განათლების სახალხო კომისარიატებისაგან უკვე მიღებულია თანხმობა, რომ შესდგეს ამ კულტურული კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ჩაატარებს წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას კავშირის მოსაწყობად.

კულტურული კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი

ამხ. კანდელაკის სიტყვის შემდეგ თათბირმა აირჩია ამიერ-კავკასიის საბჭოთა მწერლობის და ხელოვნების მუშაკთა კულტურული კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც შედიან სამივე რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარები—ამხ. **კანდელაკი, მრავიანი** და **კულიევი**, ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ამხ. **იონოვი**, ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მდივანი ამხ. **ბ. ბუაჩიძე** და მწერლები—**რობაქიძე, აბაშელი, მიწიშვილი, ეული** (საქართველოდან), **ახვერდოვი, ს. რუსტამი, ჯაფარ-ჯაბარლი, ჰუსეინ ჯავიდი**, (აზერბეიჯანიდან), **ალაზიანი, ვშტუნი, შირვან-ზადე, დემირჩიანი** (სომხეთიდან); თეატრებიდან: **მარჯანიშვილი, ახმეტელი, ინაშვილი** (საქართველოდან), **შარიფოვი ა. მ., ტუგანოვი, ეფენდიევი**, (აზერბეიჯანიდან), **აბოვი, ასმიკი** და **ბულაკიანი** (სომხეთიდან); კინო-მუშაკებიდან: **ჭიაურელი** (საქ.), **მახმუდბეკოვი** (აზერ.) და **მამუკიანი** (სომხ.); მუსიკალურ ხელოვნებიდან: **ზ. ფალიაშვილი** (საქ.), **გაჯიბეკოვი** (აზერბეიჯ.) და **ტერ-გევონდიანი** (სომხ.); სახვითი ხელოვნებიდან: **ი. ნიკოლაძე, დ. კაკაბაძე** (საქ.), **აზიმზადე, გაჯიევი** (აზერბეიჯ.), **სარიანი** და **სარქისიანი** (სომხ.).

ამავე სხდომაზე თათბირმა გამოყო საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **კანდელაკი, მრავიანი, კულიევი, იონოვი, ბუაჩიძე, რობაქიძე, აბაშელი, ახვერდოვი, ს. რუსტამი, შირვან-ზადე.** და **სარიანი.**

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **დ. კანდელაკი.**

პრეზიდიუმს დაევალა დაამუშაოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა მწერლების და ხელოვნების მუშაკთა კულტურული კავშირის წესდება და ჩაატაროს წინასწარი მუშაობა იმ ანგარიშით, რომ ამა წლის აგვისტოს დამლევს მოწვეულ იქნეს ამიერ-კავკასიის საბჭოთა მწერლების და ხელოვნების მუშაკთა პირველი ყრილობა.

პრეზიდიუმს დაევალა აგრეთვე მოაწესრიგოს უცხოეთთან კულტურული დაახლოვების სრ. საკავშირო საზოგადოებასთან შეთანხმებით საერთაშორისო მწერალთა ყრილობაზე (ვენაში) ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მწერლების წარმომადგენლების გაგზავნის საკითხი.

ამ.-კავკ. ეროვნებათა კულტურული კავშირის დღე

აზერბეიჯანის საბჭოთა მწერლების დელეგაციის თავმჯდომარის ამხ. **ა. ახვერდოვის** წინადადებით ამიერ-კავკასიის მწერალთა გაერთიანებულმა სხდომამ ერთხმად დაადგინა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მწერალთა შეხვედრის უკანასკნელი დღე—17 ივნისი აღიარებული იქნას ამიერ-კავკასიის ერთა კულტურულ შეკავშირების დღეთ. ამ დღეს ყოველწლიურათ უნდა გაიმართოს საღამოები ფართო პროგრამით, რომელშიდაც შეტანილი უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ერთა მიღწევები ხელოვნების და საერთოდ კულტურის ყველა დარგებში.

დელეგატების გამგზავრება

გუშინ ღამის 12 საათზე აზერბაიჯანის და სომხეთის მწერალთა დელეგაციები გაემგზავრენ ბაქოში.

მენშევიკების ცდა საბჭოთა კავშირში შემავალ ერების მთლიანობის დასარღვევად ფუჭია

ზუგდიდი, 17 ივნისი. შავი ზღვის რკინის გზის ზუგდიდის მანძილის მუშა-მოსამსახურეების მრავალრიცხოვანი მიტინგი სასტიკ პროტესტს უცხადებს პოლონეთის მთავრობას და იქ თავშეფარებულ ქართველ ემიგრანტ მენშევიკების საზიზღარ პროვოკაციულ საქმიანობის გამო. მიტინგს საჭიროდ მიაჩნია რა პოლონეთის საკონსულოს გაძევება საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. მიტინგი აღნიშნავს, რომ პროლეტარულ სახელმწიფოს მტრები, იუდა მენშევიკები ვერ ეღირსებიან დიად კავშირში შემავალ ძმურ სოციალისტურ რესპუბლიკების მთლიანობის დარღვევას.

მოთმინებასაც საზღვარი აქვს

აბაშა, 15 ივნისი. აბაშის თემის მუშების, გლეხების და მშრომელი ინტელიგენციის გაერთიანებული კრება გაეცნო რა პოლონეთის ვერაგულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია არა მარტო საბჭოთა კავშირის და კერძოდ საქართველოს მშრომელთა, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის წინააღმდეგ, აღნიშნავს, რომ პოლონეთის ასეთი მოქმედება არის დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების დავალების შესრულება, რომელთა სათამაშო ბურთს იგი წარმოადგენს. კრება მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლების კანონიერ მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლონეთის წარმომადგენლობის გაძევებას საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან.

ძირს საქ. მშრომელთა სისხლით მოვაჭრე მენშევიკები

კაჭრეთი, 15 ივნისი. არაშენდის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა და ორი ათასი მშრომელი გლეხკაცობის მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: ქართველი ხალხის სისხლით მოვაჭრე მენშევიკები პოლონეთის ბურჟუაზიასთან დღესასწაულობს იმ დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტს, რომელმაც სისხლისაგან დასცალა საქართველოს მშრომელნი და გაანადგურა მისი ეკონომიური დოვლათი. ჩვენ ზიზღით ვიგონებთ მენშევიკების მოღალატურ მოღვაწეობას და იმ დამოუკიდებლობას, რომელიც მათ ძალათ მოახვიეს თავზე საქართველოს მშრომელებს. ძირს მსოფლიო იმპერიალიზმის პირწავარდნილი აგენტები — მენშევიკური ემიგრაცია.

გამოვსთქვამთ უღრმეს აღშფოთებას

გურჯაანი, 15 ივნისი. გურჯაანის რკინის გზის და სამაზრო აღმასკომის ინჟენერ-ტეხნიკოსების, აღმასკომის თანამშრომლების, ექიმების და მასწავლებლების გაერთიანებულ მიტინგზე მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია: გამოვსთქვამთ უღრმეს აღშფოთებას იმ პროვოკაციის წინააღმდეგ, რომელსაც პილსუდსკი და მისი დამქაშები აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დეე იცოდეს პოლონეთის ფაშისტებმა, რომ ჩვენ არავის მივცემთ ნებას ხელი შეგვიშალონ მშვიდობიან სოციალისტურ აღმშენებლობაში.

პარტიაში

„პარტიის რიგების წმენდა ამოცანად ისახავს არა მარტო კომუნისტების პირადი თვისებების, არამედ უჯრედების ორგანიზაციული მდგომარეობისა და მუშაობის ხარისხის—შემოწმებასაც“ (საქ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიის ინსტრუქციიდან).

წმენდა აღმასკომის უჯრედში

შვიდის ნახევარია. აღმასკომის დარბაზი გაჭედილია ხალხით. დღეს აქ უნდა მოხდეს არა მარტო პარტიის წევრთა შემოწმება, არამედ უჯრედის მუშაობის შემოწმებაც. კოლექტივის ბიუროს მდივანი ამხ. ჭურღულია მოკლედ ეხება კოლექტივის მუშაობას, აღნიშნავს უმთავრესად დეფექტებს:

— აღმასკომის ერთ-ერთი განყოფილების სარემონტო სექცია ყოველგვარი გეგმის გარეშე მუშაობდა. აღნიშნული განყოფილება რემონტს აწარმოებდა კერძო მოიჯარადრის საშუალებით. აღმასკომში მოკალათებული იყო ისეთი თანამშრომლები, რომლებსაც არაფერი საერთო არ ქონდათ აღმასკომთან, როგორც სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომებს. რაცბიურო კარჩაკეტილ მუშაობას აწარმოებდა. საადგილ-მამულო განყოფილება ისეთ ბინაზე გადავიდა, რომ ჩამოსული გლეხობა 2—3 საათს მის ძებნას უნდება. ზოგიერთი განყოფილების გამგეები უჯრედის დადგენილებებს ყურადღებას არ აქცევდნენ. იყო შემთხვევა, როცა ერთმა მათგანმა ჩვენს მითითებაზე შემდეგი შინაარსის მომართვა გამოგვიგზავნა: „თქვენს დადგენილებას ვერ დავემორჩილები, რადგან მე მყავს ჩემი ზემდგომი ორგანოები“; ცხადია, ყველაფერი ეს უჯრედის მუშაობას საგრძნობლად აბრკოლებდა.

იწყება უჯრედის წევრთა შემოწმება. ყველა სმენადაა გადაქცეული. შესამოწმებელი პირები ყვებიან ბიოგრაფიას.

— „ბავშობიდანვე მოჯამაგირეობა ვიგემე. წერა-კითხვა დედამ შემასწავლა. „თვითგანვითარებას“ მეცხვარეობის დროს მივყავი ხელი (ქვებზე ვარჯიშობდი წერაში). აცხადებს ამხ. ადიკაშვილი.

— „თქვენი ოჯახური მდგომარეობა“?

— „ცოლი ჭკუაზე შეიშალა მენშევიკების გამოსვლების დროს“.

— „ზადიკაშვილი იოსებ“. გამოუძახა შემომწმებელი კომისიის თავმჯდომარემ. გაბედული ნაბიჯით გამოდის ახალგაზრდა. მოკლედ ყვება თავის ბიოგრაფიას.

— „კომკავშირში ჩავეწერე 1920 წელში. პარტიის წევრი ვარ 1925 წლიდან. პარტიული სასჯელი არასდროს არ მქონია. დამსწრეები დაკითხულებს ტაშით აჯილდოვებენ, ორივეს იცნობენ როგორც კარგ მომუშავეებს; ყველას ობიექტიურად უდგებიან და აფასებენ. აი გამოიძახეს სერგო კაციტაძეს.

— „რაზე იყავი მოხსნილი სამსახურიდან 1925 წელში“? ეკითხება მას ერთ-ერთი დამსწრეთაგანი.

— „მბრალდებოდა ყალბი ქვითრების შედგენა. ჩემი საქმე გაირჩა საკონტროლო კომისიაში. გამამართლეს“.

— „მერე რატომ არ აღგადგინეს სამსახურში, თუ საკონტროლო კომისიამ გაგამართლა“?

— „აღმასკომი, სადაც მე ვმსახურობდი, წავიდა, ჩემი აღდგენის წინააღმდეგ“. განმარტა მან. საერთოდ აბნეულ პასუხს იძლევა. არა ნაკლებ აბნეულია ამხ. აივაზოვის პასუხებიც. იგი აჭიანურებს თავის ბიოგრაფიას.

— „ხმამაღლა! მალე!“ ისმის წამოძახილი ადგილებიდან.

— „წევრი ხარ პარტიის, თუ კანდიდატი“? ეკითხება შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე.

— „კანდიდატი“.

— „რომელი წლიდან“?

— „1924 წლიდან, ისე ჭერქვეშ კი ვმუშაობდი ჯერ კიდევ 1920 წელში“. უჯრედის მდივნისა და წევრების მიერ მიცემულ დახასიათებიდან ირკვევა, რომ აივაზოვი გაურბის ყოველგვარ პარტიულ დავალებებს და ძალიან იშვიათად ესწრება უჯრედის სხდომებს. მას ახასიათებენ, როგორც ბალასტს, მაგრამ აივაზოვი არ ეთანხმება მათ.

— „არაა ეს სწორი“! აცხადებს იგი.

ა. შ.

წმენდასთან ერთად ამოწმებენ უჯრედის მუშაობასაც

(„ზაკტპოს“ კომუჯრედში)

„ზაკტპო“-ს კულტ-კუთხე სავსეა ხალხით. აქ არიან როგორც პარტიის წევრები და კანდიდატები, ისე უპარტიოებიც. უკვე მეშვიდე საათია. დაიწყო სხდომა.

— დღეიდან უნდა შევუდგეთ „ზაკტპო“-ს უჯრედის გენერალურ გაწმენდას—აცხადებს გამწმენდი კომისიის თავმჯდომარე ძველი მუშა-ბოლშევიკი ამხ. ტერ-ვართანოვი,—გენერალური წმენდის შემდეგ ჩვენი პარტია უნდა შეიქნეს კიდევ უფრო ჯანსაღი, ერთფეროვანი. წმენდამ უნდა გაანთავისუფლოს იგი უცხო, ყველა მახინჯ და გადაგვარებულ ელემენტებისაგან. ამ დიდი ამოცანის შესრულება კი დამოკიდებულია პარტიული და უპარტიო მშრომელი მასების აქტიურ მონაწილეობაზე ამ საქმეში. ამიტომ მე მოვუწოდებ ყველა აქ დამსწრეთ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა „ზაკტპო“-ს უჯრედის გაწმენდაში.

შემდეგ საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა უჯრედის მდივანს ამხ. შახნაზაროვს. „ზაკტპო“-ს უჯრედის ბიურო—ამბობს ამხ. შახნაზაროვი,—მუშაობას შეუდგა 1928 წლის ნოემბრის თვიდან. ბიურომ გამოყო საუჯრედო კომისიები, მაგრამ ყველა კომისია არ აწარმოებდა დამაკმაყოფილებელ მუშაობას. აგიტ-კომისიას ჰქონდა მხოლოდ ექვსი სხდომა, მაგრამ ამით ბევრი არაფერი გაკეთებულა, მოისუსტებდა ქალთა კომისიის მუშაობაც. კომკავშირზე ხელმძღვანელობა წარსულთან შედარებით გაუმჯობესდა. უჯრედის მონაწილეობა „ზაკტპო“-ს სამეურნეო ცხოვრებაში უმნიშვნელოა. ბიუროსა და უჯრედის სხდომაზე მხოლოდ სამი მოხსენება მოვისმინეთ „ზაკტპო“-ს მუშაობის შესახებ. მოხსენებების ირგვლივ ვიმუშავებდით პრაქტიკულ მითითებებს, რომლის დიდი ნაწილი არ ტარდებოდა ცხოვრებაში. აპარატის გამუშურებისა და კომუნიზაციის საქმეც საგრძნობლად მოიკოჭლებდა. საწევრო გადასახადებს პარტიის წევრები არ იხდიან თავის დროზე.

— რა მუშაობას აწარმოებს უჯრედი უპარტიოთა შორის, რამდენად ატარებს ცხოვრებაში უჯრედი თავის დადგენილებებს, აქვს თუ არა უჯრედში გადახრებს ადგილი, რა ზომები მიღებულ, ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების 20 პროც. შესამცირებლად და სხვ.—ზედიზედ აყრიან შეკითხვებს დამსწრე ამხანაგები მომხსენებელს.

უჯრედში გადახრების აშკარა გამოხატულებას არა ჰქონია ადგილი. გვყავანდა მხოლოდ ერთი ტროცკისტი, რომლის შესახებაც უჯრედმა თავისი დასკვნა წარუდგინა რაიკომს, ადმინისტრატიული-სამეურნეო ხარჯების შემცირება გატარებულია 31 პროცენტით. უჯრედი ამ საქმეში ნაკლებად მონაწილეობდა. დაწინაურებულთა შორის ხშირად მუშაობას არ ვაწარმოებთ. რაიკომის ხელმძღვანელობა მოისუსტებდა, უკანასკნელ ხანებში კი საქმე ამ მხრივ გამოკეთდა.

— იძლევა განმარტებებს ამხ. შახნაზაროვი. მოხსენების ირგვლივ იმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ უპარტიო ამხანაგებიც.

— უჯრედის ბიურო არ აწარმოებს თავის დადგენილებათა და პარტიის დირექტივების ცხოვრებაში გატარების შემოწმებას. ჩვენ გვყავს ბევრი ისეთი ამხანაგი, რომლის დაწინაურებაც შეიძლებოდა, მაგრამ უჯრედმა ამას ყურადღება არ მიაქცია. უპარტიოები არ არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივ მუშაობაში. ბევრგან, ხდებოდა უდიდესი ვაფლანგვები, რომელსაც კარგად ამჩნევდნენ ჩვენი პარტიული ამხანაგები, მაგრამ თავს არ იწუხებდნენ. უჯრედში დისციპლინა არა სდგას თავის სიმაღლეზე. უჯრედის მუშაობის სისუსტე უნდა მიეწეროს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ არა გვყავდა განთავისუფლებული მდივანი, რაც აუცილებელია „ზაკტპო“-ს მუშაობის პირობებში.—ერთხმად აღნიშნავდნენ კამათში გამოსულნი.

დაიწყო შემოწმება.

— ვარ გლეხი-მუშა, დავიბადე 1891 წელს რაჭაში, 1917 წლიდან ვირიცხები პარტიის წევრად, სხვა პარტიაში მე არ მიმუშავია, პოლიტიკურად მოუმზადებელი ვარ; ამჟამად ვმუშაობ პურისმცხობლად „ზაკტპო“-ში—აცხადებს პარტიის წევრი მიხეილ დვალი.—1917 წლიდან პარტიის წევრს პოლიტიკურად მოუმზადებლობა არ ეპატიება—აღნიშნავს ერთი დამსწრეთაგანი.—ამხანაგო, შენ ამბობ რომ სხვა ორგანიზაციაში არ ირიცხებოდი და აი, შენ პირად საქმეში კი სწერია, რომ 1913—14 წლებში სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ყოფილხარ—ეუბნება კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვართანოვი. რა დავალებას ასრულებთ პარტიაში—ეკითხებიან დამსწრენი.—არავითარს უპასუხებს დვალი. „საკმარისია“ გაისმის ხმები ადგილებიდან.

დვალს მოჰყვა ლარიბოვი, ლარიბოვს მელქონოვი და ასე გრძელდება წმენდა.

ლენინის კოოპერატიული გეგმა და მემარჯვენე გადახრა *)

4. რითია გამოწვეული ლენინის გეგმით მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის აუცილებლობა

ლენინის კოოპერატიული გეგმის იდეა (ისე როგორც მემარჯვენე ელემენტების შეცდომები ამ საკითხში) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაგებული იქნეს ჩვენთვის, თუ მას დაუკავშირებთ იმ სოციალურ და პოლიტიკურ პირობებს, რომელთა ზეგავლენით მისი განხორციელება ისტორიულ აუცილებლობას შეიცავს პროლეტარული რევოლიუციისათვის. მემარჯვენე ოპორტუნისტები ხშირად სავსებით ივიწყებენ ამ პირობებს, ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ლენინი სასოფლო მეურნეობის გარდაქმნას აღიარებდა ძირითად პირობათ კაპიტალიზმის ძირიან-ფესვიანად მოსპობისათვის ჩვენში, მაშასადამე პირობათ კაპიტალიზმის ხელ-ახლა აღორძინების შეუძლებლობისათვის, დღეს პიონერებისათვისაც კი ცნობილია ის უდაო ჭეშმარიტება, რომ ვიდრე კაპიტალიზმის ფესვები არსებობენ ჩვენში, არ შეგვიძლია უზრუნველყოფილად ვაღიაროთ თავი კაპიტალიზმის ხელ-ახალი აღორძინების შესაძლებლობისაგან.

ამ გარემოებისადმი ანგარიშის არ გაწევას ან მის დავიწყებას, როგორც ამას სჩადიან მემარჯვენეები, არაფრის კარგის მოტანა არ შეუძლია. ის გამოიწვევდა მხოლოდ მუშათა კლასის სიფხიზლის მოდუნებას და მით ხელს შეუწყობდა კაპიტალისტურ ელემენტებს ჩვენთან ბრძოლაში. თვითეულ ჩვენგანს და ყველა მათ, ვინც დაინტერესებულია რევოლიუციის გამარჯვებით, მტკიცედ უნდა ქონდეს შეთვისებული ლენინის ის აზრი, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობით მხოლოდ ერთი ნაწილი შევასრულეთ იმისა, რაც უნდა იქნეს გაკეთებული სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ძალა-უფლების დაპყრობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კაპიტალიზმის ძირიან-ფესვიანად მოსპობას და ვიდრე ეს უკანასკნელი დარჩება ყოველთვის ძლიერი ნიადაგი ექნება კაპიტალიზმს ხელ-ახლად აღორძინებისათვის. „სოციალიზმი არის კლასების მოსპობა—სწერდა ლენინი. კლასების მოსპობისათვის საჭიროა პირველყოვლისა კაპიტალისტების და მემამულეების ჩამოგდება. ამოცანის ეს ნაწილი ჩვენ შევასრულეთ, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია და ამავე დროს არა უფრო ძნელი. კლასების მოსპობისათვის საჭიროა მეორედ, განსხვავების მოსპობა მუშასა და გლეხს შორის“... ეს ამოცანა „შეიძლება გადაჭრილი იქნეს მხოლოდ მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზაციული გარდაქმნით, ცალკე არსებულ, განკერძოებულ, წვრილ საქონლის მეურნეობის გადაყვანით საზოგადოებრივ მსხვილ მეურნეობაზე“ (ლენინი ტ. 16, 851—2). სასოფლო მეურნეობა მისი თანამედროვე წვრილ საქონლის მეურნეობის სახით წარმოადგენს კაპიტალიზმის იმ ბაზას, რომელზედაც მიგვითითებს ლენინი. სასოფლო მეურნეობა, ვიდრე ის დარჩება საქონლის წვრილ მეურნეობად, წარმოადგენს კაპიტალიზმის მასაზრდოებელ წყაროს. აქედან ბუნებრივია, რომ პროლეტარული პარტიის პოლიტიკა არ შეიძლება იქნეს სხვა რამე, თუ არა ამ წყაროს ძირიან-ფესვიანად მოსპობის პოლიტიკად მისი სოციალისტური გარდაქმნის საშუალებით, ამ პირობის განხორციელებამდის ჩვენ ყოველთვის ვიქნებით კაპიტალიზმის აღორძინების საფრთხის წინაშე. ერთ-ერთ უმთავრეს პირობად პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის ლენინი სთვლიდა არა ამ საფრთხის ე. ი. კაპიტალიზმის ხელახალ აღორძინების შესაძლებლობის დავიწყებას, არამედ მის სრულ შეგნებას ყველა მშრომელის მიერ, ისე როგორც ძლიერი იყო მათი შეგნება სამოქალაქო ომის დროს კაპიტალისტების და მემამულეების ხელმეორედ დაბრუნების საფრთხის, რაც მათი ენერგიის გაძლიერებას იწვევდა თეთრებთან ბრძოლაში და მით უზრუნველყოფდა რევოლიუციის გამარჯვებას. ასეთივე უნდა იქნეს ჩვენი შეგნება დღესაც იმისათვის, რომ გავიმარჯვოთ სამეურნეო ფრონტზე კაპიტალიზმთან ბრძოლაში. ამის შესახებ ლენინი სწერდა: „თუ ჩვენ ვიბრძოლეთ და წარმატებით გავიმარჯვეთ სამხედრო ფრონტზე, რა იყო ამისი ერთი მოტივთაგანი, გამაღვიძებელ ძალთაგანი, რაც ზრდიდა ჩვენს ძალას და ენერგიას. საშიშროების შეგნება. ყველანი კითხულობდნენ: „შეუძლიათ თუ არა დაბრუნდენ რუსეთში მემამულეები და კაპიტალისტები.— და უპასუხებდნენ: „შეუძლიათ“. ამისათვის ჩვენ ვჭიმავდით ძალებს 100-ჯერ უფრო მეტად და ჩვენ გავიმარჯვეთ.., აიღეთ სამეურნეო ფრონტი და „იკითხეთ ეკონომიურად შესაძლებელია თუ არა რუსეთში კაპიტალიზმის დაბრუნება“.. ვიდრე ჩვენ ვცხოვრობთ წვრილ გლეხურ ქვეყანაში, კაპიტალიზმისათვის რუსეთში არის უფრო მეტად მტკიცე ეკონომიური ბაზა, ვინემ კომუნიზმისათვის. თვითეულმა იცის ვინც ყურადღებით თვალყურს ადევნებს სოფლის ცხოვრებას, ქალაქის ცხოვრებასთან შედარებით, რომ **ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები ჯერ კიდევ არ ამოგვიგლეჯია და შინაურ მტრისადმი საფუძველი არ შეგვირყევია. ის ეყრდნობა წვრილ მეურნეობას. ამიტომ მის შერყევისათვის არის ერთი საშუალება—ქვეყნის მეურნეობის გადაყვანა და მათ შორის მიწათმოქმედებისაც, ახალ ტეხნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილ წარმოების ტეხნიკურ ბაზაზე**“. (17, 427—8).

მაშასადამე სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის აუცილებლობა მუშათა კლასისათვის გამომდინარეობს ლენინის მიერ აღნიშნულ ამ პირობებისაგან, რომელთა დაძლევის გარეშე შეუძლებელია კაპიტალიზმის საბოლოოდ მოსპობა, მისი სრული დამარცხება. მემარჯვენე ელემენტები არ უწევენ სათანადო ანგარიშს ამ პირობებს, იმ საფრთხეს, რომელსაც ჩვენ უნდა მოველოდეთ მათთან და ამიტომ თავის-თავად ცხადია, რომ მათთვის გაუგებარი რჩება ლენინის კოოპერატიული გეგმის ნამდვილი აზრიც. როდესაც თავის კოოპერატიულ გეგმას ამუშავებდა ლენინი, ეჭვს გარეშეა, რომ მას მხედველობაში ქონდა აღნიშნული პირობები და მათგან გამომდინარე საფრთხე. ეს სჩანს იქიდან, რომ კაპიტალიზმის აღნიშნულ საფუძვლის მოსპობის შესაძლებლობას ლენინი ხედავდა სასოფლო მეურნეობის გადაყვანაში საქონლის წვრილ წარმოებებიდან მსხვილ წარმოებაზე, რომელსაც საფუძვლად ექნება უაღრესად განვითარებული ტეხნიკური საწარმოო ძალეები. მაგრამ თვით ამ პროცესის განხორციელების საშუალებათ ლენინს მიაჩნდა წვრილ გლეხურ მეურნეობის კოლექტიური გაერთიანება იმ სახით, როგორც მან ეს მოგვცა თავის კოოპერატიულ გეგმაში. აქედან ცხადია, რომ ეს უკანასკნელი არ განისაზღვრება საქონლის ბრუნვის ვიწრო ფარგლებით, როგორც ეს მემარჯვენეებს გონიათ. არამედ წარმოადგენს ორგანიულ ნაწილს სოციალიზმის აღმშენებლობისა ჩვენში და კერძოდ კი სოფლად. აქედან ცხადია ისიც, თუ რატომ აკუთვნებს პარტია ამ გეგმის განხორციელებას ასეთ დიდ მნიშვნელობას. ამოცანის გადაჭრის გარეშე შეუძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს სოციალიზმის განხორციელება. მისი გადაჭრა კი გულისხმობს სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას წვრილ გლეხურ წარმოების კოლექტიური გაერთიანებით. ასე ესმოდა ეს საკითხი არა მხოლოდ ლენინს, არამედ სოციალიზმის ყველა კლასიკოსებს, ჩვენ არ შევეხებით იმას, თუ რას ფიქრობდა ამ საკითხის შესახებ კ. კაუცკი როდესაც ის მარქსისტი იყო და რას ბოდავს ეხლა. აქ საჭიროა შევჩერდეთ ფ. ენგელსის ნააზრევზე, საიდანაც ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ლენინის კოოპერატიული გეგმა წარმოადგენს მის ორგანიულ განვითარებას. სასოფლო წვრილ საქონლის მეურნეობის კოოპერატიულ გაერთიანების აუცილებლობის საკითხს ფ. ენგელსი განსაკუთრებული ყურადღებით იხილავს ფრანგ სოციალისტების აგრარულ პროგრამის კრიტიკასთან დაკავშირებით, მიღებულს მარსელის კონგრესზე 1892 წელში. ფრანგი სოციალისტების აგრარული პროგრამის კრიტიკა ფ. ენგელსის მხრივ გამოწვეული იყო პროგრამის იმ შეცდარი აზრით, რომ თითქოს სოციალიზმი გულისხმობდეს წვრილ გლეხურ კერძო საკუთრების განმტკიცებას მიწაზე, წვრილ მეურნეობის გადასარჩენათ იმ დანგრევისა და გაღატაკებისაგან, რომელსაც უქადდა მას სასოფლო მეურნეობის კაპიტალისტური განვითარების გზა. ფ. ენგელსი ეთანხმებოდა ფრანგ სოციალისტებს მხოლოდ იმ ჭეშმარიტების აღიარებაში, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა ვერ უძლებს მსხვილ კაპიტალისტურ წარმოების მეტოქეობას სასოფლო მეურნეობაში, რის გამო გლეხობის დიდი ნაწილი ღატაკდება, მაგრამ ძირიან-ფესვიანათ შემცდარ ნაბიჯათ მიაჩნია ის საშუალება, რომელსაც ითვალისწინებდა აღნიშნული პროგრამა ამ პროცესის დასაძლევათ. ფრანგი სოციალისტები ასეთ საშუალებას ხედავდენ, ისე როგორც ჩვენი მემარჯვენე ოპორტუნისტები, გლეხობის ინდივიდუალურ სამეურნეო ინტერესის გაღვივებაში მათი კერძო მეურნეობის არსებობის მუდმივ დაკანონებით, რისთვისაც ისინი მიზნათ ისახავდენ ძალა-უფლების აღების შემდეგ გაენაწილებიათ მიწა გლეხობას შორის კერძო-საკუთრების ნიადაგზე, რადგან მათი აზრით გლეხობის ხელში უნდა ყოფილიყო, **კერძო საკუთრების საფუძველზე**, წარმოების ორივე ფაქტორი: მიწა და საწარმოო ძალები. ფრანგი სოციალისტები არ უწევდნენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ თუ ეს მართლა ასე იქნებოდა, ეს კიდევ არ გულისხმობდა მას, რომ გლეხობის ძირითადი მასა უზრუნველყოფილი იქნებოდა კაპიტალისტურ გადაგვარების საშიშროებისაგან ისე, როგორც მათ არ ესმოდათ, რომ სოციალიზმი შესაძლებელია არა კერძო საკუთრების საფუძველზე, არამედ მხოლოდ კოლექტიურზე. ამიტომ ფ. ენგელსი ფრანგ სოციალისტების ამ აღნიშნულ შეცდომების შესახებ სწერდა: „ეს დებულება (ე. ი. კერძო საკუთრების და წვრილ წარმოების მუდმივად დაკანონება კ. გ.) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს ცნობილი სოციალიზმის ამოცანათ... ჩვენი ამოცანა წვრილ გლეხურ მეურნეობის მიმართ მდგომარეობს პირველ ყოვლისა მასში, რომ მათი კერძო წარმოება და კერძო საკუთრება გადავიყვანოთ ამხანაგურში, უმთავრესია აქ ის, რომ გაურკვიოთ გლეხს, რომ გადაურჩინოთ ან შეუნარჩუნოთ მისი სახლკარი და მიწის საკუთრება, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მათი გარდაქმნით ამხანაგურ წარმოებად და ამხანაგურ საკუთრებად. თუ ის მაინც დაიჩემებს თავის კერძო პირად მეურნეობას, ამ შემთხვევაში უსათუოდ დაკარგავს როგორც მიწას, ისე ეზოს, რადგან მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა გაძევებს მის დაძველებულ საწარმოო საშუალებას“. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ფ. ენგელსისათვის თერმინი „ამხანაგური“ სინონიმია თანამედროვე თერმინის „კოლექტივიზაცია“, დავრწმუნდებით მასში, რომ ისე როგორც ლენინი, ფ. ენგელსიც გლეხობის გადასარჩენათ კაპიტალიზმის განვითარების გზისაგან და ამ უკანასკნელის ძირიან-ფესვიანათ მოსპობის საშუალებათ აღიარებდა წვრილ გლეხურ მეურნეობის კოლექტიურ გაერთიანებას წარმოების საშუალებათა განსაზოგადოებრიობის საფუძველზე, რაც სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას გულისხმობს. ამისი მნიშვნელობა არ ესმით მემარჯვენე ოპორტუნისტებს, მიუხედავათ იმისა, რომ ლენინი თავის უკანასკნელ წერილში „კოოპერაციაზე“ მეტის მეტათ გასაგებათ ლაპარაკობს სასოფლო მეურნეობის გარდაქმნის აღნიშნულ პროცესის აუცილებლობის და მის ფორმების შესახებ. ამ წერილში ლენინი კოოპერაციის ზრდასა და სოციალიზმის შორის იგივეობის ნიშანს სვამს. ამისი მიზეზი ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ მხოლოდ კოოპერაციის როლის გამორკვევით პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში.

5. კოოპერაციის როლი პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში

ლენინი დასცინოდა იმ ძველ კოოპერატორებს, რომლებიც კოოპერაციაზე ამყარებდენ საზოგადოების განთავისუფლების იმედებს. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, თითქოს უცვლელი რჩება ლენინისათვის კოოპერაციის როლი პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. პირველ შემთხვევაში კოოპერაცია ლენინისათვის წარმოადგენდა კაპიტალისტურ ბატონობის ერთ-ერთ საშუალებას. „კოოპერაცია — სწერდა ლენინი — კაპიტალისტურ სახელმწიფოს არსებობის პირობებში წარმოადგენს კაპიტალისტურ კოლექტიურ დაწესებულებას“ (XVIII, ნაწ. II, 133). მეორე შემთხვევაში კი კოოპერაციის როლი იცვლება იმდენად, რომ მისი ზრდა ხდება სოციალიზმის ზრდის სინონიმათ. „ჩვენ ეხლა უფლება გვაქვს ვსთქვათ, — სწერდა ლენინი — რომ კოოპერაციის უბრალო ზრდა უდრის სულ სოციალიზმის ზრდას“. (იქვე). ასეთ როლს კოოპერაცია ჰპოულობს პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დაპყრობის საშუალებით რის გარეშე, როგორც ვსთქვით, უტოპიათ სთვლიდა ლენინი კოოპერაციის საშუალებით საზოგადოების სოციალურ გარდაქმნას. მაგრამ პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობით არ ამოიწურება ის პირობები, რომელთა ზეგავლენითაც კოოპერაცია სოციალისტურ ხასიათს ღებულობს, რამდენადაც მისი საშუალებით გაიზრდება სასოფლო მეურნეობაში წარმოების კოლექტიური გაერთიანება სოციალისტურ ნიადაგზე. პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას ლენინი სთვლიდა იმ უმთავრეს პირობათ, რომლის ზეგავლენითაც კოოპერაციის როლი იცვლება, რადგან პოლიტიკური ძალა-უფლების გადასვლა პროლეტარიატის ხელში გულისხმობს ქალაქის როლის შეცვლას სოფლის მიმართ. ამ გარემოებას ხშირად ივიწყებენ როგორც მემარჯვენე ელემენტები, ისე ტროცკისტებიც, რის გამო მათთვის გაუგებარი რჩება კოოპერაციის როლის ცვალებადობა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული სოციალისტური ქალაქის დანიშნულება სოფლის მიმართ, გაუგებარი დარჩება არა მხოლოდ კოოპერაციის როლი ჩვენს დროში, არამედ თვით მუშათა კლასის ხელმძღვანელობითი როლი გლეხობისადმი და სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შესაძლებლობაც. მემარჯვენე ელემენტები მიგვითითებენ სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შეუძლებლობაზე კოოპერაციის საშუალებით. მათ სწორეთ ავიწყდებათ სოციალისტური ქალაქის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული გავლენა სოფელზე. რევოლიუციამდის ჩვენში როგორც ბურჟუაზიულ ქვეყნებში სოფელი კაპიტალისტურ ქალაქისათვის წარმოადგენდა „კოლონიას“, მის უბრალო დამატებას. კაპიტალისტური ქალაქი დაინტერესებული იყო მხოლოდ იმით, რომ მიეღო სოფლიდან ნედლი მასალა, იაფი სამუშაო ძალა და სხვა. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ სოფლის განვითარებაც კაპიტალისტური გზით მიდიოდა; არავითარ კოოპერატიულ რეცეპტებს, რამდენადაც გენიალური არ უნდა ყოფილიყო ის, არ შეეძლო განვითარების ამ მიმართულების გადაყვანა სხვა რელსებზე.

ლენინი პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობის მნიშვნელობის აღნიშვნით სწორეთ მიგვითითებს იმაზე, რომ კოოპერაციის როლი არ შეიძლება არ შეცვლილიყოს ამ შემთხვევაში, რადგან ძირიან-ფესვიანად შეიცვალა ქალაქის გავლენა სოფელზე. სოციალისტური ქალაქი სოფლის მიმართ დაინტერესებულია არა ამ უკანასკნელის „ექსპლოატაციით“ მისი გაღატაკებით, არამედ მისი სოციალისტური გარდაქმნით, რომელშიაც კოოპერაცია ასრულებს სოციალიზმის აღმშენებლობითი როლს. კოოპერაციის სოციალისტური როლი სოფლის მიმართ, აღნიშნულ პირობების ზეგავლენით მოპოვებული, გამოიხატება მასში, რომ ის შესაძლებელს ხდის სასოფლო მრეწველობის განსაზოგადოებრიობას, მის კოლექტივიზაციას და მით სოფელს უკავშირებს ქალაქს, უფრო მეტი, ამზადებს ნიადაგს განსხვავების მოსპობისათვის სოფელსა და ქალაქს შორის, რის გარეშე განუხორციელებელია ზემოთ აღნიშნული ლენინის იდეა განსხვავების მოსპობის შესახებ გლეხსა და მუშას შორის. კოოპერაციის სოციალისტური როლი გამოიხატება, მაშასადამე მასში, რომ მისი ზრდა განსაკუთრებით წარმოების ხაზით გულისხმობს ნიადაგის გამოცვლას სოფლის კაპიტალისტური განვითარების გზისადმი.

6. ლენინის კოოპერატიული გეგმის განხორციელების უმთავრესი პირობები

ლენინის კოოპერატიული გეგმის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს პირობად ითვლება იმ აზრის სრული შეთვისება, რომ სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია განუყოფელი, ერთი მეორისადმი დაუშორებელი პროცესებია. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და კოოპერატიული გეგმის სახით ლენინმა ჩვენ მოგვცა სოციალიზმის აღმშენებლობის ერთი მთლიანი იდეა. კოოპერატიული გეგმის და ინდუსტრიალიზაციის მთლიანობაში ჩვენ შეგვიძლია დავრწმუნდეთ მათ შორის არსებულ ურთიერთ დამოკიდებულების აღნიშვნით. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელება დამოკიდებულია მასზე, შესძლებს თუ არა სასოფლო მეურნეობა უზრუნველყოს, დააკმაყოფილოს სამრეწველო რაიონების გაზრდილი მოთხოვნილება, გამოწვეული ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებით. სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ზრდა წარმოადგენს ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს, ისე როგორც თავის მხრივ ინდუსტრიალიზაცია შეიცავს სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის უმთავრეს პირობას. ეს უკანასკნელი სრულებით დამოკიდებულია მასზე, თუ რამდენად შესძლებს ჩვენი მრეწველობა უზრუნველყოს სოფელი მატერიალური - საწარმოო ძალებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასოფლო მეურნეობის შემდეგი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მისი გადაყვანით ახალ, უაღრესად განვითარებულ ტეხნიკაზე. ხოლო სასოფლო მეურნეობის უზრუნველყოფა საწარმოო იარაღებით, მოითხოვს ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებული ტემპით წარმოებას. ამიტომ შემცდარია მემარჯვენეების ფიქრი იმის შესახებ, თითქოს შესაძლებელი იყოს სასოფლო მეურნეობის განვითარება ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებული ტემპის გარეშე, ან ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელება სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე განვითარების გარეშე. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ურთიერთდამოკიდებულება ქონდა ლენინს მხედველობაში, როდესაც ის ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს აღნიშნავდა, რომ 100.000 ტრაქტორს შეეძლო რევოლიუცია მოეხდინა ჩვენს სასოფლო მეურნეობაში და გაეძლიერებია გლეხობის თვითშეგნება კოლექტივიზაციის სასარგებლოდ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ ხანებში, რასაკვირველია, ჩვენს მრეწველობას არ შეეძლო დაეკმაყოფილებია სასოფლო მეურნეობის მოთხოვნილება საწარმოო ძალებითა და, პირველ რიგში, ტრაქტორებით უზრუნველყოფის შესახებ. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა მრეწველობის ჩქარი ნაბიჯით განვითარების. პარტიისათვის მიუღებელია მემარჯვენეების ლაყბობა ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელების შესახებ, ისე როგორც სასოფლო მეურნეობაში სოციალისტური სექტორის, კოოპერატიულ - კოლექტიურ მეურნეობათა აღმშენებლობის პროგრამის შეკვეცის შესახებ, რადგან როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სოციალიზმის აღმშენებლობაზე პირდაპირ უარის თქმასთან თუ არა ყოველ შემთხვევაში შემცირებასთან, რაიც, თუ კი ასეთ იდეებს გასავალი მიეცემა, საფრთხეში ჩააგდებს ოქტომბრის მონაპოვარს. ამიტომ ლენინის კოოპერატიული გეგმის განხორციელების ერთ-ერთ პირობათ ითვლება აგრეთვე მემარჯვენე გადახრის, მისი იდეოლოგიის სრული დაძლევა სინამდვილეში, ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ შემოქმედებაში და სოციალისტურ აღმშენებლობაში. აქ საჭიროა სრული შეგნება იმ ჭეშმარიტების, რომ მემარჯვენე გადახრა არსებითად ხელს უწყობს კაპიტალისტურ განვითარების გზას, ხელს უწყობს კლასიურ მტრებს, რომლებიც ჩვენს შორის იმყოფებიან. ლენინი ყოველთვის ატარებდა იმ აზრს, რომ კლასიური მტერი ჩვენს შორის იმყოფება, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ჩვენთან ბრძოლაში ჩვენი საკუთარი შეცდომები. ის მოითხოვდა ჩვენგან ამ გარემოების სრულ შეგნებას, რაც მით უმეტეს დღევანდელ პირობებში წარმოადგენს სოციალისტური აღმშენებლობის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს პირობას და მათ შორის ლენინის კოოპერატიული გეგმის განხორციელებასაც.

კ. გორდელაძე.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 136.

საბჭოთა აპარატის წმენდისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია

1. იმ ამოცანების წარმატებით შესრულება, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს წინაშეა დასახული კოლექტივიზაციის საფუძველზე ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის აჩქარებული ტემპის განხორციელების დარგში, აგრეთვე ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და აპარატის დაახლოვება მშრომელ მასებთან მოითხოვენ, რომ გადაჭრით გაუმჯობესდეს მთელი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ხარისხი.

2. მაშინ, როცა სახელმწიფო აპარატში შემძვრალნი არიან საბჭოთა ხელისუფლებისათვის სოციალურად უცხო და მტრული ელემენტები, რომლებიც მშრომელთა მასებისაგან ხშირად ჩრდილავენ სახელმწიფო აპარატის ნამდვილ პროლეტარულ ბუნებას, სახელმწიფო აპარატის ღირსების გაუმჯობესება პარტიისა და ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ბიუროკრატიულ სიმახინჯეთა დაძლევა აპარატში, კლასობრივი ხაზის გამრუდების მოსპობა და აპარატზე კულაკურ - ნეპმანური და ნაციონალისტური იერიშის უკუგდება შეუძლებელი იქნება საქართველოს პირობებში, თუ გადაჭრით არ გაუმჯობესდება სახელმწიფო აპარატის პირადი შემადგენლობის ხარისხი.

3. სახელმწიფო აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი საჭიროდ სცნობს, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა რაც შეიძლება ჩქარა გასწმინდონ და შეამოწმონ აპარატი მე-16 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის ინსტრუქციის საფუძველზე.

4. წმენდა, რომელიც სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ აპარატი გაიწმინდოს „გახრწნილი ელემენტებისაგან, რომლებიც ამახინჯებენ საბჭოთა კანონებს, შეხორცებულნი არიან კულაკთან და ნეპმანთან, აფერხებენ საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლას და ხელს აფარებენ მას, ქედმაღლობასა და ჩინოვნიკობას იჩენენ, ბიუროკრატიულად ეკიდებიან მშრომელთა არსებით საჭიროებას; გაიწმინდოს მფლანგველებისაგან, მექრთამეებისაგან, საბოტაჟის გამწევებისაგან, დამჩიანებლებისაგან, ზარმაცებისაგან... წმენდა უნდა ხწარმოებდეს უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად მუშაკის ღირსების შეფასების საფუძველზე და არა მარტო კლასობრივი წარმოშობის მიხედვით“ (მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუციიდან).

პროლეტარული წარმოშობა და კომუნისტური პარტიის წევრობა ოდნავადაც არ უნდა ანთავისუფლებდნენ წმენდისაგან მუშაკების ამ კატეგორიას.

„გადაჭრით აკრძალულ უნდა იქნას სხვა თანამდებობაზე ან სხვა დაწესებულებაში მიღება იმ პირებისა, რომლებსაც გამორიცხვის შემდეგ საბჭოთა აპარატში მუშაობის უფლება წაერთმევათ (განსაზღვრული ვადით ან,— თუ განსაკუთრებით გაუსწორებელნი არიან,— სამუდამოდ); მათი სიები საყოველთაო ცნობისათვის უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში“ (მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუციიდან).

5. თბილისის კომიტეტის პლენუმი საჭიროდ სცნობს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბჭოთა და კოოპერატიული ქვედა აპარატების წმენდას, რომლებიც სახელმწიფო აპარატის სისტემაში ყველაზე უფრო მტკივნეულ ადგილს წარმოადგენენ პროლეტარული პოლიტიკის დამახინჯების მხრით სოფლად.

საბჭოთა ქვედა აპარატის წმენდამ შემდეგისათვის უნდა უზრუნველჰყოს პროლეტარული ხაზის მკაფიოდ და შეურყევლად გატარება; ამიტომ სოფლის ქვედა აპარატის წმენდის საქმეში მაქსიმალურად უნდა იქნან ჩაბმულნი ღარიბ გლეხთა ჯგუფები, მოჯამაგირეთა ორგანიზაციები და სოფლის მთელი საბჭოთა აქტივი.

6. სახელმწიფო აპარატის წმენდასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმ მუშებისა და მოსამსახურეების ახალი კადრის დაწინაურებას, რომლებიც საბჭოთა და საზოგადოებრივი მუშაობის ნიადაგზე აღიზარდნენ და რომელთაც დაამტკიცეს სოციალისტური მშენებლობის საქმის ერთგულება. პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ეხლავე უნდა შეუდგნენ სოფლად და ქალაქად დასაწინაურებელთა ახალი კადრის ყოველ მხრივ მზადებასა და შესწავლას სათანადო კურსების მოწყობის საშუალებით; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე დაწინაურებულებთან მუშაობას პარტიის თბილისის კომიტეტის დირექტივების საფუძველზე.

საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ საჭირო ორგანიზაციული და მატერიალური დახმარება ამ მუშაობაში.

„საბჭოთა დაწესებულებების კომუჯრედებსა და ადგილკომებს დაევალოთ, რომ სისტემატიურად ადევნონ თვალყური დაწინაურებულთა მიღებას და შემდგომ მუშაობას, ყოველნაირად დაეხმარონ მათ და გადაჭრით შეებრძოლონ აპარატის ბიუროკრატიულ ელემენტებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დაწინაურებას და ავიწროებენ დაწინაურებულებს“.

პარტიის რაიკომებმა და კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ფრაქციებმა უნდა უზრუნველჰყონ თბილისის კომიტეტის იმ დირექტივის შესრულება, რომელიც შეეხება 250 მუშის მიმაგრებას სათანადო დაწესებულებებზე მუშათა აქტივის კადრის აღზრდის მიზნით.

7. აპარატის წარმატებით წმენდა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფართოდ გაიშლება და განვითარდება თვითკრიტიკა, თუ მუშათა და გლეხთა ფართო მასები მონაწილეობას მიიღებენ ამ საქმეში. ამიტომ პარტიულმა, პროფესიონალურმა და კომკავშირის ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა გააცნონ პარტიულ და უპარტიო მშრომელ მასებს აპარატის წმენდის ამოცანები და მოამზადონ წმენდისათვის მთელი საბჭოთა და პარტიული საზოგადოებრიობა. რაიკომებმა და თემკომებმა სახელმწიფო აპარატის წმენდის საკითხი უნდა დასვან უჯრედების ბიუროების გაფართოვებულ პლენუმებზე და კონფერენციებზე და შემდეგ გადაიტანონ იგი უჯრედების ღია სხდომებზე.

პროფკავშირებმა უპარტიო მუშათა და მოსამსახურეთა შორის უნდა აწარმოონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია სახელმწიფო აპარატის წმენდის შესახებ და სამისოდ გამოიყენონ მასიური კულტურული მუშაობის ყველა ფორმა (კლუბები, წითელი კუთხეები და სხვ.)

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატს ეთხოვოს, რომ დააჩქაროს აპარატის წმენდისათვის საჭირო ღონისძიებათა და წესის შემუშავება. 1929 წლის განმავლობაში პირველად გაიწმინდოს ის დაწესებულებანი, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი მშრომელ მასებთან — ფინანსთა სახ. კომისარიატი, იუსტიციის სახ. კომისარიატი, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი, შრომის სახ. კომისარიატი და თბილისის აღმასკომი.

8. უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო აპარატის გამწმენდი კომისიების სათანადო თვისებრივი შემადგენლობა მუშათა აქტივიდან, რისთვისაც კანდიდატები გულდასმით უნდა იქნან შერჩეულნი ფართო მასების აქტიური მონაწილეობით.

9. ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებმა ფართო კამპანია უნდა დაიწყონ სახ. აპარატის წმენდის ირგვლივ. აგრეთვე საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ სახელგამმა გამოსცეს პოპულიარული ბროშურები წმენდის მიზნისა და ამოცანების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

წითელი ჯარი ბანაკად

წითელი ჯარის ნაწილები უკვე გავიდნენ ბანაკად და შეუდგნენ ყელად საზაფხულო სწავლებას.

ბანაკობას წითელი ჯარისათვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ზაფხულის პერიოდში წითელი ჯარი პრაქტიკულად ანხორციელებს იმ ცოდნას, რომელიც შეიძინეს წითელ არმიელებმა ზამთარში ყაზარმაში ყოფნის დროს,

ამავე დროს წითელი არმიელები ზაფხულის განმავლობაში ახლო არიან გლეხობასთან, ეცნობიან მის ცხოვრებას და ჩვენი ხელისუფლების და პარტიის იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სოფლის მეურნეობის აღორძინება - აყვავებისაკენ.

მიმდინარე წელს წითელი ჯარი დროულად შეუდგა სამზადისს ბანაკობისათვის.

ნაწილებს შორის ჩატარებული იქნა შეჯიბრება საუკეთესო ბანაკის მოწყობის ირგვლივ, რამაც გამოიღო სათანადო ნაყოფი: წრეულს წითელი ჯარის ნაწილებს აქვთ საუკეთესოდ მოწყობილი საზაფხულო ბინა, სადაც წითელი არმიელები დასვენების დროს დღიური მეცადინეობას გაატარებენ კულტურულად.

მიმდინარე საბანაკო პერიოდი ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული მოსახლეობის გასამხედროებისათვის და ისეთ ცოდნის გავრცელებისათვის მშრომელ გლეხობის შორის, რომელიც საჭიროა თავდაცვის დროს. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ მხრივ გასულ წლებში გაკეთებული იქნა ძალიან ცოტა. წითელი ჯარის ნაწილების მიერ არ იყო წარმოებული სოფლად სისტემატიური მუშაობა გასამხედროების დარგში. რაც მთავარია თავდაცვა - ავიაქიმის ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ საბანაკო პერიოდი არ იყო სავსებით გამოყენებული თავისი მუშაობის ხაზის გამოსასწორებლად.

მიმდინარე წელს ეს შეცდომები უნდა ავიცილოთ თავიდან.

მუშაობას გლეხობის გასამხედროების მიზნით უნდა ჰქონდეს არა შემთხვევითი, არამედ სისტემატიური ხასიათი. ამავე დროს სოფლის სამხედრო კუთხეებმა და თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედებმა უნდა ისარგებლონ ჯარის ნაწილების სიახლოვით და ზაფხული უნდა გამოიყენონ სარგებლიანად.

ყველასათვის ცხადია ის გარემოება, რომ თავდაცვა - ავიაქიმის სოფლის უჯრედები მუშაობენ სუსტად, რადგან ერთის მხრივ მოკლებულნი არიან ცოცხალ ხელმძღვანელობას და, მეორეს მხრივ, იმიტომ, რომ ამ უჯრედებს არ მოეძებნებათ საჭირო მასალა და ხელსაწყოები.

ჯარის ნაწილების სიახლოვე დიდათ დაეხმარება ავიაქიმის უჯრედებს მუშაობის წარმოების დროს. ავიაქიმის ჯარის უჯრედები გაუწევენ მათ სათანადო ხელმძღვანელობას, მისცემენ რჩევა - დარიგებას, მიაწოდებენ შეძლების დაგვარად მასალას, ხელსაწყოებს. ამისათვის კი საჭიროა, რომ ავიაქიმის უჯრედებმა გააბან მჭიდრო კავშირი ჯარის ნაწილებთან.

ამასთანავე ავიაქიმის უჯრედებმა უნდა გამოიყენონ ჯარის ნაწილები ავიაქიმის ბანაკების, მანევრების, საველე მეცადინეობის და სხვა პრაქტიკულ მეცადინეობის მოწყობაში. ამ მხრივ წითელ ჯარს აქვს საკმაო გამოცდილება და იგი გაუწევს ავიაქიმის უჯრედებს სათანადო დახმარებას და ხელმძღვანელობას.

მხედარი.

ცვალებადელთა შორის

(№ ქართ. დივიზიის ბანაკი)

მესამე კვირაა, რაც № ქართ. დივიზიის ბანაკში დაიწყო ახალწვეულ ცვალებად წითელ არმიელთა სწავლება.

ბანაკი საუცხოვოდ არის მოწყობილი. გაყვანილია წყალი, მოკლე ხანში დამთავრდება ელექტრო ხაზის გაყვანაც. აგებულია სასადილოები, სამზარეულოები, საწყობები.

მეცადინეობა, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური, მიმდინარეობს რეგულიარულად.

ახალწვეული წითელი არმიელები ხალისიანად მეცადინეობენ და იძენენ საჭირო სამხედრო ცოდნას. დილიდან მოყოლებული სადილობამდე ბანაკად მიმდინარეობს სამხედრო მეცადინეობა.

ცვალებადელნი, თუმც დიდი ხანი არ არის რაც იმყოფებიან ბანაკად, კარგათ არიან გარკვეულნი სამხედრო დისციპლინაში, უნაკლოდ ასრულებენ ყოველივე დავალებას.

მეთაურნიც ცდილობენ გადასცენ ახალწვეულებს რაც შეიძლება მეტი ცოდნა და თავისი გამოცდილება.

სამხედრო მეცადინეობები.
მდეგ იწყება სკოლის გა
უკვე ჩამოყალიბებულ
ბი: მიმდინარე პოლიტი
დრამატიული, კოლმეურ
ყველა ლეგიონებში
ციო კოლეგიები. გამოუ
გაზეთები, ისე მრავალ
მოკლე ხანში აგებ
შენობები, რაც ხელს
რეშე მუშაობის გაფა

თადარიგის მეთაურები შეკ

27 მაისიდან ქ. გორის ბანაკში დაიწყო თადარიგის მეთაურთა შეკრება, რომლის მიზანია მათი გადამზადება.

შეკრება ტარდება № ქართ. დივიზიის მეთაურთა შემადგენლობის ხელმძღვანელობით.

დივიზია ყოველმხრივ უწყობს ხელს შეკრების წარმატებით ჩატარებას. ეხმარება მეთაურებს ლიტერატურით, ხელსაწყოებით.

თვით თადარიგის მეთაურნიც ცდილობენ სარგებლიანად გამოიყენონ შეკრების დრო და შეიძინონ რაც შეიძლება მეტი ცოდნა

როგორც სამხედრო,
გზი
შეკრებას მეთაურ
მნიშვნელობა, რადგ
ნობიან წითელ არმი
ახალ ფორმებს და
ცოდნას.
იმედია, რომ მიმდ
ება სავსებით დამა
თაურნი შეძენილ ც
რგებლიანად.

ისტური პარტიის
ტეტის ზემოხსენე-
ში ხაზგასმით არის
საჭიროა მოხდეს გა-
ება პროფკავშირე-
ფლად. ამ მიზნით
ყურადღება უნდა
გაძლიერებას სა-
ო მუშებს შორის.
სების ეს ფენები მე-
რიან დაკავშირებული
ობასთან, მათ აქტიურ
ოლექტივების მშენებ-
ა, კოოპერატიულ და
მუშაობაში უდიდესი
ტანა შეუძლია. მუ-
წარმოადგენენ სოფ-
იატის გავლენის გამ-
საიმედო და მნი-
ს. ამავე დროს ჯერ-
(კოტა რამ კეთდება
მუშა ხელის მომზა-
ნიზაციულად დარაზ-
ად. ზოგიერთ შემთხ-
-მეურნეობის მუშე-
ური კავშირის წევ-
იან. ასეთ პირობებში,
ძნელია იმაზე ლაპა-
ლის პროლეტარიატი
ებით უხელმძღვანე-
მშენებლობას და სა-
მოიპოვოს გლეხთა
აქედან თავისთავად
საჭიროა გაათკეც-
მუშაობა, პირველ
სასოფლო-მეურნეო-
ვ უფრო შესაკავშ-
ის კულტურულ და
ოებლად.
ქვას სოფლად მომუ-
პროფესიონალურ
სახებ. მასწავლებ-
, ექიმები, და, სა-
და საზოგადოებრივ

ბანაკად. ემზადებიან მეცადინეობაზე გასასწრდელობითი საქმი-

სოციალისტურ

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბ

თელავის აბრეშუმის ძაფ-სახვევ ფაბრიკაში შრომის პირობები აუტანელ

საზეიმო სხდომა პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბაში

როგორც ჩვენი გაზეთის 14 ივნისის ნომერში იყო აღნიშნული, საქართველოს უმაღლეს სახ. საბჭოს დადგენილების თანახმად, 16 ივნისიდან პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა გადავიდა 7 საათის სამუშაო დღეზე.

ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან ფაქტის აღსანიშნავად კვირას, 16 ივნისს ადგილობრივ მოეწყო საზეიმო სხდომა. სხდომას დაესწრო როგორც მეხუთე სტამბის მუშა-მოსამსახურენი და მათი ოჯახის წევრები, ისე პარტიის, პროფკავშირის და სხვა სტამბების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა მბეჭდავთა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **აქ. ფანცულაიამ**, რომელმაც მოკლედ დაახასიათა 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის მნიშვნელობა და ის ამოცანები, რომელსაც მიზნად ისახავს 7 საათიანი სამუშაო დღის შემოღება

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სხდომას საქ. კომპ. ცეკას, მთავრობის და თბ. კომიტეტის სახელით მიესალმა ამხ. **შამშე ლეჟავა.** ამხ. ლეჟავამ თავის მისასალმებელ სიტყვაში მოიგონა თვითმპყრობელური ხანა, როდესაც მუშათა კლასს ოცნებაც კი არ შეეძლო ემუშავა 7 საათი. თვითმპყრობელობის დროს ამბობს ამხ. ლეჟავა, მუშები მუშაობდნენ 16—18 საათს. თითქმის ასეთივე პირობებში უხდებათ მუშაობა მუშებს დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ კი პირველ დღიდანვე დააკანონა 8 საათის სამუშაო დღე, აღადგინა დანგრეული მრეწველობა და ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე გამოსცა მანიფესტი 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ, რაც დღეს პრაქტიკულად უკვე ხორციელდება. მუშათა კლასმა ეს ზედმეტი ერთი საათი უნდა გამოიყენოს თავისი კულტურული დონის ასამაღლებლად და საზოგადოებრივი მუშაობისათვის.

პოლიგრაფტრესტის სახელით სხდომას მიესალმა ამხ. **ხარაზიანი**, მე-5 სტამბის მუშების სახელით ამხ. **ლ. მეგრელაძე**, საქართველოს კომპარტ. (ბ) ქალაქის რაიკომის სახელით ამხ. **ტინტიკოვი**, მეორე სტამბის მუშების სახელით ამხ. **სოლდულაშვილი**, კოლოფების ფაბრიკის მუშების სახელით ამხ. **ბერუაშვილი**. მუშა პოეტმა ამხ. **შაქრო ნათლუღელმა** წაიკითხა მისასალმებელი ლექსი.

მისალმებების შემდეგ გამოვიდა ქუთაისის სატირის თეატრი. დასასრულ მუშებს უჩვენეს კინო-სურათი „საბა“.

7 საათის სამუშაო დღის შემოღებას სტამბის მუშები ძალზე აღფრთოვანებით შეხვდნენ. ისინი კიდევ უფრო მეტის ენერგიით, შეუდგნენ მუშაობას, რაც საბუთს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ მეხუთე სტამბაში არა თუ შემცირდება გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობა, არამედ კიდევ უფრო გაიზრდება.

17 ივნისიდან მუშები უკვე გადავიდნენ 7 საათიან სამუშაო დღეზე.

გააუმჯობესეთ შრომის პირობები

(თელავის აბრეშუმის ფაბრიკა)

თელავის აბრეშუმის ძაფ-სახვევ ფაბრიკის არსებობის სამი წლის თავზე, ფაბრიკა მაისიდან გადავიდა 7 საათის სამუშაო დღეზე. ჯერ, რასაკვირველია საბოლოო მიღწევებზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ჩვენი მუშა-ქალები, რომ მამას მომზადებულად და შეგნებულად შეხვდნენ, ნათლადა სჩანს იქიდან, რომ მაისის ათ დღეში შეუსრულებულია — 2.367 კაც-დღე ე. ი. 44 კაც- დღით მეტი აპრილთან შედარებით დამზადებულია 6190 გრამი ძაფი, წინააღმდეგ აპრილის—5.290 გრამისა. ამნაირად შრომის ნაყოფიერება გაზრდილა დღეში 21 გრამით.

აღსანიშნავია, რომ გაცდენილ დღეთა რიცხვი მაისში უფრო მეტია, ვიდრე იყო აპრილში. ეს გამოწვეულია შრომის მძიმე პირობებით, რომელსაც მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს. შრომის პირობების გაუმჯობესების შემდეგ, შრომის ნაყოფიერება გაიზრდება, არა 21 გრამით დღეში, არამედ უფრო მეტით.

როგორც საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის კომისიამ გამოარკვია, ფაბრიკას მრავალი დეფექტები აქვს, რომლის თავიდან აცილება არც ისე ძნელია. ფაბრიკა არაა სპეციალურად აშენებული და ის მოთავსებულია ძველ შენობაში—დაბლა სართულში. ჰაერის მოცულობა არაა საკმარისი. აქ არის მხოლოდ 1280 კუბატურა ჰაერი, რაც საკმარისია მხოლოდ 64 კაცისათვის. ძაფის ამოსახვევზე კი თითო ჯერზე მუშაობს დაახლოებით—100-მდე ქალი. ამ შემთხვევაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ჰაერის ხელოვნურად გაჯანსაღებას ვინტილიატორების საშუალებით.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაცია ღებულობს სათანადო ზომებს. გასულ წელს ექსჰაუსტერის მოწყობა თითქმის 10 ათასი მან. დაჯდა. 10 ძალიან ძრავის საშუალებით მას უნდა ჰქონოდა საათში 16.000 კუბ. მ. ჰაერის გამწეობის შესაძლებლობა, მაგრამ ამან ვერ გაამართლა იმედი. ამით აიხსნება, რომ ფაბრიკაში ყოველთვის მძიმე შეხუთული და ცხელი ჰაერია, რომელიც იწმინდება უბრალოდ სარკმლების საშუალებით და რომლის ცივი ჰაერი პირდაპირ სხვდება მომმუშავე ქალებს. ეს კი იწვევს სახსრების მწვავე დაავადებას. ამას გარდა იატაკზე ყოველთვის წყალი დგას, სისველე და სინესტე კი იწვევს მუშის დაავადებას.

არის კიდევ წვრილი დეფექტები, როგორც ტანისამოსის გასახდელი ოთახის შეუფერებლობა, ფეხის ალაგის თვით ამოსახვევ განყოფილებასთან სიახლოვე, სადანაც სუნი გამოდის, დასასვენებელ და სასაუზმე დარბაზის უქონლობა და სხვა, რომელსაც უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება.

ამჟამად მუშები მორიგ შვებულებაში არიან წასული 3 კვირით. ამ ხნის განმავლობაში ფაბრიკაში იწარმოებს სამუშაო მანქანების შეკეთება, ამასთან დაკავშირებით საჭიროა მიღებული იქნეს ზომები აღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად.

ვან-ლი.

დღეს, საღამოს 6 საათზე ჩვენი რედაქციის ბინაზე (კამოს ქ № 68) შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. ვინაიდან დღის წესრიგში ფრიად საყურადღებო საკითხია დასმული, ყველა მუშკორის დასწრება აუცილებელია.

ჩვენი საქმიანობა

(წერილი ბათომიდან)

აჭარისტანის თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა მშრომელ გლეხობის გასამხედროების დარგში ჯერ-ჯერობით სუსტად მიმდინარეობს: ამჟამად ისეთ სამაზრო ცენტრებში, როგორიცაა ხულო, ქედა და ქობულეთი ჩამოყალიბებულია ავიაქიმის თითო უჯრედი. მაგრამ მუშაობა ამ უჯრედებში მიმდინარეობს არა დამაკმაყოფილებლად.

ავიაქიმის ერთ-ერთ ძლიერ ორგანიზაციად აჭარისტანში ითვლება ჩაქვის ორგანიზაცია.

ჩაქვის რაიონული ბიურო აერთიანებს 6 სოფლის უჯრედს 482 წევრით.

თუმც დიდ ხანი არ არის, რაც რაიონული ბიურო შეუდგა მუშაობას, მაგრამ მას აქვს საგრძნობი მიღწევები.

რაიონულ ბიუროსთან არსებობს ქიმიური რაზმი, რომელშიაც ირიცხება 32 კაცი. (აქედან 22 ქალია).

ჩამოყალიბებულია სანიტარული და სასროლო წრეები.

ადგილობრივ აგრო - პუნქტთან ერთად, ავიაქიმმა გამოჰყო საცდელი - საჩვენებელი მინდორი, სადაც სწარმოებს პრაქტიკული მეცადინეობა.

ჩაქვის ორგანიზაციამ რამდენიმეჯერ მოაწყო მანევრები და განგაში, რომლების საშუალებითაც ავიაქიმის წევრები გაეცნენ საქმეზე თავდაცვის საშუალებებს.

ბათომელი.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმში

ავიაქიმის ბანაკი

ავიაქიმის თბილისის საბჭო შეუდგა ავიაქიმის ბანაკის მოწყობას ა.-კ. ქვეითი სკოლის საზაფხულო ბანაკთან.

ბანაკად პერიოდიულათ გაიგზავნებიან ავიაქიმის წევრები, რიცხვით 60 კაცი.

ავიაქიმელები ბანაკად გაივლიან პრაქტიკულ სამხედრო სწავლებას.

ბრძოლა მავნებლებთან

ბასო.

„შეიძლება, — განაცხადა დელეგატმა,— ჩვენი ფორმის განდევნა ქუჩებიდან, მაგრამ ჩვენს სიძულვილს ბურჟუაზიისადმი ვერავინ მოსპობს. წითელ ფრონტელთა კავშირი შეასრულებს თავის ვალს და დარჩება პროლეტარიატის თავდაცვის მტკიცე ორგანიზაციად; იგი იბრძოლებს გერმანიის კომპარტიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული“.

რეზოლიუცია შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ და ყრილობის პოლიტიკური კომისიის და პოლიტბიუროს დადგენილება შემარიგებლების შესახებ მიღებულ იქნა ყველა ხმით ერთის წინააღმდეგ. დადგენილება შემდეგ მოთხოვნებს უდგენს შემარიგებელთა პლატფორმის ხელის მომწერთ და მათ მომხრეებს: **ნახევრად მენშევიკური შეხედულებებზე ხელის აღება, აღიარება იმის, რომ ყრილობისათვის წარდგენილი პლატფორმა ფრაქციული ხასიათისაა, ფრაქციის დაუყოვნებლივ დაშლა, ყოველგვარი ჯგუფური მუშაობის შეწყვეტა, ყრილობის გადაწყვეტილებებისა და პარტხელმძღვანელობის დირექტივების გადაუხრელად განხორციელება და დაცვა.**

„ყრილობა, — ნათქვამია დადგენილებაში, — ავალებს ახლად არჩეულ ცეკას, კომინტერნის აღმასკომთან ერთად, მიიღოს საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი პარტიის მთლიანობის უზრუნველსაყოფად, და პარტიის გადაწყვეტილებათა გადაუხრელად განხორციელებისათვის“.

შემარიგებელთა ჯგუფის ბელადმა ევერტმა განაცხადა:

პარტიისა და ყრილობის წინაშე თავისი ხედულების დაცვის უფლება. ყრილობაზე გამართული დისკუსიისა და ყრილობის გადაწყვეტილებების შედეგად ეს საკითხი ამოწურულია. ყრილობისათვის წარდგენილი დოკუმენტი არ ყოფილა გამოყენებული როგორც ფრაქციის პლატფორმა და ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს საბაბს შემდგომი დისკუსიისთვის.

ტელმანმა განაცხადა, რომ ევერტს არ გაუცია გარკვეული პასუხი კითხვაზე პლატფორმის ფრაქციულობის შესახებ.

თეზისები ომის საფრთხის შესახებ, აგრეთვე თეზისები პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ ეკონომიურ ბრძოლაში ყრილობამ მიიღო ყველა ხმით ერთის წინააღმდეგ.

ყრილობამ ერთხმად დაადასტურა ბრანდლერის 12 მომხრის და 5 ულტრამემარცხენის გამორიცხვა პარტიის რიგებიდან.

ამის შემდეგ ყრილობამ აირჩია ახალი ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია, რომელშიაც შედიან მხოლოდ პარტიის გენერალური ხაზის მომხრეები.

ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევის შემდეგ გეკერტმა გამოაქვეყნა საკავშირო კომპარტიის (ბ) მისალმებელი დეპეშა, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

შემდეგ ყრილობამ მიიღო მოწოდება გერმანიის მშრომელთადმი.

ყრილობა დამთავრდა ინტერნაციონალის და ვარაშვიანკის სიმღერით. (ადს).

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ამხ. ვ. მჟარეულაშვილის დანიშვნა შრომის სახ. კომისრად

ამხ. ნიკოლოზ ფანცხავას საქართველოს სააქციო საზ-ბის „საქართველოს ჩაი“-ს თავმჯდომარედ დანიშვნის გამო, საქართველოს შრომის სახალხო კომისრად დაინიშნა ამხ. ვასილ ივანეს ძე მჟარეულაშვილი.

მოსამართლეების დანიშვნა

იუსტიციის სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, საქ. ცაკის პრეზიდიუმმა უზენაეს სასამართლოს სახალხო მსაჯულებად დაამტკიცა შემდეგი პირები: სამხრეთ - ოსეთიდან— ამხ. **გიორგი სავას ძე ჯიოევი, ირაკლი დავითის ძე ჩობიკაშვილი, ალექსი ივანეს ძე ხარებოვი და ლევან პეტრეს ძე დოქაძე**; ახალციხის მაზრიდან — **დავით იგითხანოვი, ქირმან ხალილოვი, შაენ საპონჯანი და თამარა ბაბაევა**; ახალქალაქის მაზრიდან — **ამბარცუმ ბაღდასაროვი, გრ. აივაზიანი, ვალარშაკ თათარიანი და მიხეილ მაისურაძე**; ფოთის რაიონიდან—**ვიქტორ კონსტანტინეს ძე ჭანტურია, ერმილე კიკალეიშვილი, აკაკი ადამია და გრიგოლ მეუნარგია.**

თბილისის მაზრა - ქალაქის მოსამართლედ დაინიშნა **სავინ თურქია**, გორის მაზრის მოსამართლედ **გიორგი ესტატეს ძე ბლიაძე.**

უზენაეს სასამართლოს წევრად დაინიშნა — **გაბო გასიევი.**

რა ხდება ადგილებზე

ნათესების მდგომარეობა გაუმჯობესდა

ზუგდიდი. 16 ივნისი. (საქ. კორესპ.)

თურქეთ-საბერძნეთის პრესის პოლემიკა

განიარაღების საკითხზე

სტამბოლი, 17 ივნისი. თურქეთისა და საბერძნეთის პრესას შორის გრძელდება [illegible] მათი განიარაღების საკითხის შესახებ.

„ჯუმხურიეთ“-ი გადაჭრით უარჰყოფს საბერძნეთის გაზეთების განცხადებას, თითქოს კრეისერი „იავუზ“-ის შეკეთების დამთავრების შემდეგ თურქეთი ომს გამოუცხადებს საბერძნეთს, რათა მატილენეს და ხიოსის კუნძულები უკან დაიბრუნოს. გაზეთი სწერს:

„თურქეთს არ სურს საფრთხეში ჩააგდოს საყოველთაო მშვიდობიანობა თვით იმ კუნძულებისთვისაც კი, რომლებიც ძალით მოჰგლიჯეს მას და გადასცეს უცხოელებს“.

სტამბოლის პრესა ადარებს თურქეთისა და საბერძნეთის საზღვაო ძალებს და აღნიშნავს საბერძნეთის ფლოტის უპირატესობას.

„მილლიეთ“-ი ეხება საბერძნეთის ახალი კაბინეტის შემადგენლობას და ამტკიცებს, რომ საბერძნეთის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი არგიროპულო, რომელიც წინად სამხედრო მინისტრად იყო, საჭიროდ სთვლის საბერძნეთის საზღვაო შეიარაღების გაძლიერებას. (ადს).

პრესა ფინეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ

17 ივნისი. „ფინეთის
რუნდება არჩევნების შემდეგ და აცხადებს:
ისაც სურს სავაჭრო ხელშეკრულება საბ-
მისცეს

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. სტალინი, კალინინი, რიკოვი, ტელმანი, რუძუტაკი; ორჯონიკიძე; კუიბიშევი, კრუპსკაია, ვოროშილოვი, მიქოიანი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შ. ელიავა, მ. კახიანი, ლ. ლობერიძე, სუხიშვილი და ბედია.

საქმიან პრეზიდიუმში: ამხ. ტიხომიროვი (სარეწაო კოოპერაციის საკავშირო საბჭოს წარმომადგენელი), გ. ყურულაშვილი, ს. ჯუღელი, აივაზოვი, ასატუროვი, კალანდაძე, კავკასიძე, კოპაძე და სხვ. სულ 32 კაცი.

მისალმებები

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ მოსმენილ იქნა მისალმებები. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სახკომსაბჭოს სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **გ. ყურულაშვილი**, რომელმაც აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სარეწაო კოოპერაციის მუშაობას დღეს, როდესაც მთავარი ყურადღება გადატანილია მძიმე მრეწველობის განვითარებაზე, ხოლო მსუბუქი მრეწველობის ამოცანების შესრულება დაკისრებული აქვს სარეწაო კოოპერაციას, რომელმაც ამ მიზნის განსახორციელებლად და სოციალისტურ აღმშენებლობაში აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობის მისაღებად კიდევ ბევრათ უნდა გაადიდოს თავისი რიგები, გააფართოვოს მუშაობა სოფლად, დააუმჯობესოს წარმოების ტეხნიკა, გაწმინდოს თავისი რიგები უცხო ელემენტებისაგან (ვაჭრებისა და სპეკულიანტებისაგან) და სხვ.

ყრილობას მიესალმა სარეწკოოპკავშირთან არსებული პიონერთა ორგანიზაცია, რის შემდეგ მოსმენილ იქნა სარეწაო კოოპერაციის საკავშირო საბჭოს წარმომადგენელ ამხ. ა. ტიხომიროვის მოხსენება საბჭოს წარსული მუშაობის შესახებ.

სარეწაო კოოპერაციის საკავშირო საბჭოს მუშაობა

(ამხ. ა. ტიხომიროვის მოხსენება)

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საბჭოთა კავშირში ამჟამად ირიცხება 12.500 სარეწაო გაერთიანება, რომელშიაც შეკავშირებულია ერთ მილიონზე მეტი შინამრეწველ ხელოსანი (ხელოსნების მთელი რაოდენობის 38,6 პროცენტი). სარეწაო კოოპერაციის საქონლის ბრუნვა გასულ წელს უდრიდა 2.300.000 მანეთს, პროდუქციის ღირებულება — 1.380 მილიონ მანეთზე მეტს. საპაიო გადასახადი საშუალოდ უდრის 38 მანეთს, მთავრობის მიერ სარეწაო კოოპერაციას გადაცემული აქვს 394 საწარმო, 12 მილიონ მანეთად ღირებული და სამ მილიონ მანეთის მოწყობილობა. 1932 წლისთვის სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია ნავარაუდევია 6.049 მილიონ მანეთის რაოდენობით, ხუთი წლის განმავლობაში სარეწაო კოოპ. კავშირის კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯება 187 მილიონი მანეთი.

მეორე სხდომა

სარეწაო კოოპერაციის კავშირის მუშაობა

ყრილობის მეორე სხდომაზე, მოსმენილი იქნა სარეწ. კოოპ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ნ. აივაზოვის მოხსენება განვლილი მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შინამრეწველ-ხელოსანთა რაოდენობა საქართველოში უდრის—76.937 კაცს (მეწისქვილეთა გამოკლებით კი—68.783 კაცს). აქედან ქალაქებზე მოდის 23.892 კაცი, სასოფლო ადგილებზე—44.891. სარეწაო კოოპერაციის წლიური პროდუქცია უდრის—57.779.000 მანეთს. საქართველოში განსაკუთრებით განვითარებულია მაუდის, აბრეშუმის და ხალიჩების ქსოვა, კერამიკა, სამშენებ-

მ
ლო
დრის შ
დეგი გან
„ჩვენ
საკითხის
საუბარს
ხასიათი
მთ
ვარშა,
გროდისკ
რობის სია
ფლების
მემარცხ
პა
ლო
სამხრეთ -
არჩევნების
ლისტურმა
ვანელობს
შერცოგი,
ლატვ
რიგა, 17
ლატვიის
რიგ და
თავის სა
ყრილობ
კუპან
პარი

რწმუნებულთა

ობა

ს და განსაკუთრებით ხე-ტყის მა-
მუშავება, შინამრეწველთა დარაზ-
მრეწველობისათვის გეგმიანი ხა-
მას სათანადო ყურადღება არ ექ-
ნასკნელ დრომდე. მას შემდეგაც
ახაოსებული იქნა სარეწაო კოოპე-
საკავშირო (1927 წლის თებერვალში),
იმ აზრისა იყვნენ, რომ სპეცია-
ტრის შექმნა ზედმეტი იყო, საჭ-
იდენ ამ ცენტრის გაუქმებას და
ციების გადაცემას სასოფლო-სამე-
ოპერაციისათვის. ამ პერიოდში კავ-
ადა უკიდურეს მატერიალურ
და მხოლოდ შემდეგ, როდესაც ს
ქნა ცნობილი ამ სახის კოოპ. ცენ-
რმა, კომპლებლობა და მიზანშეწონილობა,
რთა წერმცირეოდენი კრედიტები. ამის შემდეგ მდგომარეობა თანდათანობით განმტკიცდა და შინამრეწველ ხელოსანთა ნდობა კავშირისადმი გაიზარდა. სოფლის ხელოსანთა შესაკავშირებლად ჯერჯერობით ცოტა რამ არის გაკეთებული, რასაც მომავალში უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ასევე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ქალების შეკავშირების საკითხს, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში. კავშირის მიღებული აქვს ზომები არტელების სოციალური შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესებას არტელებში დიდად აფერხებს ის გარემოება, რომ კავშირი ვერ შოვილობს კარგ სპეციალისტებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ხელისუფლება კავშირს აძლევს ამა თუ იმ ფაბრიკაქარხანას და მას შემდეგ, როცა კავშირი მოაწყობს ქარხანას, სხვადასხვა ორგანიზაციები ცდილობენ ჩამოართვან იგი კავშირს, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურ მოვლენად. სათანადო სიმაღლეზე ვერა დგას ნედლეულის მომარაგების საკითხიც. 1928—29 წლისათვის კავშირმა წარადგინა მოთხოვნილება 14.466.900 მანეთის ნედლეულზე, მოთხოვნილება შეამცირეს — 4.800.000 მანეთამდე, რაც შეადგენს საჭიროების 33 პროცენტს.

კავშირის ფინანსიური მდგომარეობა, მართალია, ბევრად გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერა დგას სათანადო დონეზე, ამას ხელს უწყობს ნაწილობრივად საპაიო აკრეფის სიძნელე და ის გარემოება, რომ ბანკები ცდილობენ შეამცირონ სარეწაო კოოპერაციის კრედიტები. სარეწაო-კოოპერაციის მუშაობას საგრძნობლად აფერხებს კოოპერატიული კანონმდებლობის მოუწესრიგებლობა, ადგილებზე შეკავშირებული შინამრეწველები ძალიან ხშირად გათანაბრებული არიან კერძო პირებთან როგორც საგადასახადო, აგრეთვე სხვა უფლებრივ საკითხებში.

კავშირის ნაყოფიერ მუშაობას საგრძნობლად აფერხებს ის გარემოება, რომ აპარატს დიდ დროსართმევს მრავალგვარ ცნობების მიწოდება სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის.

კავშირის ორგანიზაციული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **პ. კავკასიძემ**, რომელმაც დაახასიათა გამგეობის საქმიანობა ამ დარგში და აღნიშნა, რომ კოოპერაციაში საერთოდ აღებულია სპეციალიზაციის კურსი. მისი აზრით სარეწაო კოოპერაციაში ჯერ ჯერობით ნაადრევია სპეციალური კავშირების მოწყობა, ხოლო რომ ძირითად ორგანიზაციებს გაეწიოს უფრო მეტი და რეალური ხელმძღვანელობა, საჭიროა მოეწყოს რაიონული უნივერსალური კავშირები.

16 ივნისს საღამოს ამხ. **კოპაძემ** გააკეთა მოხსენება კავშირის სავაჭრო-ფინანსიური საქმიანობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ პირველ ხანებში კავშირის სავაჭრო ფინანსიური მდგომარეობა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. 1925—26 წელში კავშირის ბრუნვა უდრიდა 260.000 მანეთს, შემოსავალი 25 ათას მანეთს და გასავალი 37 ათას მანეთს. 1927 წ. კავშირის ბრუნვა უკვე უდრის 1,5 მილიონ მანეთამდე. ეს წელიწადი კავშირმა დაამთავრა 21 ათას მანეთ წმინდა მოგებით. 1928 წ. ბრუნვა ავიდა 3,5 მანეთამდე, წმინდა მოგება კი 129.000 მანეთამდე გაიზარდა.

მიმდინარე წლის ბრუნვა ნავარაუდევია 8 მილიონ მანეთის ფარგლებში. განვლილ ნახევარ წელიწადში შესრულებულია გეგმის 50 პროცენტი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სარეწაო კოოპ. კავშირს აქამდე ვერ შესძლო ნორმალური ურთიერთობის დამყარება სამომხმარებლო კოოპერაციასთან (განსაკუთრებით ადგილებზე), რომელიც გაურბის სარეწაო კოოპერაციის პროდუქციის რეალიზაციის აღებას თავის თავზე.

ვაუმჯობესებთ წარმოებას

(ბორჯომის საკასრე ქარხანა)

ბორჯომის საკასრე ქარხანაში ჩქარი ნაბიჯით მიდის გამოგონება - გაუმჯობესების საქმე. ქარხანაში ძირის შემომჭრელ დაზგის შესაფერი ხერხების უქონლობის გამო, ერთი თვე შეჩერებული იყო მუშაობა, მუშაობა უნდა გაჩერებულიყო მანამდე, სანამ



საზღვარგარეთიდან არ მიიღებდა ქარხანა ხერხს. მაგრამ მუშამ ამხ. ჯოლბარდმა გამოიგონა მანქანა, რომელიც უკვე მუშაობს ქარხანაში და სჭრის ძირებს. საზღვარგარეთული ხერხი ჯდება 150 მანეთი ცალი. ამხ. ჯოლბარდის მიერ დამზადებული ხერხი კი 15 მანეთი. ამ გამოგონებამ დიდი სარგებლობა მოუტანა ქარხანას.

ზეინკალი.

მოაგვარეთ ეს საკითხი

მუშა-მოსამსახურეთა ხელის რაციონალურად გამოყენებას, დღეს დიდი ყურადღება ექცევა. ბრძოლა სამსახურში დაგვიანების და გამოუცხადებლობის, წინააღმდეგ, მთავარ საკითხად არის გადაქცეული ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში. მაგრამ თუ არ მოწესრიგდა ტრამვაის მოძრაობა ისე, რომ მუშა-მოსამსახურეებს სამუშაოზე წასვლის დროს შეეძლოთ მით სარგებლობა, ყოველგვარი ზომები სამუშაოს გაცდენის წინააღმდეგ უნაყოფო იქნება.

სამწუხაროდ საერთოდ ქალაქში და კერძოთ ორთაჭალის რაიონში, სადაც აუარებელი ფაბრიკა-ქარხნებია: მაკარონის, გალეტის, საპნის, ბამბის ძაფის, წებოს „მკერავის“, „სარეწკოოპკავშირი“-ს და სხ. ქარხნები, ტრამვაის მოძრაობის საკითხი ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოთ მოგვარებული. ამ უბანში გაყვანილია ტრამვაის ერთი ხაზი, რაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. გარდა ამისა № 6 ვაგონი დადის ორთაჭალიდან ლენინის ქუჩამდე და ვაგონების სიმცირის გამო ვერ ბრუნდებიან თავის დროზე. მუშები იძულებული ხდებიან ფეხით გაეშურონ სამუშაოზე. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში დაგვიანებას და გაცდენას ამ რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში ყოველთვის ექნება ადგილი. ერთი ვაგონის მოძრაობა ორთაჭალის და ლენინის ქუჩებს შორის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. რუსთაველის პროსპექტი და ვერის რაიონი, ტრამვაის ვაგონებით ერთობ მდიდარია; ამიტომ მეექვსე ნომერ ვაგონის დამატება სრულიად ზედმეტია. ეს ვაგონი უნდა მუშაობდეს მხოლოდ თავისუფლების და ორთაჭალის შორის, ეს მოგვცემს გაძლიერებულ მუშაობას და ხელს შეუწყობს სამუშაოების გაცდენის აღმოფხვრას.

თბილისის აღმასკომმა უნდა მოაგვაროს ეს საკითხი.

დ. რუხაძე.

განუწყვეტელი საწარმოო წლისათვის

„დაევალოს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, პროფკავშირთა საბჭოს და სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაამუშაონ საკითხი მრეწველობის გადასვლის შესახებ განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე და უახლოეს დროში კი გამოარკვიონ, არის თუ არა შესაძლებელი ასეთი გადასვლა მრეწველობის ზოგიერთ დარგში და განსაკუთრებით ამომღებ მრეწველობაში (მარგანეცი)“

(საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პრეზიდიუმის 13 ივნისის დადგენილებიდან)

საჭიროა საკითხის საფუძვლიანი გამორკვევა

(წინადადების სახით)

გაზ. „კომუნისტი“-ს № 126-ში ამხ. ლარინმა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი წამოაყენა. არსებითად დასმული საკითხის წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება. უდაოა, რომ კვირა-უქმე დღეების გამოყენებით ჩვენ საშუალება გვექნება 20 პროც. მეტი საქონელი გამოვიტანოთ ბაზარზე. ეს უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ მთავარ მომენტად ამ ღონისძიების ჩატარების დროს. გარდა ამისა შრომის ბირჟასაც მოვაშორებთ უმუშევართა მნიშვნელოვან რაოდენობას. მართალია, ჯერ ძნელია ციფრებით იმის გამოხატვა, თუ რა სარგებლობას მოგვიტანს ეს ღონისძიება მაგრამ ერთი რამ უდაოა; მოგება აუცილებლათ იქნება.

ჩემის აზრით აქ საკითხი უნდა დაისვას შესაძლებლობის მიხედვით და მტკიცეთ უნდა იქნეს შესწავლილი წარმოების ხასიათი და მანქანების მდგომარეობა.

არის შემთხვევები, როცა მანქანების სიძველე საშუალებას არ იძლევა მთლიან საწარმოო წელიწადზე გადავიყვანოთ ესა თუ ის საწარმო. ამიტომ საკითხის აჩქარებით გადაჭრა შეუძლებელია.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ნედლეულის საკითხსაც, ათასჯერ კარგი და დამაკმაყოფილებელიც რომ იყოს ქარხნის ტეხნიკური მოწყობილება, ხშირად საქმეს ეს საკითხიც გაართულებს.

მოვიყვან ფაქტებს ჩვენი ტრესტის ცხოვრებიდან. გვაქვს საპნისა და ზეთის ქარხნე-
კამ რომლის ნაწარმოები 50 პროცენტითაც
დეგები ქოფილებს ბაზარს. ამ ქარხნებს შეუ-
რივ განწ ცვლითაც იმუშაოს და კვირა-უქმე
და. ფარდაც, მაგრამ ქარხნებში მხოლოდ ერ-
ბინის ხე მუშაობს, რადგან მეტი ნედლი მა-
უცხოე მოგვეპოვება.
რომ საზ ბამბის ძაფის ქარხნები. მუშაობენ
მოსავლეში ნედლი მასალით კი დატვირ-
სახელი არიან 75—80 პროცენტით. ალბად
თვალში მდგომარეობაში იქნებიან სხვა
ტერიტორიც. რა თქმა უნდა, ეს გარემოება
ში. (ადს მეუშლის ხელს დასმული საკითხის
ელებას. ამიტომ ყველაზე მეტი
ბა ნედლი მასალის საკითხს უნდა

ზემოდ აღნიშნულ ორ დიდ საკითხთან ერთად, საჭიროა ყურადღება მიექცეს მესამე გარემოებასაც, რომელსაც გადამწყვეტი როლის თამაში შეუძლია ახალ ღონისძიების გატარების საქმეში. ჩვენი მრეწველობის ბევრი დარგი ორთქლის საშუალებით მუშაობს. თუ ორთქლის ქვაბები არ არის მოვლილი, თუ ორთქლი საკმაოდ არ გვექნება, მუშაობის განუწყვეტლად წარმოება შეუძლებელია. ვისაც ქონია საქმე ორთქლის ქვაბებთან, მან კარგად იცის, რომ ასეთ ქვაბებს კვირაში ერთხელ სჭირდება გარეცხა, გაწმენდა. როგორ ავიცილოთ თავიდან ეს დაბრკოლება? აქ ერთი საშუალებაა: საჭიროა ზედმეტი ორთქლის ქვაბების შეძენა და მათი რეზერვში გაჩერება. მაგრამ ქვაბის შეძენას სჭირდება საკმაოდ დიდი თანხები რომლის გადებაც ჩვენს ტრესტებს ასე ადვილად არ შეუძლიათ, ამავე დროს ქვაბების მიღებას და დადგმას, თუ მეტი არა, 2—3 წელი მაინც უნდა უცადო.

დასასრულ მოკლეთ მუშა-ხელის შესახებ ეს საკითხიც საჭიროებს ახსნა-განმარტებას. თუ საკითხი ასე დაისმება, რომ კვირა-უქმე დღეებში ჩვენ მხოლოდ ბირჟიდან უნდა მოვიწვიოთ მუშა-ხელი, ეს დიდ ზიანს მოუტანს მრეწველობას. ჯერ ერთი, შრომის ბირჟა ვერ მოგვცემს საჭირო კვალიფიკაციის მუშა-ხელს და ასეც რომ არ იყოს, ყოვლად დაუშვებელია წარმოებაში ერთბაშად ახალი ხალხის მიღება. არსებულ მუშათა კადრს ჩვენ უნდა შევმატოთ მუშების განსაზღვრული რაოდენობა, უნდა შემოვიღოთ თანდათანობით დასასვენებელი უქმე დღე, ე. ი. მუშათა ერთი ნაწილისათვის დასასვენებელი იქნება განსაზღვრული დღე კვირაში. პირველ ხანებში აქ ექნება ადგილი გაუგებრობას, მაგრამ ეს თანდათანობით გამოსწორდება. სამაგიეროთ უქმე დღეებში ჩვენ არ გვეყოლება წარმოებისათვის უცხო და მუშაობაზე შეუჩვეველი ხალხი. აი მოკლეთ, რისი თქმაც მინდოდა ამხ. ლარინის წინადადების გამო.

დ. რუხაძე.

ოფ და სამეურნეო მუშაკების აზრი

ამხ. ს. ხვედელიძე

(სამთამადნო მუშათა კავშირის თავმჯდომარე)

დნო მრეწველობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღების შესახებ სამთამადნო მუშათა კავშირის თავმჯდომარე ამხ. **სერგო ხვედელიძემ** განაცხადა:

მადნო მრეწველობაში არსებობს ასიათის სამუშაოები: ერთი მიწისქვეშა სამუშაოები (მაღაროებში) და მეორე პირის სამუშაოები (მადნის გადარჩევა, დატვირთვა და სხ.). ი საწარმოო წელიწადი პირველ ოღებული უნდა იქნეს მაღაროებში შა სამუშაოების შესასრულებ შესაძლებელი გახდება მადნის და, მამასადამე, სახალხო მეურნეობის შემოსავლის გადიდება. რეფორმის გატარებას აოავითარი საგრძნობი დაბრკოლება არ გადაეღობება. ჯერ ერთი, ნედლეულით უზრუნველყოფის საკითხი აქ არა სდგას, რადგან მადნის რაც მეტი რაოდენობა იქნება ამოღებული მიწის წიაღიდან, მით უკეთესია. რემონტის საკითხიც მოხსნილია, რადგან რემონტი განუწყვეტელი მუშაობის შემოღებას არ დააბრკოლებს.

რეფორმის გასატარებლად დაგვჭირდება მემაღაროე მუშების ახალი კადრები. ამ მხრივაც მდგომარეობა სანუგეშოა, რადგან თითქმის ყველა სამთამადნო სამრეწველოები მდებარეობენ მჭიდრათ დასახლებულ რაიონებში, საიდანაც სათანადო მუშა-ხელის მიღება ყოველთვის შესაძლებელია, განსაკუთრებული კვალიფიკაცია კი მაღაროებში მომუშავისათვის საჭირო არაა.

მიწის ზევითა სამუშაოებში უმთავრესი ადგილი უკავია მადნის გარეცხვას. ამ დარგში განუწყვეტელი მუშაობის შემოღება პირველ ხანებში დაბრკოლება, მაგრამ ნაწილობრივათ აქაც შესაძლებელი იქნება რეფორმის გატარება. მე, მაგალითად, ვფიქრობ, რომ შესაძლებელია რკინის გზის დაშორებით მდებარე სარეცხ ქარხნებში მოწყობილობის დასასვენებლათ ყოველ ორ კვირაში დავაწესოთ ერთი დღე. ამ დღეებში მოხერხდება მოწყობილობის მიმდინარე რემონტი. რკინის გზის მახლობლათ მდებარე ქარხნებში კი რეფორმის გატარება აუცილებელია ამ თავითვე.

დასასრულ მე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ასეთი რეფორმის წყალობით მარტო ჭიათურის მრეწველობა ყოველწლიურად მოგვცემს დაახლოებით 10 მილიონ მანეთ ზედმეტ შემოსავალს, გარდა ჭიათურისა, რეფორმა უნდა გავატაროთ ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობაში, დიატომიტის, ბარიტის, გუმბრინის და სხვა მადნეულობის რაიონებშიაც.

ამხ. ი. პევცოვი

(საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი)

— განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღება ჩვენს პირობებში მთლიანად მთელი სახელმწიფო მრეწველობის მასშტაბით, შეუძლებელი იქნება. ეს იმიტომ, რომ ჩვენი წარმოებების უმრავლესობას აქვს ძველი მანქანა-იარაღები და მოწყობილობა, რომლებიც ვერ აიტანენ განუწყვეტელ ექსპლოატაციას და საჭირო გახდება მათი ხშირად შეკეთება. გარდა ამისა მთელ რიგ წარმოებებში ჩვენ ვატარებთ რეკონსტრუქციას. ასე, მაგალითად წელს განზრახულია მე-2 თამბაქოს ფაბრიკაში მოვაწყოთ ახალი ვენტილიაცია, ხოლო ვენტილიაციის მოწყობა კი მუშაობის პროცესში მოუხერხებელია, ამ სამუშაოს შესასრულებლად წელს თამბაქოს ფაბრიკაში მუშაობა სავსებით უნდა შევაჩეროთ ერთი თვის განმავლობაში.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ხელს შეგვიშლის ამ უდიდესი მნიშვნელობის რეფორმის გატარებაში. მრეწველობის ზოგიერთ დარგს (ლითონის და ტყავის მრეწველობა) მოეპოვება ნედლეულის განსაზღვრული რაოდენობა და ზედმეტი მარაგის შეძენა კი დაბრკოლდება. ზოგიერთი დარგებისათვის შესაფერი კვალიფიკაციის მუშა-ხელის შოვნაც არ იქნება ადვილი საქმე.

მიუხედავათ ყველა ზემოთჩამოთვლილი დაბრკოლებებისა, რა თქმა უნდა საჭიროა შესაფერისად შევაფასოთ ამ რეფორმის მნიშვნელობა და ამ თავითვე შეუდგეთ საჭირო მუშაობას მის გასატარებლად ცხოვრებაში.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე დღეს უკვე აქტუალურად სდგას განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე გადასვლის საკითხი. უკვე შეუდექით საკითხის შესწავლას და გადაწყვეტილი გვაქვს გამოვყოთ ზოგიერთი წარმოებები, სადაც ცდის სახით შეუდგებით ამ რეფორმის განხორციელებას. თუ ამ ცდებმა ჩვენი მოლოდინი გაამართლა, შემდეგ რეფორმის განხორციელებას შეუდგებით მთელი მრეწველობის მასშტაბით.

თუ რა მნიშვნელობა აქვს განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე გადასვლას—ეს ყველასათვის გასაგებია. ჩვენ წინაშე დღეს მეტად მწვავედ სდგას პროდუქციის გაუმჯობესების გაიაფების და მეტი რაოდენობით დამზადების საკითხი. რეფორმის გატარების შემდეგ კი წარმატებით შევძლებთ პროდუქციის მეტი რაოდენობით დამზადებასაც, მის გაიაფებასაც და სხვ. ეს კი დააჩქარებს სახალხო მეურნეობის განვითარების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის შესრულებას.

ყოველ შემთხვევაში, იმ წარმოებებში, რომელთა აგება-მოწყობაც ახლად დავამთავრეთ ან ახლო ხანში დამთავრდება—შესაძლებელი ხდება რეფორმის სავსებით განხორციელება.

ამხ. მ. გარინი

(ტყავტრესტის მმართველი)

— ტყავის მრეწველობაში განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე გადასასვლელად საჭიროა სამი პირობა: პირველია—ნედლეულის საკმაო რაოდენობით მომარაგება, მეორე — ქარხნების მოწყობილობის შესაფერი მდგომარეობა და უკანასკნელი—სათანადო კვალიფიკაციის მუშა-ხელი.

ნედლეულის მომარაგებას ტყავის მრეწველობისათვის აწესრიგებენ საკავშირო მნიშვნელობის ორგანოები. ჩვენში მომარაგების საქმის დამოუკიდებლათ წარმოება არაა მიზანშეწონილი, რადგან შესაძლებელია ჩვენ ვიშოვოთ საკმაო რაოდენობის ნედლი მასალა, მაგრამ ამავე დროს დავაბრკოლოთ ტყავის მრეწველობის უზრუნველყოფა ნედლეულით სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. გარდა ამისა ტყავის მრეწველობას ესაჭიროება სხვადასხვა ექსტრაქტები და მთრიმლავი ნივთიერებები, რომელთა ნაწილი შემოგვაქვს უცხოეთიდან. განუწყვეტელი მუშაობის შემოღების შემთხვევაში, როგორც ნედლეული, აგრეთვე საიმპორტო საქონელი დაგვჭირდება მეტი რაოდენობით, ხოლო ამ მხრივ კი უნდა მოველოდეთ ბევრ დაბრკოლებებს.

მოწყობილობა ჩვენს ქარხნებში მოძველებულია თითქმის ყველგან. მათი განუწყვეტლივ ამუშავება ძნელი იქნება, მაგრამ არსებობს შესაძლებლობა, რომ ზოგიერთი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებით ეს დაბრკოლებები გადავლახოთ.

ბაზრის მხრივ ჩვენ სავსებით უზრუნველყოფილი ვიქნებით, რადგან ჩვენი მრეწველობის პროდუქციაზე მეტად დიდი მოთხოვნილებაა და რამდენადაც არ უნდა გავადიდოთ პროდუქცია, მისი რეალიზაცია ყოველთვის ადვილი იქნება.

მე საჭიროდ მიმაჩნია ჩვენი მრეწველობის ხელმძღვანელმა უმაღლესმა ორგანომ—სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაიწყოს შესაფერი წინასწარი მუშაობა აღნიშნული რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლად.

რიონჰესის სამუშაოები

ახალმშენებათა სამმართველოს ცნობით რიონჰესის სამუშაოები ამჟამად შემდეგ მდგომარეობაშია:

მთავარი გვირაბის ამოცემენტება დაწყებულია მდ. წყალწითელას მხრიდან. გვირაბის კედლები უკვე ამოცემენტებულია 500 კუბიკურ მეტრზე ანუ 40 მეტრის სიგრძეზე. ამოცემენტება კვლავ გრძელდება.

დაწყებულია აგრეთვე მზადება მთავარი საგუბარის მარცხენა ნაწილის ასაგებად. სწარმოებს ქვიშა-ხრეშის, ქვის და ხის მასალის მოზიდვა ადგილზე. საგუბარის მარცხენა ნაწილის აგებას შეუდგებიან დაახლოებით აგვისტოში, ე. ი. მაშინ, როდესაც მდინარეში წყალის დონე მინიმუმამდე დავა.

სადგურის საამშენებლო სამუშაოთა სამმართველო ამჟამად ამუშავებს რიონჰესის გაფართოების პროექტს. „გლაველექტროს“ წინადადებით, რიონის ჰიდრო-ელსადგურის ძალოვნება აყვანილ უნდა იქნეს 60.000 ცხენის ძალამდე. პროექტის დამუშავება დამთავრდება ერთ თვეში.

სახელმწიფო ბანკის მუშაობის გადატანა მასებში

საცდელი გამოსვლა 26 კომუნარის სახელობის ბაღში

სახელმწიფო სესხების გასაღების საქმის ფართო მშრომელ მასებთან დასაახლოებლად სახელმწიფო ბანკმა გადასწყვიტა კვირა-უქმე დღეებში მოაწყოს ბანკის მუშაკთა გამოსვლები მუშათა უბნებში და საერთოდ იმ ადგილებში, სადაც თავს იყრიან მუშა-მოსამსახურეები (მუშათა კლუბები, მოედნები, ბაღები და სხვ.).

ერთი ასეთი საცდელი გამოსვლა მოეწყო 26 კომუნარის სახელობის ბაღში 16 ივნისს. ბაღის მთავარ ხეივნებში სახელმწიფო ბანკის თბილისის სააგენტომ დადგა ე. წ. ცნობათა მაგიდები, საიდანაც ყველა მსურველს აძლევდნენ ამომწურავ ცნობებს ამა თუ იმ სახელმწიფო სესხის შესახებ. ბაღის ზევითა მოედანზე მორთული იყო სპეციალური ფანჩატური სხვადასხვა ლოზუნგებით და პლაკატებით. იქვე მოწყობილი იყო ოპერატიული პუნქტი, სადაც სწარმოებდა ყველა სესხების ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ფასიანი ქაღალდების მიღება შესანახად და საერთოდ ის საქმიანობა, რომელსაც სახელმწიფო ბანკის თბილისის სააგენტო ყოველდღე აწარმოებს სახელმწიფო სესხების გარშემო.



ცნობების მიცემა სახ. სესხების შესახებ

—:—

შუადღისას, მთავარ ფანჩატურთან მოეწყო სახალხო მიტინგი, რომელიც გახსნა სააგენტოს წარმომადგენელმა ამხ. **მ. გაბისონიამ.** მან დამსწრეებს განუმარტა ასეთი გამოსვლების მიზანი.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ბანკის მოსამსახურემ **ი. ბერეკაშვილმა.** ორატორმა მოუწოდა მუშა-მოსამსახურეებს ხელი შეუწყონ სახელმწიფო სესხების გასაღების საქმეს და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ წარმოება-დაწესებულებებთან არსებულ სესხების გასაღების ხელის შემწყობ კომისიებს.

ბაღში ოპერაციების წარმოების დროს უკრავდა ორკესტრი. ბანკის მუშაკთა გამოსვლა დასრულდა საღ. 5 საათზე.

პროფკავშირების სამაზრო ორგანიზაციების გადარჩევა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, სამაზრო საკავშირო და საკავშირთაშორისო ორგანიზაციების გადარჩევა, რომელთა ვადა გათავებულია ან თავდება, უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ა.-წ. 1ლ აგვისტოს.

საქართველოს პროფსაბჭომ წინადადება მისცა ყველა პროფორგანიზაციებს საკავშირო და საკავშირთაშორისო სამაზრო ორგანიზაციების გადარჩევა მაქსიმალურად გამოიყენონ მათი მოქმედების გასაცხოველებლად. ამ კამპანიის გარშემო აუცილებლად საჭიროა საზოგადოებრივ-პროლეტარული აზრის მობილიზაცია და მუშა-მოსამსახურეების ნამდვილი მონაწილეობა ამ კამპანიაში თვითკრიტიკის საფუძველზე.

ამასთან ერთად საფუძვლიანად უნდა გადაისინჯოს პროფორგანიზაციების ხელმძღვანელთა კადრი, რადგან ამ კადრის შემადგენლობაზე შესამჩნევად არის დამოკიდებული პროფკავშირების წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელება. გადარჩევა უნდა გამოყენებულ იქნეს იმ მომუშავეთა გადასარჩევად, რომელთაც ვერ გაამართლეს თავისი დანიშნულება, ვერ შესძლეს მუშაობა და ვერ მოიხვეჭეს მასაში პოპულიარობა. გამოცვლილი ამხანაგების ნაცვლად წამოყენებული უნდა იქნეს დაზგის მუშები და მოჯამაგირეები.

აუცილებლად მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ ახლად არჩეულ გამგეობებსა და ბიუროს შემადგენლობაში მოხდენ 50 პროც. დაზგის მუშები ინდუსტრიალურ კავშირებში და არაინდუსტრიალურ კავშირებში 50 პროც. წარმოება - დაწესებულებათა მოსამსახურენი.

არჩეულ ორგანიზაციებში უპარტიოთა პროცენტი არ უნდა იყოს 50-ზე ნაკლები. ახალგაზრდობისა და ქალების ხვედრითი წონა უნდა შეეფერებოდეს მათ ხვედრითი წონას საერთო-საკავშირო მასაში.

რადგან გადარჩევა იმ დროს ტარდება, როდესაც ხდება სოციალისტური შეჯიბრების გაშლა-გაფართოება, პარტიის წმენდა და საბჭოთა აპარატის წმენდისათვის მზადება, ამიტომ გადარჩევა უნდა ჩატარდეს შემდეგი ლოზუნგებით:

სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით ჩატარება, თვითღირებულების შემცირების გათვალისწინებული გეგმის შესრულება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, გადამწყვეტი ბრძოლა საბჭოთა საპროფკავშირო და სამეურნეო აპარატის ყველა საფეხურებზე ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების და მლიქვნელობის წინააღმდეგ, ფართო დახმარების აღმოჩენა პარტიისათვის მიტმასნებულ, გახრწნილ და არაკომუნისტურ ელემენტებისაგან გაწმენდის საქმეში, ფართო ნამდვილი პროლეტარული თვითკრიტიკა, რომელიც უნდა შეეხოს როგორც ქვედა, ისე ზედა ფენებს, კულტურულ რევოლიუციის გატარება, სოფლის პროლეტარულ ნაწილის იდეოლოგიური დაპყრობა, საშუალო გლეხობასთან დაახლოების უზრუნველყოფა და კულაკის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლა.

თბილისის საბჭოს პლენუმი

თბილისის სასურსათო ბაზრის მდგომარეობა

გუშინ, საღ. 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში ამხ. კ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის საბჭოს მე-5 პლენუმის გაგრძელება. თბილისის სურსათ-სანოვაგის ბაზრის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილების გამგემ ამხ. გრ. ლასკარმა.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო თბილისის ბაზრის მდგომარეობას და აღნიშნა ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს სურსათ-სანოვაგის, კერძოდ კარტოფილის, ხახვის, ხორცის და სხვა საკვებ პროდუქტების ნაკლებობა.

წელს, განაცხადა მან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, უმაღლეს ორგანოების დირექტივების თანახმად, თბილისის ბაზრისათვის კარტოფილი უნდა დაემზადებია საერთო მოთხოვნილების 50 პროც., ხორცი—75 პროც. და სხვ. მაგრამ კოოპერაციამ დირექტივა ვერ შეასრულა. მაგალითად, მაისში „მიასოპროდუქტს“ სამომხმარებლო კოოპერაციისათვის უნდა მიეწოდებია 20.020 ფუთი ხორცი, მან კი დაამზადა მხოლოდ 1974 ფუთი, „მწყემს“ უნდა დაემზადებია 10.178 ფუთი, დაამზადა—8.543 ფუთი. ამრიგად, მაისში ხორცის ბაზარზე შეიქნა არანორმალური მდგომარეობა. დამზადების ასეთი შეფერხება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ „მიასოპროდუქტმა“ გვერდი აუხვია ადგილობრივ საკლავ საქონლის შეძენას და ხორცის შემოტანა დაიწყო უმთავრესად ჩრდილოეთ-კავკასიიდან, რაც სწარმოებდა არარეგულიარულად.

ვერც „სოფლის კავშირმა“ და „ზაკტიუზმა“ შესძლეს თბილისის ბაზრის უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ამიტომ მუშკოოპი იძულებული შეიქნა თვითონ შესდგომოდა სასოფლო მეურნეობის პროდუქტების დამზადებას, რამაც გამოიწვია ფასების გადიდება. მაგალითად, კარტოფილი გაძვირდა 8 კაპეიკიდან 12 კაპ., კომბოსტო—8 კაპ.—20 კაპეიკამდე და სხვ.

დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საერთოდ თბ. ბაზარს დამამზადებელი ორგანიზაციები ვერ აკმაყოფილებენ ბოსტნეულით, რძის პროდუქტებით და სხვ., რის გამო ბაზრის უდიდესი ნაწილი ისევ კერძო პირთა ხელშია.

მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი. მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ერისთავი** შეეხო დამამზადებელ ორგანიზაციების სუსტ მხარეებს და აღნიშნა, რომ ადგილობრივ დამზადებული პროდუქტები უფრო ძვირია, ვიდრე რესპუბლიკის გარედან შემოტანილი. მაგალითად, „სოფლის კავშირი“ სამტრედიაში დამზადებულ ქათამს ცალს გვაწვდის 3 მანეთად და 50 კაპ, როცა ამ ფასად ჩრდილოეთ-კავკასიაში შეიძლება ორი ქათამის შეძენა ადგილზე მოტანით, ე. ი. ადგილობრივი ქათამი 100 პროცენტით უფრო ძვირია.

კამათში გამოსული ამხანაგები აგრეთვე აღნიშნავდნენ ფასების აწევას სხვა პროდუქტებზედაც და დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობაში დაშვებულ დეფექტებს. კამათში გამოირკვა, რომ ახალციხიდან კარტოფილი გააქვთ სხვა რესპუბლიკებში, თბილისში კი კარტოფილი შემოაქვთ ჩრდილოეთ-კავკასიიდან. ასეთივე მდგომარეობაა ხორცის ბაზარზედაც.

დასასრულ, მიღებული იქნა რეზოლიუცია. რეზოლიუცია აღნიშნავს დამამზადებელ ორგანიზაციების აპარატის მოუქნელობას ს.-სამ. პროდუქტების დამზადების საქმეში და ზოგიერთ მუშაკების ბიუროკრატიულ მოპყრობას საქმისადმი.

დამამზადებელი ორგანიზაციები უმაღლეს ორგანოების დადგენილებებს და ღონისძიებებს დამზადების შესახებ არ ატარებენ სისწორით, რის გამო ბაზარზე შექმნილია არანორმალური მდგომარეობა.

„მიასოპროდუქტს“ არ მიუღია ზომები ხორცის კრიზისის შესანელებლად ადგილობრივ ხორცის დამზადების გზით.

ეთხოვოს მ.-გ. ინსპექციას სასწრაფოთ შეისწავლოს ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა და დამნაშავენი მისცეს სასტიკ პასუხისგებაში.

წინადადება მიეცეს „სირო-მასლოსოიუზს“ მიიღოს სათანადო ზომები რძის პროდუქტებით უზრუნველსაყოფად, ვინაიდან სარძეო არტელებში მოკალათებულნი არიან უცხო ელემენტები; გადასინჯული იქნეს არტელების შემადგენლობა.

დამამზადებელ ორგანიზაციებს წინადადება მიეცეთ დამზადება აწარმოონ ახალ რაიონებშიაც—მანგლისში, გომბორში, თიანეთში, ხევსურეთში და სხვ.

დაევალოს „სახელმწიფო ვაჭრობას“ მოაწყოს შავი ზღვის ნაპირებზე თევზის დამამზადებელი ორგანიზაცია.

დასასრულ, რეზოლიუცია ავალებს სათანადო ორგანიზაციებს თბ. მახლობელ რაიონებში კოლექტიურ მებოსტნეობისა და მებაღეობის მოწყობას.

ქრონიკა

68 ვაგონის ფქვილის ეკონომია

პურის წიგნაკების განმანაწილებელი ცენტრალური კომისიის ცნობით, პურის წიგნაკების ხელახალი აღრიცხვის დროს ჩამორთმეული და უკანონოდ მიღებული 839 პურის წიგნაკი, რაც დღეში იძლევა 10.346 გირვანქა პურს, ხოლო თვეში 6 ვაგონ ფქვილის ეკონომიას. პურის წიგნაკების შემოღების შემდეგ წიგნაკების ხელახლა აღრიცხვამდე თვიურად იხარჯებოდა 60 ვაგონით ნაკლები ფქვილი, ვიდრე წინეთ. ამრიგად, ხელახალი აღრიცხვის შემდეგ თვიური ეკონომია უდრის 68 ვაგონს.

სარეწაო კოოპერაციის გამოფენა

გუშინ, საღამოს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ნაწარმოების გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრენ ხელისუფლების, პროფკავშირის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა პირველი ყრილობის მთელი შემადგენლობა.

ღრმად მოხუცებულ გლეხების უზრუნველსაყოფად

სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე—ღრმად მოხუცებულ ღარიბი გლეხების უზრუნველყოფის შესახებ გამომუშავებულ დებულების პირველ მუხლში შეტანილ იქნეს ასეთი შინაარსის შენიშვნა: „პირველ რიგში დაკმაყოფილებული უნდა იქნენ პენსიებით 60 წლის ასაკის გადაცილებული ის ღარიბი გლეხები, რომლებიც 1905 წლის რევოლიუციის დროს წითელ რაზმში იყვნენ ჩარიცხულნი და იბრძოდნენ მონარქიულ წეს-წყობილების წინააღმდეგ.

თბილისის აღმასკომში

◆ **ქსანის აგურ - კრამიტის** ქარხნის გასაფართოებლად გადადებულია 40 ათასი მანეთი.

◆ **ახალი სახლები.** აღმასკომმა გადასწყვიტა საბჭოს ქუჩაზე აგოს ორი ახალი სახლი.

მიწად - მოქ. კომისარიატში

◆ **მიწად-მოწყობა.** მიწად-მოქ. კომისარიატმა მაზრებში მიწად-მოწყობის ჩასატარებლად დამატებით გაგზავნა მიწის მზომელთა ჯგუფები.

◆ **აგრო - კაბინეტები.** მიწად-მოქ. კომისარიატმა გადასწყვიტა ყველა მოზრდილ თემში გახსნას აგრო-კაბინეტი და აგრონომიული პუნქტი.

სხვადასხვა

◆ **ექსკურსია ნატახტარში.** თბ. საბჭოს კომუნალური სექცია ამ დღეებში აწყობს მასიურ ექსკურსიას ნატახტარში. მსურველები უნდა ჩაეწერონ აღნიშნულ სექციის მდივანთან.

◆ **მეხანძრეთა ახალი კადრები.** დღეს მოხდება სახანძრო-ტეხნიკური კურსების მსმენელთა პირველი გამოშვება.

„მნათობი"

გამოვიდა ჟურნალი „მნათობი" № 5—6. შინაარსი: მხატვრული ლიტერატურა: **კონსტანტინე ლორთქიფანიძე** — ერთი მათგანი, **ტიციან ტაბიძე** — გულდაგულ, **ი. ლისაშვილი** — გლეხკორის ნაამბობიდან, **ვარლამ ჟურული** — სამძიმარი მყინვარს, **ალექსანდრე ქუთათელი** — ლენინგრადი, **მიხეილ ჯავახიშვილი** — არსენა მარაბდელი, **როდიონ ქორქია** — დაფიონა, **ვ. ნიჟარაძე** — ორი დაბადება, **გრიგოლ რობაქიძე** — უდეგა, **ჰერმან კესსერი** — შტრასსემახ. კრიტიკა, მეცნიერება და პუბლიცისტიკა: **პლატონ ქიქოძე** — ვის ხელშია კლასიკოსები, **პროფ. კ. კეკელიძე** — ქართული კულტურის ორი დღესასწაული, **პროფ. დ. უზნაძე** — მუშაობის მეთოდთა რაციონალიზაციისათვის, **კ. გორდელაძე** — სპინოზას მატერიალიზმი; ბიბლიოგრაფიები.

20.000 მან. ღარიბი გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირებისათვის

საქართველოს სას.-სამ ბანკმა ღარიბი მოსახლეობის კოოპერატიულად შესაკავშირებლად საკავშირო სას.-სამ. ბანკიდან მიიღო ბანკის მოგებიდან გამოყოფილი 20.000 მანეთი, რომელიც შემდეგნაირად არის განაწილებული: აფხაზეთს მიეცა—1.480 მანეთი, აჭარისტანს—660 მანეთი, სამხრეთ-ოსეთს—920 მანეთი, ახალციხის მაზრას—1.100 მანეთი, შორაპნის 1.900 მანეთი, გორის—1.900 მანეთი, ქუთაისის—1.900 მანეთი, ახალქალაქის—900 მანეთი, თბილისის 2.300 მან., სიღნაღის—1.600 მანეთი, რაჭა-ლეჩხუმს—1.600 მანეთი, ზუგდიდის მაზრას—1.300 მანეთი, ბორჩალოს — 840 მანეთი, ოზურგეთის 600 მანეთი და სვანეთს—200 მანეთი.

საქ. პროფსაბჭოში

ს.პ.ს. პრეზიდიუმის სხდომა

ოთხშაბათს, 19 ივნისს, დილის 8 საათზე შესდგება საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნება მოხსენებები მრეწველობის საკონტროლო ციფრებისა და საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ.

ფაბზარხადგილკომების კონფერენცია

ოთხშაბათს, 19 ივნისს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება ფაბქარხადგილკომების საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც მოსმენილი იქნება ამხ. გოლდბაუმის მოხსენება საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ.

ს.პ.კ.ს. განმარტება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განუმარტა ადგილებს, რომ პროფკავშირების წევრები, რომლებიც შედიან შინამრეწველ-ხელოსანთა არტელებში, რჩებიან პროფკავშირის წევრებად. არტელებიდან გამოსვლის შემდეგ მათ შეუძლიათ აღადგინონ ძველი პროფკავშირული სტაჟი. წინად არტელში გადასულებს უფლება არ ჰქონდათ დარჩენილიყვნენ კავშირში და მათ ეკარგებოდათ ძველი სტაჟი.

რევოლიუციის წინადროინდელი სტაჟის აღდგენა

დღემდე რევოლიუციის წინა დროინდელი პროფკავშირული სტაჟის აღდგენა ხდებოდა ძველი პროფმუშაკების მოგონებების თანახმად. ამიერიდან ძველი სტაჟის აღდგენა შეიძლება მხოლოდ საარქივო მასალების მიხედვით.

პროფმუშაკების თათბირი

დღეს, 18 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში შესდგება საწარმოო კომისიების, კულტკომისიების და მუშათა კლუბების გამგეების თავმჯდომარეთა, წითელი კუთხეების მუშაკების, კავშირების სატარიფო-ეკონომიურ და კულტურულ განყოფილებების გამგეთა თათბირი.

დღის წესრიგში სდგას ერთი საკითხი: „კულტურული სამსახურის გაწევა სოციალისტურ შეჯიბრებისათვის".

შემთხვევები

მკვლელობა ხაშურში

ჩვენი გაზეთის 8 ივნისის ნომერში მოთავსებული იყო ცნობა ხაშურიდან ალ. ნაცვლიშვილის დახრჩობისა და ბოროტმოქმედების დაფარვის მიზნით სახლისთვის ცეცხლის წაკიდების შესახებ. როგორც ვწერდით, იქვეით დაპატიმრებული იქნა იასონ ხმიადაშვილი, რომელიც გამოტყდა დანაშაულში და დაასახელა თავისი მონაწილე ახმედ ველურიძე, ახმედ ველურიძეც დაპატიმრებული იქნა. იგი დიდხანს არ სცნობდა თავს დამნაშავედ, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა რა, რომ ამ გზით თავს ვერ იხსნის, იცნო თავი დამნაშავედ და დაასახელა ბოროტმოქმედების კიდევ ორი მონაწილე ნაერუზაშვილი ესტატე და თადეევი პეტრე.

როგორც ირკვევა ხმიადაშვილი და ველურიძე სისტემატიურად ეწეოდნენ ძარცვა - გლეჯას. 1928 წლის 3 ოქტომბერს მათ გაძარცვის მიზნით გასტეხეს სალიანდაგო დარაჯის მე-5 უბნის უფროსის კაბინეტი; ხოლო 1929 წლის 3 თებერვალს გასტეხეს რკინის გზის ექიმის კაბინეტი. მათ განზრახული ჰქონდათ თავისი ბნელი საქმიანობის გაფართოება, რა მიზნითაც თავისი მეთაურობით ქმნიდენ მძარცველების ბრბოს. უკანასკნელ ხანებში მათ შემოიერთეს პეტრე თადეევი და ესტატე ნაერუზაშვილი.

წინასწარი კვლევა - ძიება დამთავრდა. საქმე ამ დღეებში გადაეცემა გორის სამაზრო პროკურორს.

კ. ლორთქიფანიძე.

მოტოციკლეტის დაჯახება

გუშინ, დილის 2 საათზე, ელბაქიძის აღმართზე, ცირკის ახლოს, მოტოციკლეტი, რომელსაც მმართავდა შოფერი ბერდიაევი, დაეჯახა საბჭ. მეურნეობების ტრესტის ღვინის საწყობის მუშას გიორგი ჯავახოვს და მძიმედ დააშავა. ჯავახოვს ისე ძლიერად აქვს დაზიანებული მუცლის არე, რომ საეჭვოა მისი გადარჩენა. ბერდიაევი დაპატიმრებულია.

თავის დაჭრა

ნოე ასლანისძე კახიძეს საბჭოს ქუჩაზე პლეხანოვის სახელობის კლუბის პირდაპირ უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი და დაიჭრა მარცხენა მკლავში.

თავის მოწამვლა

— ოლღა კარპეზის ასულმა წერეთელმა (მე-2 თუმანოვის ქ. № 25) ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე მოიწამლა თავი, მაგრამ სიკვდილს გადარჩენს.

— სუმბათ მანუკიანცმა (მცხ. ეტაპის ქ. № 7) მოიწამლა თავი. იგი სასწრაფოდ გადაიგზავნა საავადმყოფოში.

ტრამვაის მსხვერპლი

გუშინწინ პუშკინის ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტის მიმართულებით მიმავალი ტრამვაის ვაგონი № 6, რომელსაც მართავდა ვატმანი მარქარიანი, დაეჯახა მოქ. ხაჩიკ მიკირტიჩისძე მარტიროსოვს, (იგივე სურენ კირიმისძე დარფინიანს) და გადასჭრა ცალი ფეხი. მარტიროსოვი გადაგზავნეს საავადმყოფოში. ვატმანი დააპატიმრეს, მაგრამ განთავისუფლებული იქნა გამომძიებლის განკარგულებით, ვინაიდან გამოირკვა, რომ მარტიროსოვი ვაგონის ქვეშ მოჰყვა ტრამვაიდან გადმოხტომის დროს.

ჯიბგირობა

ცენტრალურ მუშათა კლუბში ირაკლი ასათიანს ჯიბიდან ამოაცალეს 125 მანეთი; — ელბაქიძის დაღმართზე მუშკოოპის სავაჭრო ფარდულიდან მოიპარეს ფულად 15 მანეთი და 20 მ. პაპიროსები.

დაჯახება

დამზღვევ სალაროს ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი დავით ექვთიმესძე მდივანი, ლერმონტოვის და ჯულაშვილის ქუჩების კუთხეში დაეჯახა ივანე ალდგომელაშვილის ტაჩკას.

დაჭრა

სართიჭალის სამილიციო რაიონში, სოფ. ხაშმში, დათა ვანოსძე მამულაშვილმა ჩხუბის დროს დანით მძიმედ დასჭრა იმავე სოფლის მცხოვრები ნიკო მიხეილისძე მამულაშვილი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

პროფკავშირების სამხატვრო მუშაობის გასაუმჯობესებლად

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ შეიმუშავა ღონისძიებები პროფკავშირების სამხატვრო მუშაობის გასაუმჯობესებლად. კულტგანყოფილება აღნიშნავს, რომ პროფთეატრების სარეპერტუარო ხაზი ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამოსწორებული. თეატრები ზედმეტად დატვირთულია მიზნობრივი წარმოდგენებით, საჭიროა მათი რიცხვის შემცირება და ამის ნაცვლად ხელის შეწყობა სააბონემენტო სისტემის გავრცელებისათვის. აუცილებელია თეატრების სამხატვრო - პოლიტიკურ საბჭოების ფუნქციების და საკონტროლო როლის გაძლიერება. სამხატვრო აკადემია სრულიად მოწყვეტილია პროფკავშირთა წევრების მასებს, აუცილებელია მისი ჩაბმა პროფკავშირების ცხოვრებასა და პრაქტიკულ მუშაობაში (ამის პირველი ცდა იყო სამხატვრო აკადემიის მონაწილეობა 1-ლი მაისის დემონსტრაციის მხატვრულ გაფორმებაში).

თვითმოქმედ თეატრის დარგში საჭიროდ არის ცნობილი სარეპერტუარო კონტროლის გაძლიერება, განსაკუთრებით წითელ კუთხეებში, სადაც დადგმები სცილდება როგორც კულტგანყოფილების, ისე მთავარ სარეპერტუარო კომიტეტის თვალთახედვის არეს (მაგალითად, მკერავებმა დადგეს პიესა „ქმარი თუ საყვარელი"; გამრავლდნენ აგრეთვე დრამატურგები. ზოგიერთი წრეების ხელმძღვანელები თვითონ სწერენ პიესებს და თვითონვე სდგამენ და ამის შესახებ არავის არ ეკითხებიან, კავშირების კულტგანყოფილებები კი მფარველობას უწევენ ამ არანორმალურ მოვლენას).

საჭიროდ არის ცნობილი განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თანამედროვე ორიგინალურ და ნათარგმნ ქართულ რეპერტუარის შექმნას. ამ მიმართულებით პროფკავშირებს დახმარება უნდა გაუწიონ სახელმწიფო ორგანოებმა (განსახკომი), რომლებსაც ამ მხრივ დღემდე არაფერი არ გაუკეთებიათ.

მეტად უნუგეშო მდგომარეობაა რევოლიუციონური მუსიკის რეპერტუარის დარგში; ხელმძღვანელები ხშირად პოლიტიკურად უვიცნი არიან, ცდილობენ რევოლიუციონური შინაარსი შეიტანონ საეკლესიო სიმღერებში, რის გამო რაღაც საშინელება გამოდის: სიტყვები რევოლიუციონურია, მოტივი „ღმერთო შეგვიწყალე" (ასეთია, მაგალითად, ელცოვის ხელმძღვანელობით არსებული გუნდი). აუცილებელია გუნდების ხელმძღვანელების შეცვლა ახალი ძალებით სახელმწიფო კონსერვატორიიდან, რომლებიც მომზადებულნი უნდა იყვნენ პოლიტიკურად და საზოგადოებრივად.

ესტრადის დარგში კულტგანყოფილება საჭიროდ სცნობს ფინანსიური დახმარების გაწევას, საკონცერტო ბიუროსათვის, რომ შესაძლებელი გახდეს სწორად დაწყებული საქმის გაგრძელება.

საქართველოში ამჟამად არსებობს 14 ლიტერატურული წრე, რომლებშიაც ჩაბმულია 408 კაცი; წრეებს არა ჰყავს მომზადებული ხელმძღვანელები. პროფკავშირების მასიურ ლიტერატურულ მუშაობაში ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებენ ე. წ. მემარცხენე ფრონტის მწერლები, რომლებიც გამოდიან დისპუტებზე, კითხულობენ ლექციებს, სწერენ პიესებს, ცოცხალ გაზეთის მასალებს და სხვა.

პროფკავშირების ლიტერატურულ მუშაობაში სუსტად არის ჩაბმული პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, თუმცა კულტგანყოფილების მხრიდან არა ერთხელ იყო გადადგმული ნაბიჯები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

ყველა ეს საკითხები განხილული იქნება პროფკავშირების სამხატვრო კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიხსნება. კონფერენცია შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს ყველა აქ ჩამოთვლილ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შ.

გამომცემლობა „შრომა"-ს საპაიო თანხების გასაძლიერებლად

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების გამოცემაში გაფართოების და გამომცემლობა „შრომა"-ს საპაიო თანხების გადიდების მიზნით, 15 ივნისიდან დაიწყო კამპანია, რომელიც გაგრძელდება 15 აგვისტომდე.

14 ივნისს საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში ამხ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით შესდგა პროფკავშირების ცენტრ. გამგეობათა და გამომცემლობა „შრომა"-ს გამგეობის თათბირი.

თათბირმა გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი კამპანიის ჩასატარებლად პროფკავშირთა წევრებს შორის. თათბირის დადგენილებით წინადადება მიეცა პროფკავშირების ცენტრ. გამგეობებს, შეიძინონ გამომცემლობის პაები ას-ასი მანეთის რაოდენობით, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს კი წინადადება მიეცათ შეიძინონ პაი 10 მანეთის რაოდენობით.

საპაიო კამპანიასთან დაკავშირებით საქ. პროფკავშირთა საბჭომ მოწოდებით მიმართა საქ. ყველა პროფ. ორგანიზაციებს და კავშირების წევრებს. მოწოდებაში, სხვათა შორის ნათქვამია:

„ინდუსტრიალიზაციის, სოცია
რეკონსტრუქციის და ქვეყნის გარდ
კითხვების განმარტების მოთხოვნილ
ხად გაიზარდა, რომ აუცილებელია
ფართო მასა დაკმაყოფილებული იქ
სადო ლიტერატურით.

ამასთან დაკავშირებით საგრძნობ
პროფტექნიკური, საწარმოო და სა
პოპულარული ლიტერატურის
განსაკუთრებით ეროვნულ ენებზე.
რომ გამომცემლობა „შრომა"-მ დ
ლის როგორც პროფორგანიზაცი
ფართო მასების მოთხოვნილება, საქ
პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭირო
ჩაატაროს გამომცემლობის პაებ
ლების კამპანია. პროფორგანიზაც
ერთი პაის ღირებულება დაწესებ
მან., ხოლო კავშირის წევრთათვის
პაის მქონეებს „შრომა"-დან ლი
შეძენის დროს მიეცემათ შეღავათი

ბუნებისმეტყველ მასწავლებელთა საქალა
კონფერენცია

გუშინ დაამთავრა მუშაობა თბილისის სკოლების ბუნებისმეტყველ მასწავლებელთა საქალაქო კონფერენციამ. კონფერენციაზე მოსმენილ მოხსენებებში მთავარი ადგილი ჰქონდა დათმობილი მოსწავლე ახალგაზრდობის ანტირელიგიურად აღზრდის და ამასთან დაკავშირებით ბუნებისმეტყველების სწავლების საქმის დაყენების საკითხებს. კონფერენციაზე გამოირკვა, რომ მიუხედავათ სკოლებში საერთოდ გამეფებული ანტირელიგიური განწყობილებისა, მოსწავლე ახალგაზრდობაში მაინც აქვს ადგილი რელიგიურ ცრუმორწმუნეობას. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ერთის მხრივ მოსწავლე ახალგაზრდობაზე გავლენას ახდენს ოჯახი, ხოლო მეორეს მხრივ კი—სკოლებში ისე ცუდათ არის დაყენებული ბუნებისმეტყველების სწავლების საქმე, რომ ახალგაზრდობა ვერ ღებულობს დამაჯერებელ პრაქტიკულ ცოდნას ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის ასახსნელათ.

ამიტომ კონფერენციამ მიიღო დადგენილება: ყველა სკოლები უზრუნველყოფილი იქნან სათანადო— ე. წ. დამხმარე სამუშაო სახელმძღვანელოებით ბუნებისმეტყველების დარგიდან; სკოლებთან მოეწყოს ბუნე-
ბისმეტყველების ლაბორატორიებ
მოსწავლეებს პრაქტიკულად აუხ
დასხვა ბუნების მოვლენებს და
შეუწყობენ რელიგიური ცრუმორ
აღმოფხვრას.

უკანასკნელ სხდომაზე მოსმენი
ვასაძის მოხსენება ბუნებისმეტყველ
ტრალური კაბინეტის მუშაობის
კონფერენციამ საჭიროდ სცნო
ცენტრალური ბიოლოგიის სადგუ
ყობა. ბიოლოგიურმა სადგურმა ს
რად უნდა მიაწოდოს ყველა სკო
სებულ ბუნებისმეტყველების
რიებს ცდებისათვის საჭირო მასა
ნარეულობა, ცხოველების ცოცხალი
პლიარები და სხ.). გადასწყდა აგრ
ბუნებისმეტყველების ცენტრალუ
ტის მუშაობის გასაძლიერებლათ
ბისმეტყველ მასწავლებელთა ცო
ფართოებლად ხანგამოშვებით მო
ნეს ცნობილი სამეცნიერო ძალე
ლექციების წასაკითხავათ.

კონფერენციის მუშაობაში მონ
იღებდნენ განათლების კომისარი
თბილისის განათლების განყოფილ
მომადგენლები.

ბოლო-
კმაყო-
ვენა და
ქარხ-
ხოვნით
იტინგი.
შრომის
ნ პარ-
ს აცხა-
ლის წი-
და სხვა
არავის
ჩარევის
მშრომე-
კუთარი
პოვარი.
ის ხელ-
მშენებ-
ცვის გა-
ხელი-
მები პო-
ლი გამო-
ინგი მო-
გაძევებას
ის შედე-
რომელ-
ოგენცია,
მოით-
ს დაუყო-
რომ მო-
ა ბორო-
აბჭოთა
ვად
ის რაი-
იგონებს
თავრობის
და ერთა
ავა პირ-
დაი-
ნ შებ-
ნის გზის
შრომელ
სასტიკად
ვ საბჭო-
ჩარევის
ს საკონ-
ახელმწი-

ა.-კ. საგეითლო ინსტიტუტში მიღების წეს

ამიერ-კავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტში, რომელიც არსებობს ერევანში, ახალ სასწავლო წლისათვის სულ მიღებული იქნება 120 ახალი მსმენელი, აქედან 40 ადგილი დათმობილი აქვს საქართველოს, 40 — აზერბეიჯანს, 24 — სომხეთს, დანარჩენი ადგილები განაწილებულია სხვადასხვა რესპუბლიკებს შორის.

მსმენლების 20 პროცენტი მიღებული იქნება მხოლოდ მუშფაკის კურსდამთავრებულთაგან.

საერთოდ გამოცდები იწარმოებს რუსულ ენაზე. მაგრამ თუ შემსვლელი მოისურვებს, მას უფლება აქვს გამოცდები ჩააბაროს მშობლიურ ენაზე.

ვინც რუსულ ენაში, როგორც ერთ-ერთ საგანში, გამოცდას ვერ ჩააბარებს, ის დაშვებული არ იქნება ინსტიტუტში, მაგრამ თუ შემდეგ წელში მოისურვებს ამ ნაკლის გამოსწორებას და ინსტიტუტში შესვლას, წელს ჩაბარებული დანარჩენი საგნები ჩაეთვლება მთლიანად.

ინსტიტუტში მსმენელებს გაგზავნას აწარმოებენ რესპუბლიკანური განათლების კომისარიატები, რომლებშიაც მსურველებმა განცხადებებთან ერთად უნდა შეიტანონ: 1) მოწმობა წლოვანების შესახებ (ინსტიტუტში მიღებიან არა ნაკლებ 17 წლისა); საშუალო განათლების მოწმობა; ჯანმრთელობის მოწმობა, მოწმობა იმის შესახებ, რომ ინსტიტუტში შესვლის მსურველი გამოდგება სავეტერინარო დარგში; ორგანიზაციებიდან შიელინების რწმუნება; მოწმობა სოც. მდგომარეობის შესახებ და 2 ფოტოგრაფიული სურათი. მოწმობები წარდგენილი უნდა იქნეს დედნების სახით.

განცხადებები მიიღება 1 — 31 აგვისტომდე, გამოცდები იწარმოებს 1—10 სექტემბრამდე, მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბრიდან.

ვინც არ გამოცხადდება 1 ოქტომბრამდე, ის გამოირიცხება მექანიკურად და მის ადგილზე მიღებული იქნება კანდიდატი.

პირველ რიგში ინსტიტუტში დაშვებულნი იქნებიან მუშების, გლეხების და წითელარმიელების შვილები.

სასამართლო

ალ. გოხაძეს დახვრეტა მოელის

როგორც ვსწერდით, ალექსანდრე დიმიტრისძე გოხაძე, რომელმაც როსკიპ ქალის ანა ქორთლიშვილის დახმარებით გაიტყუა მოქ. მაღლაკელიძე ვერის პარკის მახლობლად, სადაც რამდენიმე მძიმე ჭრილობის მიყენების შემდეგ გაძარცვა ის, — გასამართლებული იყო თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოს მიერ და მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ათი წლით სასტიკი იზოლიაციით.

საქ. უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმმა, რომელსაც ეს საქმე გადაეცა კასაციის წესით, საქმეში ჰპოვა დამამძიმებელი გარემოებანი (გოხაძე რამდენიმეჯერ ყოფილა გასამართლებული ხულიგნობისა, ქურდობისა და ყაჩაღური თავდასხმისათვის. უკანასკნელი ბოროტმოქმედების ჩადენის დროსაც ის გამსახლის პატიმრად ითვლებოდა).

უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, საქმე მხარეთა კამათის გარეშე ხელახლა უნდა გაარჩიოს მაზრა - ქალაქის სასამართლომ გოხაძისათვის სასჯელის მომატების მიზნით.

გოხაძეს მოელის უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა.

ბებუთებით ადმინისტრაციის წარმომადგენლების წინააღმდეგ

თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლომ ამხ. პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გაასამართლა პროფესიონალ ქურდების და ხულიგნების ორგანიზაციის წევრები: 1) ვასილ აბრამისძე გელაშვილი, 2) ძუკუ აქვსენტისძე გრიგოლია, 3) ნიკოლოზ ივანესძე ქვარცხავა, 4) გრიგოლ ალექსისძე კუპრაშვილი, 5) სურენ ოგანეზოვი და 6) სტეფანე კაზაროვი.

როგორც ვსწერდით, აღნიშნული პირები თავის ქურდ ამხანაგის პატიმრობისაგან განთავისუფლების მიზნით ა.-წ. 28 მარტს, საბაჟოს ქუჩაზე თავს დაესხნენ მილიციელებს, მოინდომეს მილიციელების მოკვლა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს მილიციელების ენერგიულ წინააღმდეგობის გამო.

სასამართლომ ექსივე ბოროტმოქმედს, მიუსაჯა სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

მკვლელობა შრომის სკოლაში

დღეს თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლოში დაიწყება მეორე შრომის სკოლის მოწაფის **პეტრე ტარასისძე ჩინჩალაძის** გასამართლება.

როგორც ვსწერდით, ჩინჩალაძემ ა.-წ. 11 მარტს მე-15 შრომის სკოლის შენობაში რომანიულ ნიადაგზე რევოლვერით მოჰკლა ამავე სკოლის მოწაფე ქალი **ელისო გიუნაშვილი**.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. კუპრაშვილი. ბრალს სდებს პროკურორი ამხ. ძაძამიძე.

მოქ. ლანდიას მოეხსნა ბრალდება

ა.-წ. მარტში თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლოს მიერ გასამართლებულ იყვნენ სააფთიაქო სასამართლოს თანამშრომლები. **სერგო სარქისოვი, დავით ლანდია და ი. ვადაჭკორია.**

დავით ლანდიას სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლის ძალით (უფლების გადამეტებისათვის) მისჯილი ჰქონდა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს პლენუმმა გადასინჯა ეს საქმე და ჰპოვა რომ ლანდია არ იყო ვალდებული თვალყური ედევნებია № 2 მაღაზიის გამგე სარქისოვის საქმიანობისათვის. ლანდიას მოეხსნა წაყენებული ბრალდება და სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნა.

ბერ.

კავშირის საორ-
განიზაციო კომიტეტი

ამხ. კანდელაკის სიტყვის შემდეგ თათბირმა აირჩია ამიერ-კავკასიის საბჭოთა მწერლობის და ხელოვნების მუშაკთა კულტურულ კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც შედიან სამივე რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარები—ამხ. **კანდელაკი, მრავიანი** და **კულიევი**, ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ამხ. **იონოვი**, ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მდივანი ამხ. **ბ. ბუაჩიძე** და მწერლები—**რობაქიძე, აბაშელი, მიწიშვილი, ეული** (საქართველოდან), **ახვერდოვი, ს. რუსტამი, ჯაფარ - ჯაბარლი, ჰუსეინ ჯავიდი**, (აზერბეიჯანიდან), **ალაზიანი, ვშტუნი, შირვან-ზადე, დემირჩიანი** (სომხეთიდან); თეატრებიდან: **მარჯანიშვილი, ახმეტელი, ინაშვილი** (საქართველოდან), **შარიფოვი ა. მ., ტუგანოვი, ეფენდიევი,** (აზერბეიჯანიდან), **აგოვი, ასმიკი** და **ბულაკიანი** (სომხეთიდან); კინო-მუშაკებიდან: **შიაურელი** (საქ.), **მახმუდბეკოვი** (აზერ.) და **მამუკიანი** (სომხ.); მუსიკალურ ხელოვნებიდან: **ზ. ფალიაშვილი** (საქ.), **გაჯიბეკოვი** (აზერბეიჯ.) და **ტერ-გევონდიანი** (სომხ.); სახვითი ხელოვნებიდან:

და ხელოვნების მუშაკთა პირველი ყრილობა.

პრეზიდიუმს დაევალა აგრეთვე მოაწესრიგოს უცხოეთთან კულტურული დაახლოვების სრ. საკავშირო საზოგადოებასთან შეთანხმებით საერთაშორისო მწერალთა ყრილობაზე (ვენაში) ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მწერლების წარმომადგენლების გაგზავნის საკითხი.

ამ.-კავკ. ეროვნებათა კულტურული კავშირის დღე

აზერბეიჯანის საბჭოთა მწერლების დელეგაციის თავმჯდომარის ამხ. **ა. ახვერდოვის** წინადადებით ამიერ-კავკასიის მწერალთა გაერთიანებულმა სხდომამ ერთხმად დაადგინა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მწერალთა შეხვედრის უკანასკნელი დღე—17 ივნისი აღიარებული იქნას ამიერ-კავკასიის ერთა კულტურულ შეკავშირების დღეთ. ამ დღეს ყოველწლიურათ უნდა გაიმართოს საღამოები ფართო პროგრამით, რომელშიდაც შეტანილი უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ერთა მიღწევები ხელოვნების და საერთოდ კულტურის ყველა დარგებში.

დელეგატების გამგზავრება

გუშინ ღამის 12 საათზე აზერბაიჯანის და სომხეთის მწერალთა დელეგაციები გაემგზავრენ ბაქოში.

მენშევიკების ცდა საბჭოთა კავშირში შემავალ ერების მთლიანობის დასარღვევად ფუჭია

ზუგდიდი, 17 ივნისი. შავი ზღვის რკინის გზის ზუგდიდის მანძილის მუშა-მოსამსახურეების მრავალრიცხოვანი მიტინგი სასტიკ პროტესტს უცხადებს პოლონეთის მთავრობას და იქ თავშეფარებულ ქართველ ემიგრანტ მენშევიკების საზიზღარ პროვოკაციულ საქმიანობის გამო. მიტინგს საჭიროდ მიაჩნია რა პოლონეთის საკონსულოს გაძევება საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. მიტინგი აღნიშნავს, რომ პროლეტარულ სახელმწიფოს მტრები, იუდა მენშევიკები ვერ ეღირსებიან დიად კავშირში შემავალ ძმურ სოციალისტურ რესპუბლიკების მთლიანობის დარღვევას.

მოთმინებასაც საზღვარი აქვს

აბაშა, 15 ვნისი. აბაშის თემის მუშების, გლეხების და მშრომელი ინტელიგენციის გაერთიანებული კრება გაეცნო რა პოლონეთის ვერაგულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია არა მარტო საბჭოთა კავშირის და კერძოდ საქართველოს მშრომელთა, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის წინააღმდეგ, აღნიშნავს, რომ პოლონეთის ასეთი მოქმედება არის დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების დავალების შესრულება, რომელთა სათამაშო ბურთს იგი წარმოადგენს. კრება მოითხოვს საბჭოთა ხელისუ-

ძირს საქ. მშრომელთა სისხლით მოვაჭრე მენშევიკები

კაჭრეთი, 15 ივნისი. არაშენდის რაიონის მუშა - მოსამსახურეთა და ორი ათასი მშრომელი გლეხკაცობის მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: ქართველი ხალხის სისხლით მოვაჭრე მენშევიკები პოლონეთის ბურჟუაზიასთან დღესასწაულობს იმ დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტს, რომელმაც სისხლისაგან დასცალა საქართველოს მშრომელნი და გაანადგურა მისი ეკონომიური დოვლათი. ჩვენ ზიზღით ვიგონებთ მენშევიკების მოღალატურ მოღვაწეობას და იმ დამოუკიდებლობას, რომელიც მათ ძალათ მოახვიეს თავზე საქართველოს მშრომელებს. ძირს მსოფლიო იმპერიალიზმის პირწავარდნილი აგენტები — მენშევიკური ემიგრაცია.

გამოვსთქვამთ უღრმეს აღშფოთებას

გურჯაანი, 15 ივნისი. გურჯაანის რკინის გზის და სამაზრო აღმასკომის ინჟინერ-ტეხნიკოსების, აღმასკომის თანამშრომლების, ექიმების და მასწავლებლების გაერთიანებულ მიტინგზე მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია: გამოვსთქვამთ უღრმეს აღშფოთებას იმ

პირველობის გათამაშებაში, შეივსო ახალი მოთამაშეებით.

ახალი შემადგენლობის სადებიუტო გამოსვლა მოხდა კვირას, 16 ივნისს. „დინამო"-სთან თამაშობდა პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდი, რომელიც საგრძნობლად დაწინაურდა უკანასკნელ ხანებში.

მიუხედავად იმისა, რომ „დინამო"-ს მოთამაშეები ჯერ კიდევ არ არიან სათანადოთ შეთამაშებული ერთმანეთთან, მათი უპირატესობა სტუდენტების გუნდთან შედარებით საგრძნობი შეიქნა თამაშის დაწყებისთანავე. თამაში მეტწილად პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდის კარებთან სწარმოებდა. სტუდენტები კარგათ იცავდნენ თავს და საშუალებას არ აძლევდნენ „დინამო"-ს მოწინავეებს გაერღვიათ მათი კარები.

მაგრამ შუა ტაიმში დინამოელმა **ფაჩულიამ** დაარღვია ძალთა წონასწორობა: 15 მეტრიდან მძლავრად დარტყმული ბურთი მოხვდა ჰიშკარის ბოძს და იქიდან ბადეში შეუხვია.

ერთხანს მეტევაზე გადადიოდნენ პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდის მოთამაშეები, რომელთაც იერიში იერიშზე მიჰქონდათ დინამოელების კარებზე, მაგრამ ამ უკანასკნელთა მცველების მოხდენილი თამაშის წყალობით პოლიტეხნიკუმის გუნდის ყოველი ცდა უშედეგოთ თავდებოდა.

თამაშის შემდგომ პროცესში ინიციატივა კვლავ „დინამო"-ს ხელში გადავიდა, რომელმაც ტაიმის ბოლომდე გაიტანა ორი ბურთი და შეჯიბრება დაამთავრა თავის გამარჯვებით 4:0.

„დინამო" ამ შეჯიბრებაში თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: **ბალდოევი, ფსაროსი, ფოჩხუა, კასპარიანი, ანიკინი, პარამანოვი, რ. მდივანი, სომოვი, აბაშიძე; ფაჩულია** და **ქოიავა** (ძირითადი შემადგენლობიდან არ თამაშობდნენ ჟორდანია და ვაჩნაძე).

„დინამო" II— რკინისგზელები

იმავე დღეს „დინამო"-ს სტადიონზე ჩატარდა „დინამო — მეორე"-ს რკინისგზელების პირველი გუნდის ამხანაგური შეჯიბრება.

შეჯიბრება დამთავრდა 0:0.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 18 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: გერმანე ჩიხორია, კასიანე დეკანოსიძე, აპოლონ ჯანელიძე, ვახტანგ ლომაია, ნადია სვანიძე, გორ გოშიძე, ვახტანგ ჯანდიერი, ბარბალე სულხანიშვილი, ნიკოლო იარხინიშვილი, ვასილ გალუსტაშვილი, ილია მარგოშია, იმნაიშვილი, თინა ჟორდანია, იოსებ გოზალიშვილი, ვლადიმერ გორგაძე, შუშანა ნაზაროვა, ნადია ჯანუაშვილი, გიორგი ქარქაშაძე, ვარლამ კანდელაკი ვლადიმერ სხირტლაძე, არტემ ბუტულოვი, როზალია პროლიუცკაია, ლიუდმილა პისემსკაია, ოლღა გძელიშვილი, უგრეხელიძე, მიკირტიჩ ტერ-გუკასოვი, რაჟდენ ძიმიტაშვილი, ლალია საბლინა.

მშენებელ მუშაკთა სექციიდან: მნაცაკან ტატულოვი, ბეგლარ მალიანი, ივანე ნადირაშვილი, მაკარი ხარჩევნიკოვი, სამსონ გასპაროვი, ანდრონიკ გრიგორიანი, გიორგი იორამაშვილი, შალვა მიქელაძე, გიორგი ნანიევი, ალექსანდრე არჩვაძე, ვლადიმერ კოვალსკი, იოსებ ზავრალაშვილი, გრიგოლ ხაჩატუროვი, ვანო ჩხატარაშვილი, მანუკ ოვანესიანი, სევერიანე ქივანიაშვილი, შალვა ტატიანაშვილი, სერაფიონ დვალი.

მედსექციიდან: ეკატერინე ადამაშვილი, ნინო წივწივაძე, იულია იდვარნოვიჩი, არმაკ მიკირტუმოვი, ეკატერინე პავლოვა, ლიდია ზიმ ბულოვა.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: იოსებ ტურიაშვილი, სარქის კაზარიანი, შაქრო ხუციშვილი, გრიგოლ მონინი, გაბრიელ მონიბეგოვი, ლევან კირვალიძე, ნიკოლოზ წერეთელი, სერგო სტროევა, ლიამჩევა, პატიაშვილი, იოსებ მღვდელიძე, ევგენია კალამკაროვა, ალექსანდრე ქობულოვი, ალექსანდრე მელაძე.

შავ მუშათა სექციიდან: ნესტორ ახვლედიანი, იაკობ პუხაევი, ბაგრატ ოთინაშვილი, გოგოშვილი, ნიკოლოზ ჯაფარიძე, გრიგოლ შახბურაზოვი გიორგი, კვაჭაძე პავლე ჩერემისინი, ისაკ ბახტაძე, პეტრე სავჩენკო, იუნან ვერთანოვი.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტში (ოთახი № 66) გამოძახებულნი არიან შემდეგი ამხანაგები:

ელენა სლავინსკა [illegible] ხანდურაშვილი, [illegible] ნიკოლოზის ძე [illegible]შვილი, ივანე გიორგის ძე თეთრაშვილი, გარეგინ გიორგის ძე თოფჩიაშვილი, ანასტასია შაფიგურინა, ისმაილ ბაბაევი, მილიცა შუბლაძე და აკაკი მესხი.

სახ. უნივერსიტეტის კომპარტიის (ბ) ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს დილის 10 საათზე ბიურო-კოლექტივში მოწვეულია აგიტ-კომისიის სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: გ. კვიცარიძე, დ. გვაზავა, ურუშაძე გ., ბაჯაძე, ჩხიკვაძე დიმიტრი, ჯანელიძე გიორგი, ნამორაძე გ. სულუხია, აბუთიძე და ჭელიძე გ.

სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკ. კომუჯრედის ბიუროს და ა.ლ.კ.კ. ბიუროების გაერთიანებული სხდომა პარტიისა და კომკავშირის აქტივთან ერთად შესდგება დღეს, 18 ივნისს საღამოს სრულ 7 საათზე.

ს.ს.პ.ი.-სთან არსებულ სამთო ქიმიურ ფაკულტეტის კომ-უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს 18 ივნისს, საღამოს 5 საათზე. 7 საათზე კი შესდგება კომუჯრედის დახურული კრება ა.ლ.კ.კ უჯრედის ბიუროსთან ერთად.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ სამშაბათიდან ხუთშაბათამდე (დღის 12—2 საათამდე) იწარმოებს იმ კომკავშირელების აღრიცხვა, რომელნიც რჩებიან თბილისში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტთან არსებული კ. პარტიის უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 18 ივნისს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია უჯრედის ბიუროს სხდომა კომ-კავშირის ბიუროებთან ერთად, აქტივის თან დასწრებით. დასწრება აუცილებელია დაუგვიანებლივ.

წმენდას

„ზაკტპო"-ს კულტ-კ
აქ არიან როგორც პარტ
დიდატები, ისე უპარტიო
საათია. დაიწყო სხდომა.
— დღეიდან უნდა შე
უჯრედის გენერალურ გ
გამწმენდი კომისიის თავ
მუშა-ბოლშევიკი ამხ. ტ
ნერალური წმენდის შემდ
უნდა შეიქნეს კიდევ უფრო
როვანი. წმენდამ უნდა გა
უცხო, ყველა მახინჯ და გ
მენტებისაგან. ამ დიდი ამ
კა დამოკიდებულია პარტი
მშრომელი მასების აქტიურ
ამ საქმეში. ამიტომ მე მოუ
დამსწრეთ მიიღონ მხურვალ
„ზაკტპო"-ს უჯრედის გ
შემდეგ საინფორმაციო მოხ
ყვა ეძლევა უჯრედის მდი
როვს. „ზაკტპო"-ს უჯრედ
ამხ. შახნაზაროვი,—მუშაო
წლის ნოემბრის თვიდან. ბ
ჯრედი კომისიები, მაგრამ
აწარმოებდა დამაკმაყოფი
აგიტ-კომისიას ჰქონდა მხ
მა, მაგრამ ამით ბევრი არა
მოისუსტებდა ქალთა კ
კომკავშირზე ხელმძღვანე
შედარებით გაუმჯობესდა.
წ ლობა „ზაკტპო"-ს სამ
ში უმნიშვნელოა. ბიუროს
სხდომაზე მხოლოდ სამი
ნეთ „ზაკტპო"-ს მუშაობ
ბების ირგვლივ ვიმუშავ
მითითებებს, რომლის დიდ
დებოდა ცხოვრებაში. ა
ბისა და კომუნიზაციის ს
ძოიკოქლებდა. საწევრო
ტიის წევრები არ იხდიან
— რა მუშაობას აწარმო
ტიოთა შორის, რამდენად
ში უჯრედი თავის დადგ
არა უჯრედში გადახრებს
აია მიღებული, ადმინის
ხარჯების 20 პროც.
სხვ.—ზედიზედ აყრიან
ამხანაგები მომხსენებელ
უჯრედში გადახრებ
ლებას არა ჰქონია ადგი

ხტანგი, ნინო, ლუბა, ქეთო და ელენა სუხიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს უფროსი ძალუა

ამ სუხიშვილის

მოსვენება დღეს, 18 ივნისს, 3 საათზე. ლენინგრადის ქ. № 1. 2259

---

4 ს. და 20 წ. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი

კატერინე) მამინაიშვილი

მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს განსვენებულის ის ასული და ძმა დათა მამინაიშვილები. დაკრძალვა სამშაბათს, ევის 4 ნახ. საათზე, ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება—დ. ჭონქაძის ყოფ. გუდოვიჩის ქუჩიდან, № 14. (შ)

ინაიშვილები პატარა გია და ბიძინათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ

მამინაიშვილის

გამოსვენება სამშაბათს, ივნისის 18, ნაშუადღევის 4 ნახ. გუდოვიჩის ქუჩიდან № 14. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. (შ)

მამინაიშვილები შვილებით ნორა, კუჭიკო და ქეთუნით გულისტკივილით იუწყებიან მათი საყვარელი

ი მამინაიშვილის

ბას. გამოსვენება სამშაბათს, 18 ივნისს 4 ნახ. საათზე ჭონქაძის ქ. № 14 (შ)

მეგობრები: ლოლოტა ვირსალაძე, ცუცა ჩიხლაძე, ლელო ქავრაშვილი, ნინა პაატაშვილი, ნინო ოდიშვილი, რუსიკო კლიამიალი, კუკურა რამიშვილი და ილია ჩიგოგიძე აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, მარად დაუვიწყარ

ტერინე) მამინაიშვილის

უდროოთ დაკარგვას. ნ.

ლობის ქართულ მუშფაკის აღმასბიურო აუწყებს საზოგადოებას, ყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მოსამზადებელი კურსის მსმენელი

ან გუგუტიშვილი

დაკრძალვა დღეს 1-ლ საათზე. (ე)

შვილები: საშა, ვალიკო, თამარა, რძალი ოლია, მაზლი ათანასე შელაგიათი—შვილებით აუწყებენ ნათესავებს დაუვიწყარ

იმონის ასულ დანელიას

გარდაცვალებას 2260

დედა ანა, დები სოფიო და მარიამი; შვილები ვასო, ვერა და ნადეჟდა; რძალი თამარა; სიძეები მაქსიმე ქეიშვილი, გარეგინა ეგიევი და სოსო ჯეირანიშვილი; შვილიშვილები და დისწულები მწუხარებით იუწყებიან საყვარელ და მარად დაუვიწყარ

ნინო გიორგის ასული ამირანაშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება 18 ივნისს, კუკიის სასაფლაოზე გამოსვენება ბინიდან ალაჯინის ქ. № 5. 3 საათზე. 2258

მეუღლე პავლე, შვილები: გიორგი, ლადო და ალექსი; რძლები: კატო, თამარი და ნინა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი

მარიამ გრიგორის ასულის სუხიშვილი

გამოსვენება 18 ივნისს 3 საათზე ბინიდან—ლენინგრადის ქ. № 1. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2257

თამარა ელიზბარის ასული ქუჩულთრია, დედ-მამა და ბიძაშვილი გიგუთი იუწყებიან, რომ 15 ივნისს, სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ბიცოლა

ნატა პაპასკირისა

დაკრძალვა 18 ივნისს. ნ. 2872

საზაფხულო აპოლო	მხატვრული ფილმი რიაზანელი დედაკაცები
საზაფხულო ეთერი	დიდი ქალაქის სიმფონია (ბერლინი)
საზაფხულო ვალახი	პატი და პატაშონი ყველაზე მხიარულ კომედიაში ქალა და სილამაზე
მინიონი	სეზონის საუკეთესო სურათი ღამის მეეტლე მთავარ როლებში: ბუჩმა, დიუსიმეტიერი რეჟისორი ტასინი
აპოლო	
სოლეი	

ოთხშაბათიდან 19 ივნისიდან
2 ჯავშნოსანი

მსოფლიო ფილმი, რომელსაც მოსკოვში დიდი წარმატება ხვდა
რიაზანელი დედაკაცები
დღეიდან
საზაფხულო კინო
აპოლოში
(დარბაზის ბაღი)
პლეხანოვის პრ. № 91.
სიმფონიანი ორკესტრი ცეიტლინის ხელმძღვანელობით
ნ. 2874

ა.-კავ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების („ზაკტპო"-ს) გამგეობა
აცხადებს, რწმუნებულთა მე-9 კრების დელეგატების საყურადღებოდ, რომ 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე თბილისში დანიშნულია
სატრ. სამომხ. საზ-ბის
რწმუნებულთა კრების გახსნა
(პლეხანოვის პრ. 138, „ზაკტპო")". სავალდებულოა დელეგატების გამოცხადება ვადაზე.
ნის. 2870 გამგეობა

ქ. ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩიქლაშვილი
იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს
დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—14

ექიმი ოდონტოლოგი
აპოლონ პავლეს ძე
ურუშაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 8 ნახ. საათიდან 12 საათამდე.
2014—13—1

ყოფ. თბილისის საბაჟოს ეზოში
(ორჯონიკიძის ქ. № 93) სამშაბათს, 25 ივნისს, დილით 10 ს. შესდგება
საჯარო ვაჭრობა
ჩამორთმეულ კონტრაბანდულ საქონლის გასაყიდათ. გაიყიდება მატყლის ქსოვილები, ჩულქები „ვიქტორია", მამაკაცის და დედაკაცის კოსტიუმები, ხელოვნური კბილები, საგალანტერიო და სხვა საქონელი, საერთო შეფასებით 6.000 მან.
ვაჭრობაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერ. ორგანიზაციებს, სააქციო საზოგადოებებს და პროლეტარულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.
ნ. 2873 სასამ. საქ. ნაწ. გამგე: ქ. ხომერიკი

სურ-ბორჯომის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. ქურდევანიძე
ამით აცხადებს, რომ 22 ივნისს დილის 9—13 საათზე ქ. ბორჯომში სახ. სასამართლოს შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ირაკლი გლახოსძე კიკნაძის ორ სართულიანი ხის და ქვიტკირის სახლი, რომელიც შესდგება 7 ოთახიდან მარტო სამი ოთახი მეორე სართულში თავის ორი ქვიტკირის გაუმართავ სარდაფით, სამხრეთ და ჩრდილოეთ აღმოსავლეთის მხარეს აივნებით, დახურული ყავრით, თანახმად ბორჯ-სასამარ. აღმ. ფურც. № 258¹ პეტრე სამსონისძე მაჭავარიანის ვალის დასაკმაყოფილებლად 754 მან. 72 კაპ. გარდა ამისა ამ სახლს აქვს ბანკის და ბორჯ-აღმასკომის ვალი 298 მან. 25 კ. სახლი მდებარეობს ქ. ბორჯომში ირაკლის ქუჩაზე № 32 ვაჭრობის დღეს უნდა იქნეს დაცული სამ. საპ. კოდ. 311 312, 313, 314 მუხ. და ვისაც უნდა ივაჭროს სახლი შეფასებულია 600 მან. 2254

საკერავ მანქანათა
ტრესტი
აცხადებს, რომ თანამშრომლები სიღნაღის ივანე კონსტანტინეს-ძე შიშტოევი და ხაშურის გიორგი არტემის-ძე კამოევი არ მსახურებენ 1929 წ. იანვრიდან მანქანების შეძენის და ვალების შესატანის საქმეზე „გოსშვეიმაშინაში". შეკითხვებით მომართეთ თბილისში შუა ბაზარი № 4. „გოსშვეიმაშინა"-ს. 2267

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ექიმი
პ. ს. ფონ-ირეტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

მათემატიკის
მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს მათემატიკაში
(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ.) და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტექნიკ (ინდუსტ. ქიმ. და რკინისგზ.) მე-9 და მე-10 ჯგ. შესასვლელ საკონკურსო და განმეორებითი საშემოდგომო გამოცდებისათვის.
შესავალი პლეხანოვის ქ. № 25 ან ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5.
9—12 საათ. 4—6 საათ.
2252 3—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძმლაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78.

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

პროფ. გრ. მ. მუხაძე
თბილისიდან წასულია და დაბრუნდება 20 ივნისს. 13—1

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
ქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 5—7 საათ გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №—2573 25—6 124-50

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღის ქუჩიდან აფთიაქთან). 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება:
ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია
მიღება 5—7 საათ. საღამოს მისამართი: ჯულაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშჩევის) № 14
ტელ ფონი 20—10 25—22

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი არჩილ ჩიბარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2269

დაიკარგა: პურის წიგნაკი გაცემული ქუთაისის შინა-ვაჭრობის პურის კომისიისაგან ელიაუ აბრამის-ძის სეფიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2871

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 6281 ანდრო პეტროსოვის სახელზე, ჩ. გ 2262

დაიკარგა: 7 წლედის დამთავრების მოწმობა № 445, გაცემული ქუთაისის მე-6 ცხრა წლედის შრომის სკოლიდან მავრა დავით ძიგრაშვილის ასულის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2871

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 5296 იაგორ მესტვირიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2263

დაიკარგა: საბჭ. და სავაჭ. მუშაკ. კავშირის წიგნაკი № 6952 დიაოზ ხოჯავას სახელზე, ჩ. გ 2265

[illegible] პურის წიგნაკი № 19 გერმანე დარახველიძის სახელზე, ჩ. გ. 2271

დაიკარგა; მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 44591 ტიხონ თავაძის სახელზე, ჩ. გ 2272

დაიკარგა: მოწმობა მოცემული მეორე შრომის სკოლიდან № 1651 ნოე ილარიონის-ძე ხარშილაძის სახელზე, ჩ. გ. 2270

სს. საქ. სახდაზღვევის სამმართველო აცხადებს, რომ დაკარგულია მოქალაქე კ. ბუკიას სიცოცხლის დაზღვევის პოლისი № 12620 ჩაითვალოს გაუქმებულად. ცნობები და განცხადებების საბუთი კი (ქვითარი) წარმოდგენილი უნდა იქნეს სიცოცხლის დაზღ. განყოფილებაში. 2256

დაიკარგა: სამ სულიანი პურის წიგნაკი, გაცემული ქუთაისის შინავაჭრობის პურის კომისიის მიერ ლეონტი ექვთიმეს-ძე ბარდაველიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2871

დაიკარგა: პურის წიგნაკი პანტელეიმონ კახაძის სახელზე, ჩ. გ. 2266

ტირაჟი—39.462 პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 704.